საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

# საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი

## მასალები

## საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობანი

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1986

63.5 (2Г) 96
ს 323

„საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობანი" საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მორიგი ტომია, რომელიც ისევე, როგორც ადრე გამოქვეყნებული ტომი (1980 წ.), მასალების სახეს ატარებს. ტომი ეძღვნება ქართულ საცხოვრებელ ნაგებობათა პრობლემას, მოიცავს მხოლოდ საქართველოს მთიანეთის მასალას და მიზნად ისახავს წარმოაჩინოს საქართველოს ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი კომპლექსების თავისებურება, ცალკეულ ფორმათა გავრცელების არეალი და ცვლილებები, რომლებიც XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში განიცადა საცხოვრებელმა კომპლექსმა.

ტომში მოთავსებული მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, სპეციალისტების გარდა, მკითხველთა ფართო წრესაც დააინტერესებს.

სარედაქციო კოლეგია:

ვ. ითონიშვილი, თ. ოჩიაური, ა. რობაქიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ჯ. რუხაძე, ა. ქალდანი (მდივანი), გ. ჩიტაია (მთ. რედაქტორი), ე. შამილაძე, გ. ჯალაბაძე.

ტომის რედაქტორი: ა. რობაქიძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი გ. ჯალაბაძე,
ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. გასიტაშვილი

ს $\frac{0508000000}{М607 (06)—86}$ 174—85

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1986

# შესავალი

1953 წელს ქ. ნამიურში (ბელგია) შეიქმნა ევროპისა და მიმდგომი ქვეყნების ეთნოგრაფიული ატლასის მუდმივი საერთაშორისო კომისია, რომელსაც დაევალა ნაციონალური ეთნოლოგიური (ეთნოგრაფიული) ატლასებისა და შემაჯამებელი ატლასის შესადგენად მოსამზადებელი სამუშაოების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა.

1964 წელს ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა VII საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ქ. მოსკოვში შედგა, სხვა სიმპოზიუმებს შორის მოეწყო ატლასის საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური სიმპოზიუმი. სიმპოზიუმზე საბოლოოდ დაზუსტდა, რომ ატლასის ძირითადი თემატიკა უნდა ასახავდეს, პირველ რიგში, ეთნოგრაფიის იმ მოვლენებს, რომლებიც ორგანულად არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ძირითად და წამყვან დარგებთან, საკუთრივ მიწათმოქმედებასთან მისი ყველა სისტემის ჩათვლით და მესაქონლეობასთან ყველა მისთვის დამახასიათებელი ფორმის ჩათვლით. გათვალისწინებული იყო აგრეთვე რიგი სხვა საკითხებისა, საკუთრივ საცხოვრებელ ნაგებობათა და ტანსაცმლის თავისებურებანი.

ტერიტორია, რომელსაც მოიცავს ატლასი, თავიდანვე იყო ცნობილი: ევროპა და საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილი, დოკუმენტის სიტყვით რომ ვთქვათ, „მთლიანად კავკასიის ჩათვლით“. ამ თეზისს ასაბუთებდნენ იმით, რომ მსოფლიოს ამ რეგიონს აქვს „ბევრი რამ საერთო“ მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში.

ამგვარად, ატლასის ძირითადი მიზანია ქართული ხალხური კულტურისა და ყოფის უმთავრესი ელემენტების შეპირისპირებისა და მათი გავრცელების არეალის დადგენის გზით მსგავსება-განსხვავების გამოვლინება გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში.

ამასთან, ყოველი რეგიონალური ატლასი, მიუხედავად მისი მასშტაბებისა, არეალურია, ე. ი. დამყარებულია თემატიკურ კარტოგრაფირებაზე და ემსახურება კულტურისა და ყოფის ელემენტების სივრცობრივი განლაგებისა და მათი ფუნქციონირების შესწავლის მიზნებს. აქ იგულისხმება კულტურისა და ყოფის შესასწავლი ელემენტების არა მარტო ტერიტორიული ფიქსაცია სტატიკურ ვითარებაში, არამედ მათი ევოლუციისა და ამის პროცესში მათი გავრცელების არეალების გადანაცვლების ჩვენება.

შესაბამისად ზემოთ აღნიშნული დებულებებისა, განსაზღვრული იყო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის ძირითადი ამოცანა: „...განზოგადებასთან ერთად, გაარკვიოს ქართული ხალხური კულტურისა და ყოფის შემადგენელი ელემენტები; დაადგინოს მათი გავრცელების არეები და სიხშირე დროის გარკვეულ მონაკვეთზე; გამოავლინოს მოვლენების შესაბამისი კანონზომიერებანი“ (გ. ჩიტაია).

1968 წელს ქ. ბონში (გფრ) ზემოთ აღნიშნული კომისიის მიერ მოწყობილ საერთაშორისო თათბირზე შემუშავებული იყო სარეკომენდაციო თემების სია, რომლებიც უნდა შესულიყო ატლასში, ესენია: 1. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, II. დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობა, III. საჭმელსასმელი, IV. ტანსაცმელი, V. სასოფლო ტრანსპორტი, VI. სოციალური ურთიერთობა, VII. ხალხური საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებანი, VIII. წეს-ჩვეულებათა კალენდარი და IX. ხალხური რწმენა-წარმოდგენები.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასზე მუშაობა ადრევე დაიწყო. 1960 წელს მოეწყო I სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა როგორც ატლასის მიზნებსა და შედგენის პრინციპებს, ასევე მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ თემებს.

იმის გამო, რომ ატლასის ტერიტორია და მისი მიზანი მოითხოვს მასალის შეპირისპირებას კულტურისა და ყოფის შესასწავლი ელემენტების მტკიცედ დადგენილი პარამეტრების მიხედვით, საჭირო გახდა ერთობლივი პროგრამების შედგენა ცალკეული მსხვილი რეგიონების მიხედვით. ასე შედგა კავკასიის და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასების პროგრამები; დამუშავებული იყო დაწვრილებითი კითხვარი, რომლითაც წარმოებდა მასალის შეკრება და დამუშავება თემაზე „საცხოვრებელი ნაგებობა და დასახლების ფორმა".

ეთნოგრაფიული ატლასი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ტოტალურ მასალას მოითხოვს. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს შესახებ, რომელიც მკვეთრად გამოვლენილი ვერტიკალური ზონალობით ხასიათდება, რაც შედარებით პატარა ტერიტორიაზე კულტურისა და ყოფის ელემენტების ფორმის მოდიფიკაციების შედარებით დიდ მრავალფეროვნებას განაპირობებს. საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონს და ხშირად მათ მიკრორაიონებს (მთარაჭა, ზემო რაჭა, ქვემო რაჭა, ზემო და ქვემო სვანეთი, პირიქითი და პირაქეთი ხევსურეთი...) თავისი მთა და თავისი ბარი აქვს, რომლებიც განაპირობებენ კულტურის ფორმის ლოკალური დერივატების სიმრავლეს. ყველა ამ ლოკალურ ფორმათა გათვალისწინების გარეშე ატლასი სრული არ იქნება, ხოლო ამ თავისებურებათა სრული ჩვენებისათვის საჭირო მასალა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შესასწავლი რეგიონის ყველა დასახლებული პუნქტის შესახებ. ამის გამოა, რომ იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ ევროპის ეთნოლოგიური (ეთნოგრაფიული) ატლასის შედგენაში, ასეთი მასალა არც ერთს არ აღმოაჩნდა.

ზემოთ აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ნაციონალური ატლასების გამოქვეყნება ჯერ „მასალების" სახით; წინამდებარე ნაკვეთიც ასე მომზადდა.

საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის იმ პრინციპით, რომელზედაც ცალკე იქნება საუბარი, პირველ რიგში გამოსაქვეყნებლად მომზადდა მასალა საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელ საცხოვრებელ ნაგებობათა შესახებ. გრძელდება მუშაობა საქართველოს სხვა რეგიონების მასალაზე.

ალ. რობაქიძე

# ქართულ ხალხურ ტრადიციულ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპები

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი რეგიონალურია: იგი წარმოადგენს ნაწილს კავკასიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისა, რომელმაც თავის მხრივ საბჭოთა კავშირის ხალხთა ატლასში გარკვეული ადგილი უნდა დაიჭიროს. ყველა ნაციონალური ატლასი ემსახურება ევროპის ხალხთა ერთობლივი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის ინტერესებს[1].

ზემოთ აღნიშნული გარემოება განაპირობებს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მიზნებსა და ამოცანებს, სტრუქტურას, ქრონოლოგიას, საატლასო ელემენტების კლასიფიკაციას და მათი კარტოგრაფირების დეტალიზაციის დონეს, ე. ი. საატლასე რუკების მასშტაბებსაც.

ატლასის მიზანია, რამდენადაც იგი ეთნოგრაფიულია, ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის ეთნიკური სპეციფიკის ჩვენება სხვა ხალხების ეთნოგრაფიის სათანადო მხარეებთან შესადარებლად, რაც გულისხმობს კულტურისა და ყოფის შესაპირისპირებელი ელემენტების კომპლექსის ერთიანობას; ეს ატლასი, რამდენადაც იგი ისტორიულია, ვარაუდობს კულტურისა და ყოფის შესასწავლი ელემენტების განხილვას მისი განვითარების პროცესში.

პროგრამა-მაქსიმუმით გათვალისწინებული ცხრა პრობლემიდან (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობა, საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი, სასოფლო ტრანსპორტი, სოციალური ურთიერთობა, ხალხური საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებანი, წეს-ჩვეულებათა კალენდარი და ხალხური რწმენა-წარმოდგენები), საჭირო გახდა ძირითადი თემების გამოყოფა. საამისოდ თავის დროზე მიჩნეული იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, საცხოვრებელი ნაგებობანი, დასახლება, ტანსაცმელი.

რეგიონალური ატლასის სპეციფიკური ინტერესები არ გამორიცხავენ იმ ძირითადი თემების ცალკეული მხარეების აქცენტირებას, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის კულტურისა და ყოფის თავისებურებას შეადგენს. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის თვალსაზრისით ასეთი მხარეებია მიწათმოქმედებაში მევენახეობა.

საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ატლასში შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული ძ ი რ ი თ ა დ ი და ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო თემების ფარგლებში სხვა, ამ ხალხთა ყოფისათვის დამახასიათებელი, ასპექტების დაწინაურება, სწორედ ეს შეუწყობდა ხელს ეთნიკური სპეციფიკის ჩვენებას.

ატლასის თემატიკის ძირითადი და სავალდებულო კომპლექსების დადგენისას ყურადღება ექცევა შერჩეული ელემენტების ხასიათს მათი ურთიერთ-

მიმართების თვალსაზრისით. იგულისხმება არა ორდინალური კავშირი — ამ რიგის კავშირები კულტურისა და ყოფის ყველა ელემენტს შორის არსებობს — არამედ მათი ურთიერთგანპირობებულობა[2], ამ მხრივ აღსანიშნავია მეურნეობრივი ყოფიდან მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დაწინაურება — მეურნეობის ეს ორი ძირითადი დარგი, შეიძლება ითქვას, მუდამ და ყველგან გარკვეულ ურთიერთკავშირში ვითარდება. ასევეა საცხოვრებელი ნაგებობა და დასახლება. ურთიერთორგანული კავშირის გარდა ატლასის ეს ორი ძირითადი ელემენტი (თემა) ასევე ორგანულად არის დაკავშირებული სამეურნეო ყოფასთან. იგივე ითქმის საცხოვრებელი კომპლექსისა და დასახლების ერთეულის შესახებ, რომელთა თავისებურება დაკავშირებულია სამეურნეო და ოჯახის ფორმასთან. მრავალმხრივი ინფორმატულობის მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს ტანსაცმელი შეიცავს.

ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში იგულისხმება, ბუნებრივია, კულტურისა და ყოფის ტრადიციული ფორმები — ხალხური, ძირძველი და თავისი დროისათვის პროგრესული.

ყოველი დასახელებული თემა მოიცავს კონკრეტულ საკითხებს, რომელთაც უნდა უპასუხოს ატლასმა. ასეთი საკითხი, ზემოთ აღნიშნულ 9 პრობლემაში რომ შედის, ორმოცდამეცამეტეა. საკუთრივ II თემა — „დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობა" — შემდეგ კითხვებს მოიცავს: 13. სავარგულების საზღვრები, მინდვრის, საძოვრის, ტყეების, ბაღებისა და სხვათა ღობეები. 14. დასახლების ფორმები. 15. საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა განლაგება ერთ კომპლექსში და მათ შორის კავშირი. 16. ცალკეული ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლი (სამშენებლო მასალა, საცხოვრებელი სახლის გეგმა და ესკიზი). 17. კერის ადგილი და ნაგებობათა ყოფითი გამოყენების ზოგიერთი დეტალი. 18. აკვანი. 19. ფქვილის შენახვის წესი[3].

ასევეა დაზუსტებული ატლასის ყველა დანარჩენი თემა. თემების რიგისა და მათში შემავალი საკითხების გარკვეული თანმიმდევრობა შესაპირისპირებელი მასალის მტკიცედ განსაზღვრული სქემით დალაგებას გულისხმობს.

ბევრი რამ, ცალკეული ნაციონალური ატლასისათვის და მათ შორის ჩვენი ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის საინტერესო, ზემოთ მოყვანილ სქემაში გამოტოვებულია. ასე მაგ., საცხოვრებელ ნაგებობებში არ ჩანს დაცვითი ფუნქცია, რაც არა მარტო კავკასიის მთიანეთისათვის, არამედ მსოფლიოს სხვა, ასევე მთიანი რეგიონისათვის არის დამახასიათებელი და რის გარეშე ატლასი არ შეიძლება სრული იყოს. გარდა ამისა, სქემაში არ არის შეტანილი სათიბების საზღვრები და მათი ღობეები, რის შედეგად მხედველობიდან გამოტოვებულია სათიბებზე საკუთრების ფორმების თავისებურება — საკითხი, რომელიც კულტურისა და ყოფის ნებისმიერი ელემენტის სოციალური ბუნების ძირითად გასაღებს წარმოადგენს. არ ჩანს ნაგებობის ორიენტაცია გზის, წყლის, სავარგული ფართის, სალოცავის მიმართ, განაყარი ოჯახების განლაგების წესი მამისეული სახლის მიმართ, რაც დასახლების ფორმის სოციალური ბუნების შესახებ ინფორმაციის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. იგივე ითქმის სხვა თემების სტრუქტურის შესახებ. მაგრამ ამ რიგის ხარვეზების შევსება ყველა ქვეყანას შეუძლია მისთვის შესაფერისი სპეციფიკური პირობების შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნული ტიპის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა ატლასმა რიგი ახალი პრობლემა დასვა, მათ შორის უმთავრესია კარტოგრაფირების პრინციპი,

რომლის სწორად შერჩევა, პირველ ყოვლისა, საატლასე მასალის კლასიფიკაციის სისრულეზე არის დამოკიდებული.

ბოლო ათეული წლების მანძილზე საბჭოთა ეთნოგრაფიაში ფეხი მოიკიდა კლასიფიკაციის ორმა სისტემამ, რომლებიც ცნობილია სამეურნეო-კულტურული ტიპებისა (სკტ) და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების (იეო) სახელწოდებით. სკტ გულისხმობს მეურნეობისა და კულტურის იმ თავისებურებათა ისტორიულად ჩამოყალიბებულ კომპლექსებს, რომლებიც ახასიათებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ დონეზე და მსგავს ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში მყოფ სხვადასხვა ხალხს[4].

ეს არის კლასიფიკაციის პრინციპის ზოგადი და შინაარსობლივად იმდენად გლობალური სქემა, რომ პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ ზომიერი სარტყლის მეთევზეები და არქტიკის მონადირეები, მეორე ჯგუფში — ცხელი სარტყელის თოხური მიწათმოქმედნი და სტეპების მომთაბარე მესაქონლეები, ხოლო მესამეში — ყველა სარტყლის გუთნური მიწათმოქმედნი[5]. ამავე დროს I, II და III ჯგუფები დალაგებულია განვითარების სტადიის მიხედვით, ე. ი. არის ცდა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაციის შეთავსებისა. ამ გენერალური ტიპოლოგიის ნებისმიერი დეტალიზაციის პირობებში გამორიცხულია ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური სპეციფიკის ჩვენების შესაძლებლობა.

იეო — ეიკუმენის ნაწილია, რომლის მოსახლეობას ახასიათებს სოციალურ-ეკონომიკური ერთობლიობის, ხანგრძლივი კავშირებისა და ურთიერთ ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ეთნოგრაფიული (კულტურულ-საყოფაცხოვრებო) თავისებურებანი[6].

როგორც მოყვანილი განმარტებიდან და შესატყვისი მაგალითებიდან ჩანს, არც ეს საკლასიფიკაციო სქემა უპასუხებს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის ინტერესებს — არც მას შეუძლია ეთნიკური სპეციფიკის ჩვენება, რამდენადაც აქ აქცენტირებულია მხოლოდ ის ნიშნები, რომლებიც საერთოა სხვადასხვა წარმოშობის ხალხებისათვის. ლიტერატურაში არაერთგზის არის შენიშნული ზემოთ მოყვანილი საკვალიფიკაციო სისტემების შემდგომი დეტალიზაციის აუცილებლობა. მაგრამ მისი დეტალიზაციის ნებისმიერ პირობებში, მართალია, შესაძლებელი ხდება ძირითადი ტიპების გამოყოფა, ამ ტიპების ლოკალური დერივაციების დადგენა შეუძლებელია.

საკითხს ისიც ართულებს, რომ ამ ორი საკლასიფიკაციო სისტემის ურთიერთ შეთავსების შესაძლებლობა, როგორც არაერთგზის არის შენიშნული ლიტერატურაში, თავიდანვე გამორიცხულია[7].

ზემოთ მოყვანილი ტიპოლოგიური სქემის მიმართ გამოთქმული იყო რიგი სხვა შენიშვნაც, რომლებიც შეეხებოდა როგორც სკტ-ს და იეო-ს შინაგანი კავშირის[8] გარკვევას, ასევე მათი დეტალიზაციის აუცილებლობას[9].

შენიშვნა გამოიწვია აგრეთვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქის გაგებამ. აღინიშნა, რომ „როგორც იეო, ისევე მასთან დაკავშირებული რეალობანი, რომელთაც იგი გამოხატავს, ჩვენი ცოდნის განვითარებასა და გაღრმავებასთან ერთად, შეიძლება მოითხოვდეს დაზუსტებას, უფრო მკაცრი და ობიექტური მეთოდების საშუალებით"[10].

კრიტიკულად იყო განხილული დასახელებული საკლასიფიკაციო სქემა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა კავკასიას[11].

საკუთრივ ქართულ მასალაზე დაყრდნობით დასმული იყო საკითხი სკტ-ის გამოყოფის შესახებ ერთი ეთნოსის შიგნით. ამ მიმართულებით ჩატარებული ცდის შედეგად საქართველოში შემოიხაზა სამი ძირითადი რეგიონი სწორედ

სამეურნეო-კულტურული ხასიათის ნიშნების მიხედვით, რომლებიც საქართველოსათვის ტიპოლოგიურად ერთიანია, მაგრამ განსხვავდება ლოკალური ნიშნებით. ასეთია აღმოსავლეთ საქართველოს ბარი, დასავლეთ საქართველოს დაბლობი და საქართველოს მთიანეთი. ეს სქემა თავშივე წარმოდგენილი იყო კერძოდ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ სესიაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის პრობლემებს[12].

შენიშნულია ისიც, რომ საატლასე მასალის ტიპოლოგიის პრინციპი არსებითად განსხვავდება ეთნოგრაფიული მასალის ორდინალური კლასიფიკაციის პრინციპებისაგან. რიგითი კლასიფიკაცია გულისხმობს ეთნოგრაფიული საგნებისა და მოვლენების კლასებად დაჯგუფებას ერთი რომელიმე ნიშნის მიხედვით, ამ კლასებს შორის ურთიერთგანმსაზღვრელი კავშირის გარეშე. ატლასის სპეციფიკური მონაცემების შესაბამისად ტიპოლოგიის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს საგნებისა თუ მოვლენებისათვის დამახასიათებელი ნიშნების კომპლექსი, რომლებიც განსაზღვრავენ მათ სოციალურ არსს და ურთიერთკავშირს. ტიპოლოგიის ამ პირობას მინიჭებული აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რამდენადაც ტიპოლოგიის მეშვეობით ვლინდება, ერთი მხრით, მაჩვენებელთა კომპლექსში შემავალი ნიშნების ურთიერთობის ხასიათი, ხოლო მეორე მხრით — მთლიანად კომპლექსის კავშირი კულტურისა და ყოფის სხვა კომპონენტებთან, საერთოდ გარემოსთან[13].

მაგალითისათვის მივმართოთ საცხოვრებელ ნაგებობას. მატერიალური კულტურის ამ ელემენტის ტიპოლოგიზაციის დროს გამოიყოფა მისი ისეთი პარამეტრები, როგორიცაა კონსტრუქცია, მასალა, დაგეგმარება, კერის მდებარეობა, სამეურნეო ფართის ხასიათი, დაცვითი ფუნქციის თავისებურება, საკულტო დანიშნულების ობიექტების განლაგება და სხვა მრავალი. ამ დამახასიათებელ ნიშანთა შორის გასარჩევია ძირითადი (ტიპოგენური) და მეორეხარისხოვანი (დამატებითი). ამავე დროს ნიშანთა კომპლექსი, როგორც ტიპოლოგიის საფუძველი, წარმოადგენს არა ამ ნიშანთა მექანიკურ ჯამს, არამედ მათ აბსტრაჰირებულ მოდელს. აბსტრაჰირება ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ორგვარია: მიმამსგავსებელი და განმასხვავებელი[14].

არის კიდევ მესამე ტიპის აბსტრაჰირება — ე. წ. იდეალიზაცია, რომელსაც კ. კაბო „ეთნოგრაფიულ მოდელირება"-ს უწოდებს და რომელიც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ მსგავს დონეზე მყოფი ხალხებისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ნიშნების მიხედვით აბსტრაჰირებული მოდელის შექმნას. ეს მოდელი არც ერთ კონკრეტულ სიტუაციას არ ემთხვევა, მაგრამ ყველა მათ ძირითად (ტიპიურ) ნიშან-თვისებას გამოხატავს, და მის მიხედვით საერთო სურათს წარმოაჩენს. მაგრამ ეს მეთოდი რეკომენდებულია უპირატესად უძველესი საზოგადოების საერთო სურათის რეკონსტრუქციის მიზნით[15]. მისი გამოყენების ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი მაგალითი კონკრეტული ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში, რაც მოგვცემდა საშუალებას შეგვემოწმებინა ამ მეთოდის მეცნიერული ეფექტურობა, ჩვენ არ მოგვეპოვება. საყურადღებოა, რომ არც ერთ ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის გარეთ ტიპოლოგიის ზემოთ აღნიშნული მეთოდიკა ეთნოგრაფიული საგნებისა თუ მოვლენების მოდელირებისა და იდეალიზაციის სახით გამოყენებული არ არის.

ტიპოლოგიის საკითხის შესახებ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის ცალკეა აღსანიშნავი მ. კრიუკოვის წერილი, რომელშიც კრიტიკულად არის განხილული საცხოვრებელ ნაგებობათა ამ რიგის ზოგიერთი ტიპოლოგიური სქემა. ავტორი სამართლიანად ასკვნის, რომ ჯერ კიდევ ძნელია მსჯელობა ტიპოლოგიის არსებული მეთოდიკის ეფექტურობის შესახებ და უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს მის შემდგომ შემოწმებას ახალი მასალის შუქზე[16].

ეთნოგრაფიული ტიპოლოგიის შესწავლის ამ დონეზე საატლასე მასალის კლასიფიკაციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა.

ქართულ (კავკასიურ) საცხოვრებელ ნაგებობათა ადრინდელი კლასიფიკაციებიდან ყველაზე უფრო სრული სახე ფ. ბაუმჰაუერის სქემას აქვს. თავის კლასიფიკაციაში მან გამოჰყო ოთხი ჯგუფი, საკუთრივ:

I. აღმოსავლეთ საქართველოს ინტერლანდი, რომელიც საცხოვრებელ ნაგებობათა ხუთ ქვეჯგუფს მოიცავს: ბრტყელბანიან ქვის სახლს, „აისორების სახლს", ქართლურ დარბაზულს, რომელსაც საკმაოდ ვრცლად აღწერს, კახურ სახლს და „თათრულ მიწურს";

II. დასავლეთ საქართველოს ინტერლანდი, სადაც საცხოვრებელ ნაგებობათა სამი ქვეჯგუფია გამოყოფილი — წნული, ორფერდიანი და ოთხფერდიანი სახურავების მქონე სახლები.

III. საქართველოს მთიანეთი, რომელიც საცხოვრებელ ნაგებობათა ორი ქვეჯგუფის სახით არის წარმოდგენილი, გულისხმობს დასავლურ-ქართულ მთურსა და აღმოსავლურ-ქართულ მთურ სახლებს. დასავლურ ქვეჯგუფში ავტორი განსაკუთრებით ჩერდება სვანურ მურყვამზე, მის სამეურნეო და სოციალურ მხარეებზე: აქვე ეხება მთარაჭის ანალოგიურ საცხოვრებელ კომპლექსებს. აღმოსავლურ ქვეჯგუფში განხილულია მთიულური და თუშ-ფშავ-ხევსურული საცხოვრებელი სახლები.

IV. საქართველოში მოსახლე გერმანელი კოლონისტების საცხოვრებელი სახლები[17].

აქ არ არის ადგილი ფ. ბაუმჰაუერის კლასიფიკაციის კრიტიკისა (კლასიფიკაციის პრინციპის ერთიანობის დარღვევა, რაც ეთნიკური და ტექნიკური მაჩვენებლების შერევაში და სხვა მხარეებში გამოიხატება), აღვნიშნავთ მხოლოდ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის თვალსაზრისით საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაყოფას სამ ზონად, რაც ჩვენ გამართლებულად მიგვაჩნია, თუმცა ავტორს ამის დასაბუთება არც უცდია.

ყურადღებას იპყრობს ავტორის ცდა გამოჰყოს სახლების ცალკეული ტიპები ეთნიკური კუთვნილების მიხედვით, რაც ამ დროის გერმანულ ენოვან ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული იყო კულტურისა და ყოფის სხვა ელემენტების კლასიფიკაციის დროს[18], მაგრამ ნაშრომში მოყვანილ ფაქტობრივ მასალაზე ეს ცდა გამართლებულად ვერ ჩაითვლება.

ევროპის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შედგენაზე მუშაობისას საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო სხვადასხვა ნიშანთა საკმაოდ რთული კომპლექსი, რომელიც XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისისათვის გულისხმობს, მაგ., ბულგარეთში, 8 უმთავრესი ფორმის არსებობას ძირითადად დაგეგმარების მიხედვით[19]. რუმინეთის ეთნოგრაფიული მასალით საცხოვრებელ ნაგებობათა შესახებ 3 ჯგუფია გამოყოფილი[20]. იგივე ითქმის ევროპის სხვა ქვეყნების შესახებ. შემაჯამებელი კარტოგრამის მონაცემებით ევროპაში გამოყოფილია რვა ძირითადი ტიპი; საცხოვრებელ ნაგებობათა ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ძირითადად დაგეგ-

მარება და მასალა[21]. ანალოგიური ვითარება შეინიშნება შუა აზიის რესპუბლიკების ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შედგენილი კლასიფიკაციების მიმართ, საკუთრივ თურქმენეთის[22], ტაჯიკეთის[23] და სხვა, რომლებიც უფრო ვიწრო რეგიონალურ ხასიათს ატარებენ.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შედგენისას გათვალისწინებული იყო საცხოვრებელი ნაგებობების ისეთი ნიშნების ჩვენება, როგორიცაა მასალა და სამშენებლო ტექნიკა, დაგეგმარება, გადახურვის მასალა და ფორმა, გათბობის სისტემა, ინტერიერი, შემკულობა. ამ ნიშნების მიხედვით მოცემულია საცხოვრებელ ნაგებობათა აღწერილობა სათანადო კარტოგრამებით. ამის საფუძველზე შედგენილია საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპოლოგია, რომელიც მოიცავს 11 ჯგუფს, მათ შორის ორი წნული სახლია, სამი — ჯარგვალური, სამი — ქვისა, ცალკე ჯგუფშია წარმოდგენილი გამოქვაბულები, დასაშლელი და კომბინირებული ნაგებობები[24].

შეიძლებოდა კიდევ ამავე რიგის სხვა კლასიფიკაციები მოგვეყვანა[25], მაგრამ იმის საჩვენებლად, თუ როგორ დგას დღეს საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის საკითხი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასთან დაკავშირებით, მოყვანილიც საკმარისად უნდა ჩავთვალოთ.

ქართულ ხალხურ ტრადიციულ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის შესახებ გარკვეული აზრი აქვს გამოთქმული გ. ჩიტაიას ვრცელ ინფორმაციაში, რომელშიც აისახა საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევის ძირითადი შედეგები. მისი დაკვირვებით საქართველოში ფიქსირებულია საცხოვრებელ ნაგებობათა ოთხი ძირითადი ტიპი, რომელთა შორის მას აღწერილი აქვს ორი[26]. ავტორის სიტყვით ამ ოთხი ტიპიდან „...ერთი, დასავლურ-ქართული, ხის ნაგებობის სახით, კვადრატული გეგმით, შუაცეცხლით, ორფერდა ან ოთხფერდა სახურავით, კედლის შუაში მოთავსებული კარით, და ერთი აღმოსავლურ-ქართული, ქვის ნაგებობის სახით, რომელიც გეგმით ასევე კვადრატულია, შუაცეცხლიანია, კარი ფასადის კედლის შუაში აქვს მოთავსებული, გვირგვინიანია და ბანითაა ზემოდან დახურული, მათი საწყისი ფორმები უკავშირდება ხეთურ-ხურიტულ ნაგებობათა ტიპს, რომელიც შუაცეცხლით, კვადრატული გეგმითა და პირამიდულსაფეხურიანი სახურავით ხასიათდება“[27].

არსებობს კიდევ საცხოვრებელ ნაგებობათა რეგიონალური კლასიფიკაციები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ძირითადი ტიპების ვარიანტული ფორმების გამოსავლინებლად. მაგ., გ. ჩიტაიამ მხოლოდ ქვაბლიანის ხეობაში გადახურვის წესის მიხედვით სამი ტიპის საცხოვრებელ ბინას მიაკვლია. მისი სიტყვით: „ერთია დარბაზული, მეორე — ოდური და მესამე — ე. წ. ლაზური“[28]. ი. ადამიამ საცხოვრებელი კომპლექსებისა და დასახლების ფორმების ძირითადად არქიტექტურულ თავისებურებათა მიხედვით აჭარაში გამოავლინა სამი ზონა: სამხრეთ-აღმოსავლური (ხულოს რაიონი), სამხრეთ-დასავლური (ქედისა და ბათუმის რაიონები) და ჩრდილო-დასავლური (ქობულეთის რაიონი). ავტორი ცალკე ჰყოფს ე. წ. ლაზურ ტიპს, რომელიც მისი დაკვირვებით ბევრად არ განსხვავდება აჭარულისაგან[29]. გამარტივებული ეთნოგრაფიული კლასიფიკაციით აქ საცხოვრებელ ნაგებობათა მხოლოდ ორი ძირითადი ფორმა არის ნავარაუდევი[30]. აჭარულ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაცია ცალკეული ხეობების მიხედვით უფრო რთულ სურათს წარმოაჩენს[31].

საფუძვლიანად არის დახასიათებული ქართული დარბაზული საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც წარმოდგენილია სამი ქვესახეობით, საკუთრივ

ქართლური, მესხურ-ჯავახური და წალკური ერდოიან-გვირგვინიანი სახლების სახით[32].

მთიულეთის საცხოვრებელ ნაგებობათა შორის გამოიყოფა მისი ორი სახეობა: ქვიტკირიანი და კალოიანი სახლი[33].

არსებობს არაერთი სხვა კლასიფიკაცია რეგიონალური თუ სხვა ნიშნის მიხედვით. მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც ლოკალურ ხასიათს ატარებს, ამდენად, ერთობლივი კლასიფიკაციის მხოლოდ ქვეჯგუფების გამოსაყოფად თუ გამოდგება.

საცხოვრებელ ნაგებობათა რეგიონალური კლასიფიკაცია დამუშავებულია აგრეთვე სვანურ მასალაზე, მას საფუძვლად უდევს საცხოვრებელი კომპლექსის დაცვითი ფუნქციის თავისებურება. მასში გამოიყოფა ხუთი ძირითადი ჯგუფი: ციხე-სახლი, მურყვამიანი სახლი, სანცხვირიანი სახლი, სვანირიანი სახლი და გალავნიანი კომპლექსი[34]. სვანური საცხოვრებელი კომპლექსების ამ კლასიფიკაციის სქემამ ძირითად ნაწილში პოზიტიური გამოხმაურება პოვა[35].

საცხოვრებელ ნაგებობათა ეთნოგრაფიული შესწავლის მეთოდიკის განხილვისას ს. ტოკარევმა ყურადღება მიაქცია ყოფის ამ მნიშვნელოვანი ელემენტის ისეთ მხარეებს, როგორიცაა მისი მასალა, დაგეგმარება, სამეურნეო ნაგებობებთან მათი კავშირი, სოციალური არსი, ეთნიკური ფუნქცია და სხვა[36].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ მრავალ მხარეს შორის, რომლებიც საცხოვრებელ ნაგებობას ახასიათებს, ამასთან მის თავისებურებას გამოხატავს და, ამდენად, ტიპოლოგიის საფუძვლად უნდა იყოს აღებული, პირველ რიგში ანგარიში უნდა გაეწიოს დ ა გ ე გ მ ა რ ე ბ ა ს, რომელიც: ა. ასახავს საცხოვრებელში ოჯახის წევრთა განლაგების წესს, შუქსა ჰფენს საოჯახო ყოფას, ე. ი. გამოავლენს ოჯახის ფორმას, და, ამდენად, მის სოციალურ ფუნქციას; ბ. საცხოვრებელი და სამეურნეო ფართის შედარებითი ანალიზის შედეგად გვაძლევს წარმოდგენას ოჯახის სამეურნეო საფუძვლების თავისებურებათა შესახებ და, ამდენად, შუქსა ჰფენს ეთნოსის სამეურნეო ყოფის ხასიათს; გ. ცეცხლისა და საკულტო ადგილების განლაგების და მათთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების ანალიზის შედეგად ავლენს სოციალურ ურთიერთობათა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა სისტემას; დ. მისი საერთო მდებარეობით და ორიენტაციით, თავისი ადგილით სხვა ამავე რიგის თუ სხვა დანიშნულების ნაგებობათა შორის არკვევს დასახლების სტრუქტურის თავისებურებას და სხვ.

საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპოლოგიურ ნიშანთა შორის გარკვეული ადგილი უჭირავს ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო  მ ა ს ა ლ ა ს, რომელიც საცხოვრებელი ნაგებობის ნებისმიერი ტიპის ჩამოყალიბების პირველ სტადიაზე ძირითადად ეკოლოგიური გარემოს ნაყოფია, მაგრამ დროთა განმავლობაში, როდესაც კულტურისა და ყოფის ეს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი შერჩევითი სანქციის მექანიზმის მოქმედების შედეგად ნორმატიულ მოვლენად იქცევა და ეთნოსპეციფიკური ფაქტორის მნიშვნელობას მიიღებს, ეკოლოგიურ მოტივაციას ჰკარგავს და ტრადიციულობის ნიშან-პირობად გარდაიქმნება.

სამშენებლო მასალა და მშენებლობის ორგანიზაციის ფორმები შუქს ჰფენს, ერთი მხრივ, ხალხური ხუროთმოძღვრების განვითარების დონეს, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური ურთიერთობის იმ მხარეებს, რომლებიც შრომითი დახმარების სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი.

საცხოვრებელი კომპლექსის გ ა დ ა ხ უ რ ვ ი ს  ს ი ს ტ ე მ ა — კულტურისა და ყოფის ამ ელემენტის ტიპოლოგიის მესამე ნიშან-თვისებაა. სხვა საკითხია თუ გადახურვის მოცემული ფორმის შექმნა-ჩამოყალიბების პერიოდში

რა სოციალურ-ეკონომიკური პირობები ახდენს უშუალო გავლენას ამ პროცესებზე — აქაც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის სახით, ცხადია, ბუნებრივი პირობები უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ იმ სახით, რა სახითაც საცხოვრებელი კომპლექსის გადახურვის სისტემამ ჩვენამდე მოაღწია, იგი უთუოდ ტრადიციულობის მაჩვენებელი ნიშან-თვისებაა, რომელიც გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს იმ ხალხისა და მისი ეთნოსოციალური კულტურის შესახებ, რომლის ყოფაში იგი ძველთაგან მომდინარე ტრადიციის სახით არის დამკვიდრებული და მის მიერ ასეთად შერაცხულ-აღიარებული.

ასეთია ჩვენი მოსაზრებები, საერთოდ, ტრადიციული კულტურისა და, კერძოდ, საცხოვრებელი ნაგებობების ტიპოლოგიის შესახებ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასთან დაკავშირებით.

ზემოთ დასახელებული სამი ძირითადი ნიშან-პირობის მიხედვით კავკასიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის ჩამოყალიბდა შემდეგი უმთავრესი ტიპები, რომლებიც წარმოადგენს XIX ს-ის შუა წლებიდან მოყოლებული ვიდრე XX ს-ის შუა წლებამდე კავკასიის ხალხთა ყოფისათვის ტრადიციულსა და დამახასიათებელ ელემენტს[37]. ესენია:

I. წნელისაგან ნაგები, ორფერდასახურავიანი ფაცხა, დაუნაწევრებელი ფართით.

II. მორისაგან ნაგები, ორფერდასახურავიანი ჯარგვალი, თავის ამოსავალ ფორმაში დაუნაწევრებელი ფართით.

III. ფიცრით ნაგები ორ-ან ოთხფერდსახურავიანი ოდა, დანაწევრებული ფართით.

IV. შერეული მასალით ნაგები, ბრტყელბანიანი სახლი, თავის ამოსავალ ფორმაში დაუნაწევრებელი ფართით.

V. ქვით ნაგები, რთულგადახურვიანი და მრავალსართულიანი კოშკურა სახლი, ვერტიკალურად დანაწევრებული ფართით და ა. შ.

ზემოთ დასახელებულ ტიპთა შორის ყოველი მათგანი ქვეჯგუფებად არის დაყოფილი უკვე სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ასე მაგ., კოშკურა სახლი დანაწევრებულია დაცვითი ფუნქციის თავისებურებათა მიხედვით, ოდა-სახლი — სართულების მიხედვით, დარბაზული სახლი — გვირგვინის თავისებურებათა მიხედვით და სხვ. განსხვავდებიან საცხოვრებელ ნაგებობათა ეს ტიპები აგრეთვე გავრცელების არეალით. ასე, მაგ., ფაცხა და ჯარგვალი ძველად გავრცელებული იყო მთელს საქართველოში, მის სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა მასშტაბით, იგივე ითქმის ნაწილობრივ ბრტყელბანიანი სახლის შესახებ, რომელიც მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. საცხოვრებელ ნაგებობათა ისეთ ტიპებს კი, როგორიცაა დარბაზული, კოშკური და ოდა სახლები, ზემოთ აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში შედარებით ვიწრო, მაგრამ მტკიცედ შემოფარგლული გავრცელების არეალი ჰქონდა: პირველი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლია, მეორე — საქართველოს მთიანეთის, ხოლო მესამე — დასავლეთ საქართველოს დაბლობისა.

ფაცხა და ჯარგვალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის ზემოთ აღნიშნული ქრონოლოგიის ფარგლებში, როგორც საცხოვრებელი ნაგებობა, არ შეიძლება ჩაითვალოს დამახასიათებელ მოვლენად. მისი არსებობა მეტწილად დამხმარე სამეურნეო ინტერესებს ემსახურებოდა.

შერეული მასალით ნაგები ბრტყელბანიანი სახლი, საფიქრებელია, წარმოადგენს გარდამავალ ფორმას, რომელიც ძირითადად მთისფერდა ზო-

ნაში იყო გავრცელებული. დანარჩენი სამი ტიპის — დარბაზული, ოდური და კოშკური სახლის გავრცელების არეალი, ზემოთ აღნიშნული ქრონოლოგიის ფარგლებში, შეესაბამება სამ ძირითად სამეურნეო-კულტურულ ზონას, რომელთა შორის ყოველ მათგანს კულტურისა და ყოფის თავისი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნები გააჩნდა. ჩვენ არ ვხმარობთ ცნებას „კულტურულ-ისტორიული ტიპი" ან „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქი". ესენი, როგორც აღინიშნა, ეთნოგრაფიის მოვლენებისა და საგნების გლობალური კლასიფიკაციის კატეგორიებს წარმოადგენს და იმ სახით, რა სახითაც დღეისათვის არის ცნობილი ეს სქემები, რამდენიმე სხვადასხვა წარმოშობის ხალხს მოიცავს.

სამეურნეო-კულტურული ზონის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ერთი ეთნოსის შიგნით არსებულ ისეთი ნიშნების მქონე კომპლექსს, რომელიც ახასიათებს ისტორიულ-ბუნებრივი პირობებით ნათლად ჩამოკვეთილ სამ რეგიონს, კერძოდ:

1. **აღმოსავლეთ საქართველოს ბარი:** დარბაზული სახლი და ძლიერ შეჯგუფული, უმთავრესად გზისპირული დასახლება პატრონიმიული განსახლების რღვევის შორსწასული ნიშნებით; დიდი გუთანი, 8—12 უღელ ხარ-კამეჩიანი. დოლის პურის, როგორც ენდემური მარცვლეულის, უპირატესი გავრცელება; კევრი, როგორც პურეულის გალეწვის გაბატონებული წესი; პურის საცხობი თორნე, დიდი ურემი, ბეღელი, დოლაბის წისქვილი, დაბლარი ვაზი მისთვის დამახასიათებელი ღვინის დაყენების წესით; მორწყვის სისტემის დიდი მასშტაბი, მესაქონლეობის დაქვემდებარებული როლი მიწათმოქმედების მიმართ და სხვ.[38]

2. **დასავლეთ საქართველოს დაბლობი:** ოდა სახლი და ძლიერ გაფანტული, უპირატესად გზისპირული დასახლება პატრონიმიული განსახლების რღვევის გარკვეული ნიშნებით; სახვნელი იარაღის სახით ძირითადად იმერული კავი ერთი უღელი გამწევი ძალით; ღომის კულტურის უპირატესი გავრცელება მისთვის დამახასიათებელი ინვენტარითა (ჩუთი და ჩოგანი) და ხელსაწყოებით (ჩამურითა და საცეხველით); ჭადის საცხობი კეცი, ერთთვალიანი ბუჭულა წისქვილი; იმერული „ჩოჩიალა" ურემი, ნარიონალი, როგორც მიწის გაჯერების ძირითადი წესი; მაღლარი ვაზი მისთვის დამახასიათებელი ღვინის დაყენების წესით...[39]

3. **საქართველოს მთიანეთი.** კოშკურა სახლი და მჭიდრო, უპირატესად ხევისპირული დასახლება პატრონიმიული განსახლების კარგად შემონახული გადმონაშთებით; სათიბების მორწყვის წესი; სახნავების მონეხვ-წყვლა; ქერისა და ჭვავის მნიშვნელოვანი ადგილი მარცვლეულ კულტურებში; მარხილა-ურემი, მოსავლის გალეწვის მთური წესი, სასმელთა შორის ლუდის, არაყისა და თაფლუჭის ძირითადი ადგილი (მათ შორის ლუდის გავრცელება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში), გრიტა (ტურბინული) წისქვილის უპირატესი გავრცელება, პურის ცხობის წესი კა-კერაზე და ჰორიზონტალურ ღუმელში...

სამეურნეო-კულტურული ზონების საკითხის დამუშავებას საქართველოს ეთნოგრაფიულ მასალაზე დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ზოგი რამ აქ წარმოდგენილ სქემაში შესავსებია, ზოგიც, შესაძლებელია, შესასწავლი, მაგრამ ამ სახითაც პერსპექტიულია როგორც საერთოდ ეთნოგრაფიული კვლევისათვის, ასევე ატლასის ამოცანებთან დაკავშირებით.

თუ საატლასედ გამოტანილი ელემენტი კულტურისა, ამ შემთხვევაში

საცხოვრებელი ნაგებობის ტიპოლოგიის საკითხი კომპლექსში განხილვას მოითხოვს, ამის საფუძვლად, ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი სამეურნეო-კულტურული დარაიონება შესაფერის პირობას წარმოადგენს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. С. И. Брук., С. А. Токарев. Проблемы составления Европейского историко-этнографического атласа, СЭ, 1966, №5.

2. С. А. Арутюнов, Ю. И. Мкртумян, Проблема классификации элементов культуры. СЭ, 1981, № 5.

3. С. И. Брук, Историко-этнографическое картографирование и его современные проблемы, СЭ, 1973, №3; С. И. Брук, В. И. Козлов, Основные проблемы этнографического картографирования, ПКЯЭ, Лнгр., 1974.

4. Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, Народы, расы, культуры, М. 1971, 169.

5. სქემა შედგენილია ა. ფადეევისა და ი. ჩერნოვის მიერ.

6. Н. Н. Чебоксаров, И. А. Чебоксарова, Народы, расы, культуры, 215.

7. Г. Е. Марков, Проблема сравнительной археологической и этнографической типологии, ПТЭ, М., 1979, 151.

8. Х. А. Моор, А. Х. Моор, К вопросу об историко-культурных подобластях и районах Прибалтики, СЭ, 1960, № 3.

9. С. А. Арутюнов, А. М. Хазанов, Археологические культуры и хозяйственно-культурные типы; проблемы соотношения, ПТЭ, М., 1979, 140.

10. В. В. Пименов, Урало-Волжская историко-этнографическая общность ПТЭ, М., 1979, 47.

11. ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბათუმის ს/კ ინ-ის შრომები, I, ბათუმი, 1960, 11—12.

12. ალ. რობაქიძე, ქართული ხალხური ნაგებობანი, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქართული ეთნოგრაფიული ატლასის საკითხისადმი, თბ., 1960, 7—8.

13. Я. В. Чеснов, О принципах типологии традиционно-бытовой культуры, ПТЭ, М., 1979, 188—189.

14. იქვე, 189.

15. В. Р. Кабо, Теоретические проблемы реконструкции первобытности, ЭИРПО, М., 1979, 91.

16. М. В. Крюков, О принципах типологического исследования явлений культуры, СЭ, 1983, № 5, 10.

17. Forschungen über die Hausformen in Georgien, Friedrich Baumhauer, Mitteilungen aus Museum für Völkerkunde, Hamburg, XII, 1928.

18. R. Mielke, Siedlung d. deutschen Volkes u. ihre Beziehung zu Menschen u. Landschaft, München, 1927.

19. Л. В. Маркова, Типы сельского жилища в Болгарии, ТСЖЗЕ, М., 1968, 32—33.

20. М. Я. Салманович, Типы румынского народного жилища, ТСЖЗЕ, 53.

21. Общая систематика народного жилища в странах Европы, ТСЖЗЕ, 364—365.

22. О. Л. Всскльева, Формы оседлого жилища Южной Туркмении..., ЖНСАК, М., 1982, 193; Б. И. Вайнберг, Жилища и хозяйственные постройки туркмен левобережья Хорезма, ЖНСАК, 179 и след.

23. М. А. Хамиджанова, Жилище таджиков Янгоба, ЖНСАК, 227; И. Мухиддинов, Традиционное жилище таджиков среднего течения р. Вахш, ЖНСАК, 211.

24. В. П. Кобычев, Поселения и жилища народов Кавказа, М., 1982, 72—73.

25. Типы традиционного сельского жилища народов Юго-Восточной, Восточной и Центральной Азии, М., 1979.

26. Г. С. Читая, Этнографические исследования в Грузинской ССР, СЭ, 1948, № 4.

27. ა. აფაქიძე, გ. ჩიტაია, ე. ხოშტარია, ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე, „შრომები“, III, თბილისი, 1958, 39.

28. გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, „მიმომხილველი“, I, თბილისი, 1926, 140.

29. ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება. აჭარა, თბილისი, 1956, 59.

30. ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, 14.

31. ჯ. მიქელაძე, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი, 1982, 71.

32. თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბილისი, 1967, 43 და შმდ.

33. გ. გეგეჭკორი, მთიულური ქვიტკირის ზოგიერთი მხარე, კეკ., III, თბილისი, 1971, 40 და შმდ.

34. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1964, 23 და შმდ., ა. ქალდანი, კოშკების სამყაროში, თბილისი, 1978.

35. ე. ბერიძე, XVI—XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, I, თბილისი, 1983, 284 და შმდ.

36. С. А. Токарев, К методике этнографического изучения материальной культуры, СЭ, 1970, № 3, 11.

37. В. П. Кобычев, А. И. Робакидзе, Основы типологии картографирования жилища народов Кавказа, СЭ, 1967, №2, 35—36.

38. შდრ. გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წინასწარი ანგარიში, „მიმომხილველი“, I, თბილისი, 1949, 366.

39. А. И. Робакидзе, К вопросу о формах поселения в Сванети, КСИЭ, в. XXIX, М., 1958, 60.

40. ალ. რობაქიძე, ვ. შამილაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში კულტურის ელემენტების კლასიფიკაციისა და სამეურნეო-კულტურულ ტიპოლოგიასთან მისი მიმართების საკითხისათვის, სდსკუ, X. თბ., 1983.

გ. გეგეჭკორი

# ციხე-სახლები საქართველოში

ნაშრომს საფუძვლად უდევს 1961—76 წლებში ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა. ამასთან გამოყენებულია სპეციალური ლიტერატურა. ამ მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ციხე-სახლები საქართველოს მთიანეთში XI საუკუნიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერთ-ერთ ძირითად საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენდა, რომელიც ამასთანავე იერთიანებდა სამეურნეო და თავდაცვით ფუნქციებს.

საქართველოში ციხე-სახლების დანიშნულების, ქართველ მთიელთა ცხოვრებაში მათი მნიშვნელობის შესახებ ცნობები ეკუთვნის ს. მაკალათიას, რომელმაც, საილუსტრაციო მასალებთან ერთად, მოგვცა ამ ნაგებობათა მოკლე აღწერილობები[1]. ასევე საყურადღებოა ბ. ნიჟარაძის სვანური სახლის საცხოვრებელი სართულის აღწერილობა. ეს კი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ მასში ვხედავთ სვანური ციხე-სახლის საცხოვრებელი სართულის შიდა მოწყობილობის ელემენტებს[2].

ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობის, სვანური სახლის შიდა მოწყობილობისა და ხევსურული ციხე-სახლების გავრცელების შესახებ ცნობებს ვხვდებით გ. ჩიტაიას შრომებშიც[3].

თავდაცვითი მნიშვნელობის ნაგებობათა კლასიფიკაციითა და არქიტექტურული ანაზომებით აღსანიშნავია მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას შრომები[4]. ასევე საინტერესოა ვ. დოლიძის მიერ ხევში აღწერილი ციხე-სახლის სახეობა[5].

სვანთა საზოგადოებრივი ყოფის გაშუქებასთან დაკავშირებით, სვანურ საცხოვრებელ ნაგებობებს ეხება ალ. რობაქიძეც. აღსანიშნავია ამავე ავტორის ნაშრომი, სადაც ნაჩვენებია მთიულური ციხე-სახლების განვითარების ეტაპი[6]. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს გ. ჩართოლანის შრომებიც, რომლებშიც ავტორი სვანეთისა და მთიულეთის მაგალითზე იძლევა საინტერესო მასალას და მეცნიერულ ანალიზს[7]. სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ვ. ითონიშვილმა მოხეურ საცხოვრებელ ნაგებობებს, მათ შორის ციხე-სახლებსაც, ავტორმა ხევის მაგალითზე პირველმა მოგვცა მათი სრული კლასიფიკაცია[8]. თუშური ხევსურული და მთიულური ციხე-სახლების შედარებით დაწვრილებითი აღწერილობა ჩვენც მოცემული გვაქვს სპეციალურ გამოკვლევაში, სადაც მათ ვიხილავთ შესადარებელი მასალის თვალსაზრისით[9].

სვანური ციხე-სახლებისა და მათი სახესხვაობების განვითარების ეტაპების ჩვენებითა და კლასიფიკაციით აღსანიშნავია ა. ქალდანის ნაშრომიც, სადაც ავტორი დამაჯერებლად მიგვანიშნებს მათი გავრცელების არეალზე[10].

საქართველოში ციხე-სახლები ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: ციხე — თუშეთში (იხ. სურ. 1, 2), სახლი — ფშავში (იხ. სურ. 2), ქვითკირი — ხევში, ხევსურეთსა და მთიულეთში (იხ. სურ. 3, 4, 5), დუროიანი სახლი —

მთარაჰაში (იხ. სურ. 6), ლაზგა-მურყვამ — სვანეთში (იხ. სურ. 7) და სხვა. რამდენადაც ზოგად სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია ტერმინი ციხე-სახლი, ამ ტიპის ნაგებობებს ჩვენც, ზოგადად, „ციხე-სახლს“ ვუწოდებთ. ზემოთ ჩამოთვლილი სახელწოდებები წარმომდგარია ამა თუ იმ დეტალის, ფუნქციის, საშენი მასალის თავისებურებიდან.

ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდში ამ ტიპის ნაგებობანი სხვა საცხოვრებელ ნაგებობათა შორის უძველესს წარმოადგენენ. ისინი თავდაცვითი მნიშვნელობის ნაგებობებია, სადაც სამეურნეო თავდაცვითი და საცხოვრებელი სათავსოები თუ დეტალები ერთ ვერტიკალურ განზომილებაშია მოქცეული. ეს ნაგებობანი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ერთ-ერთ ძირითად საცხოვრებელს წარმოადგენდა საქართველოს მთიანეთში, ხოლო ზოგ ადგილას მას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

საქართველოში გავრცელებული ამ ტიპის საცხოვრებლები ძირითადად ორ — ოთხსართულიანი შენობებია, რომლებიც მრავალი სახესხვაობით ხასიათდებიან. თუშეთში 5—7 სართულიან ციხე-სახლებსაც ვხვდებით (იხ. სურ. 8). ისინი ნაშენია როგორც ქვების მშრალი წყობით, ასევე კირით. ძირითადში ამ სახესხვაობებს ქმნის: 1. სართულიანობა და მათი გამოყენების წესი, 2. გადახურვის ფორმა, 3. თავდაცვითი მნიშვნელობის დეტალები და სხვ.

გადახურვის მიხედვით ვხვდებით როგორც ბანურს, ასევე ორფერდას (სიპით ან ყავრით გადახურულს) (იხ. სურ. 9—9ა), თავდაცვითი მნიშვნელობის დეტალების მიხედვით კი აღსანიშნავია ჩარდახიანი ქვის დასაშვები, დუროიანი, სანცხვირიანი — საისრე ხვრელი, სამდუღრიანი და სხვა. საყურადღებოა აგრეთვე წოვა თუშური ციხე-სახლი, რომელიც ხშირად ხასიათდება ქვედა კედელზე მიდგმული კონტრფორსით (იხ. სურ. 9ბ).

ციხე-სახლების გავრცელების არეალი მოიცავს საქართველოს მთის ძირითად ხეობებს, სადაც ცენტრალური ხელისუფლების გავლენა საკმაოდ სუსტი იყო — ქართველ მთიელს საკუთარი ძალებით უხდებოდა ოჯახის დაცვა როგორც გარეშე, ისე შინაური მტრისაგან. ამიტომაცაა, რომ ამ ტიპის საცხოვრებელი ნაგებობებით გაშენებულ სოფელთა უმრავლესობა, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, უძველეს დასახლებად ითვლებოდა იმ სოფლებთან შედარებით, რომლებიც სხვა ტიპის საცხოვრებელი ნაგებობებით ხასიათდებიან (ერთსართულიანი მიწურბანიანი, ორსართულიანი მიწურბანიანი თუ ორფერდსახურავიანი, კალოიანი თუ მოქცეული სახლები და სხვ.).

ციხე-სახლებით გაშენებული სოფლები კლდოვან, ძნელად მისადგომ, სახნავად უვარგის ადგილებზეა განლაგებული. ისინი ძირითადად სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არიან ორიენტირებულნი, რაც, რასაკვირველია, საქართველოს მთაში ვეგეტაციური პერიოდის სიმოკლითაა გამოწვეული!

სახნავი მიწების სიმცირე, ნიადაგის ჩამორეცხვისა და ზვავ-მეწყერის საშიშროება, აგრეთვე სტრატეგიული თვალსაზრისი მოსახლეობას იძულებულს ხდიდა, ასეთი სახლები დაედგათ თავდაცვისათვის მოსახერხებელ ადგილზე. ამით სოფელი მეთვალყურეობას უწევდა მისკენ მიმავალ ყველა გზას. ამიტომაცაა, რომ კედლებში დატანებული სარკმლები და სათოფურები სწორედ სოფელთან მისასვლელი ბილიკებისკენაა მიმართული. სახლების ამგვარი განლაგება თავდაცვის საერთო-სასოფლო ინტერესებიდან გამომდინარეობდა, რაც მას მიუდგომელს ციხე-სიმაგრედ აქცევდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, იყო შემთხვევები, როცა ცალკეული სახლები ატარებდნენ თავდაც-

ვით ხასიათს. ეს ზოგჯერ ურთიერთმტრობით ან სისხლის აღების შემონახული წესით იყო განპირობებული (იხ. სურ. 9ბ).

ამ ტიპის უძველეს ნაგებობათა შორის აღსანიშნავია ის ციხე-სახლები, რომლებიც ხასიათდება მხოლოდ საშვილდისრე ხვრელებითა და ჩარდახებით (იხ. სურ. 10); შემდგომისათვის, საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების გარკვეულ საფეხურებზე, მათ განუცდიათ კონსტრუქციული ცვლილებები, რაც გაპირობებული იყო ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენით. ამანაც უთუოდ გამოიწვია დამატებითი დეტალის — სათოფურის წარმოშობა და მისი სრულყოფილი სახით ჩამოყალიბება. ეს კი ადრეული სახლების განიერ საშვილდისრე სარკმლებსა და ჩარდახებს უკარგავდა ეფექტიანობას და, როგორც წესი, მათ უკვე ცვლიდა საკმაოდ ვიწრო, გარედან ძნელად შესამჩნევი სხვადასხვა ფორმის სათოფურები (იხ. სურ. 11, 11ა, 11ბ).

განვითარების ამ ეტაპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართული ციხე-სახლები ამის ნათელი დადასტურებაა. მაგალითად, ზოგს მარტო საშვილდისრე სარკმელი აქვს დართული (იხ. სურ. 12), ზოგს — ჩარდახი, ზოგსაც სათოფურთან ერთად — ჩარდახი (იხ. სურ. 13), ხოლო მარტო სათოფურებიანი ციხე-სახლები ყველაზე მაღლა დგას თავდაცვითი მნიშვნელობით. პირველი ფორმის ციხე-სახლები, როგორც უხეშად, ასევე ნატიფად დამუშავებული, თლილი ქვებითაა აშენებული. კედლის სიმკვრივისათვის გამოყენებულია გადასაბმელი ქვები, რომელთა სიგრძე კედლის სიგანის ტოლია და ძირითადად კედლების შუა ნაწილშია ხოლმე განივრად დატანებული. მშრალად ამოყვანილ ორფა კედლებს, რომელთა შუაგული ქვის ნატეხებითა და მიწითაა ამოვსებული, ასეთი ქვები მეტი რაოდენობით ერთვის, ხოლო კირით ნაგებ კედლებს — მხოლოდ რამდენიმე ადგილას.

ციხე-სახლის კედლებს მრავალი ნიშა და თახჩა აქვს დართული, რომლებიც ძირითადში საოჯახო ჯამჭურჭლის ჩამოსაწყობად გამოიყენებოდა (იხ. სურ. 14, 14ა).

## ალწერილობა

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ციხე-სახლების გადახურვა ორი ფორმისა იყო: 1. მიწურბანიანი, 2. ორქანობიანი. სახურავის პირველი ფორმა ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთ-ხევის და ქსნის ხეობებისათვის ყოფილა დამახასიათებელი, ხოლო ორფერდა სახურავი — თუშეთისა, მთარაჭისა და სვანეთისათვის. ასევე განსხვავებულ ფორმას ატარებდა სართულშუა გადახურვაც. მაგალითად, ზოგიერთ ციხე-სახლს მთიულეთში პირველი სართულის შუა ნაწილიდან მეორე სართულის იატაკამდე, ან გადახურვამდე, აღმართული აქვს ქვით ნაშენი სვეტი — კულა (იხ. სურ. 15, 15ა), რომელზედაც გადებულია ოთხივ კედლიდან გამოსული ოთხი თავხე. ამ თავხეებზე აწყვია შედარებით წვრილი ძელები, ძელებზე — შოლტები, შოლტებზე ჭერი (ორად დახსნილი წვრილი ძელები), შემდეგ დაყრილია მიწა, რომელიც შემდგომში იტკეპნება. თუ სახლს კულა არა აქვს, მის მაგივრობას რამდენიმე ადგილზე შეყენებული ბოძი სწევს, ანდა კედლიდან კედლამდე გადებულია ერთიანი დიდი თავხე, რომელიც გადახურვის მთელს სისტემას იჭერს (იხ. სურ. 16).

თუშეთში გადახურვის სისტემა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: 1. ხიდი (თავხე), 2. ყავრე (მომცრო ძელები), 3. ჩლაკვი (არყის ხის ქერქი), 4. მიწა — დატკეპნილი (იხ. სურ. 17).

მთარაჭაში: 1. მდირე (თავხე), 2. ფოშტა (ცულით გათლილი ფიცრები), 3. იფხლის ტოტები, 4. მიწა (იხ. სურ. 18).

ხევსურეთში: 1. კეზელი (თავხე), 2. ძელი (მომცრო თავხე), 3. ფიჩხი, 4. ფიქალი ან ხის ქერქი, 5. მიწა — დატკეპნილი (იხ. სურ. 19).

სვანეთის მაგალითზე განსხვავებულ სისტემას ვხვდებით. პირველი სართულის ჭერში გადებულია ორი სასვენი დირე (შაშვებ დურ), ამათგან ერთს სვეტი აქვს შეყენებული, ხოლო დირეების ბოლო და თავი კედლებშია ჩამჯდარი. შედარებით ქვემოთ, კედლებს შუა, გადებულია მზიდი დირე (დირ). მზიდი დირე ჭერის დატვირთვას ორი პატარა სვეტის საშუალებით სასვენ დირეებს გადასცემს. მზიდი დირიდან გვერდით კედლებზე დაქანებულად გადებულია ჭერი. ხის ძელაკებზე ქვის წყობა ისეა მოწყობილი, რომ ძირითადი დატვირთვა მზიდ კედლებზე გადადის. ზემოდან კირწყლისა და ღორღის ხსნარია დასხმული და ამით შევსებულია მეორე სართულის იატაკის დონემდე. იატაკზე აქაც ფიქალია მოფენილი.

ზოგჯერ სვანურ ციხე-სახლში ასევე თავისებურია პირველ და მეორე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა, სადაც იგი ქვითაა მოწყობილი ხის შეფიცვრამდე (იხ. სურ. 20).

ასევე ნაირგვარია ციხე-სახლების გადახურვის სისტემაც. მაგალითად, თუშეთის ციხე-სახლის წინა და უკანა კედლების ზედა ხაზის შუა ნაწილიდან აღმართულია შუაზე დახსნილი ხის ძელებით ერთმანეთზე გარდიგარდმო ოთხკუთხედად დაწყობილი საყრდენი — მილიონა (იხ. სურ. 21) მასზე ზემოდან გადებულია კ ე ს ი ს ხ ი დ ი. გარდა კესის ხიდისა, სახურავზე გადებულია კიდევ ოთხი ხიდი — ძელი; ორი მათგანი პირდაპირ გვერდით კედლებზეა მოთავსებული, ხოლო ორიც — კესის ხიდსა და ხიდს შორის დაქანებაზე. ამ ხიდებზე გადებულია ხის წვრილი ლ ა რ ტ ყ ე ბ ი, რომლებზედაც ზევიდან ეწყობა ფიქალი. ლარტყებს თავები გახვრეტილი აქვს, რომელშიც გაყრილია გათლილი ჩხირები. ჩხირები გამოდებულია კესის ხიდზე და ამით იჭერს მას. კესის ხიდზე დაფენილია ფიქალი, ხოლო საბოლოოდ, კესის ხიდის გაყოლებაზე, გადახურვის შესაკვრელად გადებულია ყველაზე დიდი ზომის ფიქალი, რომელსაც კ ე ს ი ს ქ ვ ა ს უწოდებენ (იხ. სურ. 22).

მთარაჭის დუროიანი სახლის მაგალითზე კი გვერდით კედელზე გადებულია ხუთი თავხე. ორ შუა თავხეზე აღმართულია ორი კროწიალა მოკლე ძელი. ეს ძელები ზედა თავხის საშუალებით ანაწილებენ გადახურვის სიმძიმეს ორ ქვედა თავხეზე. ზედა თავხის — ს ა ტ ვ ი ნ ი ს ხ ი ს ბოლო და თავი ჩამოკიდებულია წინა და უკანა კედლებზე — შუა ნაწილში. მასზე დაფენილია ლარტყები — ს ა ქ ც ი ე ლ ე ბ ი, რომლებზედაც გადახურულია ყავარი (იხ. სურ. 9ა).

ციხე-სახლები ძირითადში კლდის ჯიშის ქვებითაა აშენებული, იშვიათად, მცირე რაოდენობით, გამოყენებულია რიყის ქვა, ისიც მაგიური მნიშვნელობით. სამშენებლო ქვისა და ხის დამზადება ახლო ნათესავებისა და მეზობლების დახმარებით ხდებოდა. იქმნებოდა შრომითი გაერთიანება — ურთიერთდახმარების ორგანიზაცია — უსასყიდლოდ. ასეთი გაერთიანებები საქართველოს მთაში ცნობილია შემდეგი სახელწოდებებით: მუშა, ულამი, მამითადი, ნადი და სხვა.

სამოსახლო ადგილის შერჩევა და სახლის მშენებლობის თითქმის მთელი პროცესი მიმდინარეობდა ხალხში შემორჩენილი მაგიურ-რელიგიური რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების დაცვით, რომელთაც თან ერთვოდა ოჯახის წევრთა ლოცვა და ვედრება. ასეთებია: მკითხავის რჩევა სამოსახლოს

ავკარგიანობაზე, ხატის ნება, საძირკველში ვერცხლის ფულის, მატყლის, წვეტიანი ნივთების (ხანჯლის, ნამგლის, ხმლისა და სხვა წვეტების ჩატანება), მამლის ან ცხვრის სისხლის ჩასხმა საძირკველში და სხვა.

დიდ შრომას მოითხოვდა საკირისა და თვით კირის დამზადება, რომელიც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ციხე-სახლების ასაშენებლად გამოიყენებოდა. რაჭაში საკირე მდინარის პირზე შენდებოდა. კარგ საკირე მასალად პ ო ნ ტ ი კ ი ს ქ ვ ა (კლდის ჯიშია) ითვლებოდა. საკირეში ჩაწყობილი ოთხი საჟენი პონტიკის ქვის გამოწვას რვა საჟენი შეშა სჭირდებოდა. ქვა 4—5 დღე იწვოდა: გაციებას დრო არ სჭირდებოდა, შეიძლებოდა, გამოწვისთანავე აერიათ ლ ი ს ა ს ა (სილას), და წყალში და სამშენებლოდ გამოეყენებიათ.

ციხე-სახლები ძირითადში კლდოვან ნიადაგზეა დაშენებული, სადაც ნიადაგი საშუალებას იძლეოდა, საძირკველს იქ გაუთხრიდნენ. სახლის მშენებელს უმეტესად ქირაობდნენ (იყო შემთხვევები, როცა ოჯახის მრავალრიცხოვანი წევრები თვითონ აშენებდნენ), საძირკველსაც ის აწყობდა ოჯახის უფროს მამაკაცთან ერთად (უცხო პირს საძირკვლის ჩაყრისას ახლოს არ მიუშვებდნენ — ცუდი თვალი არ ჰქონდესო). კედლების ამოყვანისას ხელოსანი მის სისწორეს თვალზომით იცავდა (გვიან კი ხელსაწყოებითაც დაუწყიათ). სახლის კედლის ერთი კუთხის განსაზღვრულ სიმაღლეზე ამოყვანის შემდეგ ხელოსანი მეორე კუთხეს ამოიყვანდა, მერე მესამეს, მეოთხეს, ისე, რომ ამ კუთხეთა წყობას უსწორებდნენ შემდგომ კედლებსაც. ამ წესით კედლების ამოყვანა ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ შიგნიდან კედლის კუთხეების ერთმანეთთან დასაკავშირებლად — სიმაგრის მისაცემად — კუთხის ბრტყელი ქვები იდებოდა, რომლებიც ყოველ 90—100 სმ. სიმაღლეზე თავსდებოდა (იხ. სურ. 23), ხოლო გარეთა გვერდითი კედლის კუთხის დიდი ზომის ქვა წინა კედლის წინა ხაზზე გამოდიოდა. მეორე შემთხვევაში, კი წინა კედლის კუთხის ქვა გვერდითი კედლის ხაზზე თავსდებოდა, რაც კედლის წყობას დიდ სიმაგრეს მატებდა. ამასთანავე, თუ სახლის კედლები მშრალი წყობით შენდებოდა, ორფა კედლების გადასაბმელი ქვების რაოდენობა კედლის შუა ნაწილში მეტი იყო. პირველი სართულის კედლების ამოყვანის შემდეგ კედლებს შორის გასდებდნენ თავხეს. ეს თავხე და მასზე ნაწილობრივ გაწყობილი სართულთშორისო გადახურვა ხარაჩოების მაგივრობასაც ეწეოდა. ამდენად, ყოველ სართულს დამოუკიდებელი ხარაჩო ექმნებოდა. სახლი საბოლოოდ ღებულობდა ფორმას, რომელსაც ქვედა ნაწილი შედარებით განიერი ჰქონდა, ზედა სართულების სისქე კი ვიწრო. ძირითადში ამ კედელთა სისქე 60—80 სმ-ია, ზედა ნაწილში — 40—60 სმ. (იხ. სურ. 24). სვანეთში ზოგ შემთხვევაში განსხვავებულ ფაქტთან გვაქვს საქმე. მაგალითად, კედლების სიგანე 2,70—1,40 მ. უდრის, გადახურვასთან კი 0,60—0,75 მ-ია. კედლის შიგა პროფილიდან შემცირების ხარჯზე მშენებელი ზრდის მომდევნო სართულის ფართს.

ასეთია ზოგადად საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ციხე-სახლების გარეგნული ფორმა.

საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ციხე-სახლთა სრული წარმოდგენისათვის საილუსტრაციოდ მოვიტანთ დუროიან სახლს მთარაჭიდან, მიწურბანიან ციხე-სახლს — ხევსურეთიდან.

ჩვენ მიერ სოფ. ღებში აღწერილი დუროიანი სახლი ოთხსართულიანი ნაგებობაა, რომელიც ორფერდა სახურავითაა გადახურული. ამ სახლის სიმაღლე 11,68 მეტრია, სიგრძე — 9,57, ხოლო სიგანე 8,32 მეტრს უდრის, ამ

ნაგებობას გეგმაზე დაახლოებით 79,62 კვ. მეტრი ფართობი უკავია. ამ სახლის პირველი სართული მხოლოდ ბოსლად გამოიყენებოდა, მეორე — საცხოვრებლად, მის შუა ნაწილში კერა იყო გამართული და ერთიან გადაუტიხრავ დარბაზს წარმოადგენდა. ასევე გადაუტიხრავია მესამე სართულიც, რომელიც შემდგომ ახალი ოჯახების საცხოვრებლად გამოიყენებოდა (იხ. სურ. 26). მეოთხე სართული კი, რომელიც უშუალოდ სახლის გადახურვის ქვეშაა მოქცეული, ძირითადში თავდაცვით ინტერესებს ემსახურებოდა. კედლებს ოთხივე მხრიდან დატანებული აქვს ოთხ-ოთხი თაღიანი და სათოფურიანი დურო (იხ. სურ. 23). იგი თავის დროზე გამოიყენებოდა, როგორც ქვის დასაშენად, ასევე ცეცხლსასროლი იარაღისათვისაც. ცეცხლსასროლი იარაღის მოქმედების არე საკმაოდ შორ მანძილს მოიცავდა, უშუალოდ კედელთან მომდგარ მტერს ქვებს უშენდნენ. ცხადია, სათოფურები გვიანაა დატანებული დუროებში (იხ. სურ. 9ა, 13).

ყოველ სართულს ცალკე შესასვლელი აქვს, რომელიც ურდულ-ს ა გ დ ო ლ გ ა ყ რ ი ლ ი კარებით იკეტება.

პირველ სართულს შესასვლელი აღმოსავლეთით აქვს, მეორეს — სამხრეთით, მესამესა და მეოთხეს — დასავლეთით. გარდა ამისა, ყოველი სართული ერთმანეთს სართულშორისო ხვრელით უკავშირდება.

ყოველი სართული თავის სახელწოდებას ატარებს: — პირველი — ბოსელი, მეორე და მესამე — სახლი, ხოლო მეოთხე — ციხე.

პირველი სართულის გვერდითი კედლების გასწვრივ დაფენილია მრგვალი ძელები — ჰერი (საქონლის სადგომად). მას კედელთან დართული აქვს ხის ბაგა თივისა და ჩალისათვის. ეს სართული საკმაოდ ბნელი და თბილია, აქ საქონელს აბამდნენ რიგისა და წესის მიხედვით.

სვანეთში კი საქონლის სადგომი სხვადასხვაგვარადაა მოწყობილი, ამ მხრივ იგი თავისებურია. ორ კედელზე მიდგმულია ფიცრის გ ვ ა ლ ი, რომელშიც დაბმულია მსხვილფეხა პირუტყვი (იხ. სურ. 26). გვალის ერთი კარი საქონლის შესასვლელია. მას დართული აქვს აგრეთვე პირუტყვის თავგამოსაყოფი ადგილი ბაგისაკენ, ხოლო უშუალოდ საქონლის სადგომზე დაფენილია ფიქალი. გვალი გადახურულია, მის თავზე — ფ ა რ ე ხ შ ი — თხაცხვარსაც ამწყვდევდნენ. თავისებურებას ეს სართული იმითაც ქმნის, რომ ზოგიერთი ციხე-სახლის პირველი სართულის — მ ა ჩ ვ ი ბ ი ს — კედლების მეტად დიდი სისქე საშუალებას იძლეოდა კედელშივე მოეთავსებინათ დერეფანი და სამალავი, მთარაჭის ციხე-სახლების პირველ სართულზე კი აქ ამგვარი ტიხარი არ არის. ცალკე ფიცრით ამოკავებული სათავსო მომცრო ზომის სალორეს წარმოადგენდა.

მართალია, მთიულეთსა და მთათუშეთში პირველი სართული ბოსლად იყო გამოყენებული, მაგრამ ამასთანავე, ისევე როგორც ხევსა და სვანეთში, ოჯახის წევრთა დროებით საცხოვრებელსაც წარმოადგენდა (სითბოს გამო ან ოჯახის წევრთა რიცხობრივად გაზრდისას, ახალი სახლის აშენებამდე).

მთიულეთსა და თუშეთში, ამ სართულზე ცალკე ადგილი ჰქონდა გამოყოფილი მშობიარე ქალსაც.

დუროიანი სახლის მეორე სართულის შუა ნაწილში გამართული იყო კერია — ყ ვ ე რ ფ ი. შუაცეცხლის მთელს კომპლექსს სახელწოდება კერია მიღებული აქვს იმ დიდი ქვებისაგან — კერიებისაგან, რომლებიც შუაცეცხლს თავსა და ბოლოში აქვს დართული. ეს ქვები, არც თუ ისე იშვიათად, მოჩუქურთმებული ყოფილა, რომელზედაც სხვადასხვა გეომეტრიულ საგნებთან

ერთად მზის დისკოს გამოსახვაც სცოდნიათ, რომელიც ასევე მაგიურ-აპოთროპიული დანიშნულებისა ჩანს. კერის თავზე ჭერიდან ჩამოშვებული იყო ხარიხები — გ ა რ ე ე ბ ი. მასზე ზევიდან დაფენილი იყო ფიქალი, კეცის ქვა ან სქელი ფიცარი — ნ ა რ ტ ყ ე ლ ა, რომელიც ჭერს ცეცხლისაგან იცავდა. მასზე ეკიდა საკიდელი — მ კ ე ტ ი — ქვაბის ჩამოსაკიდებლად, რომელიც ოჯინჯალთან საფენებლით სხვენზე იყო მიმაგრებული. მის გვერდით სამკვრე ეკიდა, რომელზედაც კვარი ენთო.

თუშეთის ციხე-სახლების მაგალითზე შუაცეცხლი შედარებით ადრე მოშლილა. მისი ადგილი კედელთან მიდგმულ ბუხარს დაუკავებია. თითქმის იგივე ვითარებაა სვანეთშიც. თუშური ბუხარი თავისებური ფორმისაა. მას კედელში კი არ აქვს ღრმული დატოვებული დასანთებად და კვამლის ასასვლელად, არამედ უშუალოდ მის პირზეა, რომლის თავზეც ჩამოშვებულია კედელზე მიდგმული და ჭერში ჩამაგრებული გათლილი ფიცრის ან წნელის ტალახშელესილი ძაბრისებრი საკვამლე (იხ. სურ. 27).

ღებში კერიასთან სხდომისას დაცული იყო სქესობრივ-ასაკობრივი რიგი. ოჯახის უფროსი კაცი კერის თავს იჯდა მისთვის განკუთვნილ სკამზე, რომელსაც საქართველოს მთიანეთში სხვადასხვა სახელწოდება აქვს: ს ა უ ფ რ ო ს ო ს კ ა მ ი, ს ა კ ა რ ც ხ უ ლ ი, ს ა კ უ რ ც ხ ლ ი ვ და სხვა. კერია პირობითად ორ ნაწილად იყო გაყოფილი — საკაცოდ და საქალებოდ. გვერდითი და უკანა კედლის გასწვრივ გამართული იყო ხის საწოლი, სადაც ოჯახის წევრები დასაძინებლად თავსდებოდნენ ცოლქმრობისა და უფროს-უმცროსობის მიხედვით. იქვე იდგამდნენ საავნეს, რომელზედაც შეყენებული იყო აკვანი. ახლად დაქორწინებულებს ცალკე კუთხეში ან კარსელში (მეორე სართულის დონეზე გვიან მიდგმული ბედელი) ათავსებდნენ. თუშეთშიც ასეთ სათავსოს კარსელს უწოდებდნენ (იხ. სურ. 28).

კერიასთან საკაცეზე (მოწნული ჩელტი) ასვენებდნენ აგრეთვე მიცვალებულს (თავით კერიისაკენ), რომელიც აქ ესვენა ერთი დღე, მეორე დღეს მას ასაფლავებდნენ.

რ ა ჭ ა ში სახლის ერთ კუთხეს წ ი ნ უ ც ა ლ ა ს უწოდებდნენ (სვანეთში ლამზარ ლაჰვრა-ს). აქ ოჯახის უფროსი შაბათ საღამოს ანთებდა სანთელს, შესთხოვდა მთავარ ანგელოზს ოჯახის ბედნიერებას. ამის ანალოგიურია მოხეური საწმინდოც.

საქალებო მხარეს, კედელთან, იდო სამზითეო კიდობანი, ს ა გ ო მ ი — კოკა, გ ი დ ე ლ ი — პურის საზიდავი, კ უ პ რ ი ე ლ ი — ტიკი რძის საზიდავი, კ ვ ა ტ უ ში — ერბოს შესანახი ხის ჭურჭელი, ც ქ ი ფ ი — თევზის საჭერი ჩანგალი, ს ა ფ ი ც ხ ე ლ ი — ფოცხი, კ ა რ დ ა ლ ი — თუჯის ქვაბი, ფ ი ლ ი — ყველის ჭურჭელი, ს ა ჩ ე ჩ ე ლ ი, ს ა ძ ი რ ი — ძაფის საგრეხი ტარი, თ ი თ ი ს ტ ა რ ი და სხვა.

მესამე სართული ოჯახის რიცხობრივად გაზრდილი წევრების საცხოვრებელს წარმოადგენდა, სადაც ისინი, ძირითადში, დასაძინებლად ადიოდნენ, ხოლო გვიან, ოჯახის გაყოფის შემდეგ, ამ სართულზე ნაწილობრივ დამოუკიდებელი კერია — ოჯახი გაჩნდა.

მეოთხე სართული — ციხე, უშუალოდ გადახურვის ქვეშ არის მოქცეული, მისი იატაკი მიწურია. ამ სართულის სიმაღლე გაცილებით დაბალია. იგი მოგვაგონებს თუშურ ჭერხოს და სვანურ ზედა სართულს, რომელიც მხოლოდ თავდაცვით ინტერესებს ემსახურებოდა.

მიწურბანიან ციხე-სახლებს შორის ყველაზე უკეთ შემორჩენილია ხევსურული, კერძოდ, სოფ. შატილის, ოთხსართულიანი ქვითკირი. სახლი ოთხ-

კუთხედია, მისი სიმაღლე 11,25 მეტრს უდრის. შესასვლელები დართული აქვს ყოველ სართულის ჩრდილოეთის მხარეს. მესამე სართულის შესასვლელს მიდგმული აქვს ფარდული — მიწურბანიანი ღია აივანი თუ ხიდი. გადმოცემით, შატილის ყველა ციხე-სახლი ერთმანეთთან ყოფილა დაკავშირებული ასეთი საჰაერო ხიდებით, რომლებითაც შიშიანობის დროს მცველები ახდენდნენ სწრაფ მანევრირებას.

ციხე-სახლის ყოველი შესასვლელი თაღოვანია და ერთიანი ხის, ცულით გათლილი, ცალფაურდულგაყრილი კარებით იკეტებოდა. მათი ზომები თავსდება 1,20×80 სმ შორის.

პირველი სართული ბოსელია, მისი ფართობი 6,50×5,5 მეტრს უდრის. ბოსლის შუა ნაწილიდან აღმართულია ქვით ნაშენი სვეტი — კ უ ლ ა, რომელიც პირველი სართულის გადახურვის სისტემის მთავარ საყრდენს წარმოადგენს. ამ სართულის სიმაღლე 1,60 მ-ია.

ხევის მაგალითზე კი ქვიტკირის პირველი სართული ქვის კედლით გადატიხრული ორი ნაწილისაგან შედგებოდა. უკანა მხარე განკუთვნილი იყო ცხენების, ხარების, მოზვრებისა და ცხვრების სადგომად, უფრო მოზრდილ წინა ნაწილში აყენებდნენ ძროხებს, დეკეულებსა და ხბოებს, მოღობილი იყო საცხვრე და სახბორე.

შატილის სახლის მეორე სართული საცხვრედ იყო გამოყენებული. მისი სიმაღლე 1,50 მეტრია (იხ. სურ. 29). ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებს დატანებული აქვს თითო სარკმელი.

მესამე სართული — შ უ ა  თ ვ ა ლ ი ძირითადად საცხოვრებელ დარბაზს წარმოადგენდა. შესასვლელს დატანებული აქვს საკმაოდ მაღალი ზღურბლი. ამ სართულის სიმაღლე 3 მეტრს უდრის. შესასვლელიდან მარჯვნივ, დასავლეთის კედლის მხარეს, გამართულია სწორკუთხა ჩაღრმავებული ფორმის კერა — ყ ვ ე რ ფ ი, რომელსაც ოთხივე მხარე ფიქალი ქვით აქვს შემოკავებული. ასევე ფიქალია დაგებული მის იატაკად. ჰერის თავზე გადებულ ხარიხაზე ჩამოდებულია დიდი ზომის ფიქალი — ს ა ა ლ ე. (საერთოდ ეს კონსტრუქცია რაჭული კერის თავს მოგვაგონებს, — მისი ანალოგიურია). მის გაგრძელებაზე, ჰერზე, ჩამოკიდებულია ქ ო რ ჰ ო ე ბ ი, ქონისა და ცხვრის დუმის გამოსაშრობად. სამხრეთის კედელთან დგას ორნამენტირებული კიდობანი. მის გვერდით აწყვია კოდები, გოდრები, ჯამ-ჭურჭელი და სხვა. ეს მხარე ოჯახში საქალო ადგილად იყო მიჩნეული, ხოლო მის გასწვრივ ადგილი და კერის თავი სამამაკაცო იყო. საქალებო მხარეს, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ეწყო რძის საწური, სამფეხა სკამი, საჩეჩელი, საქსოვი დაზგა და სხვა. ამჟამად საკაცო მხარეს დგას გრძელი სკამ-საწოლი, რომელიც ხის ერთიან გათლილ ფიცარს წარმოადგენს. სამხრეთის კედელთან დგას ტახტი — მოწნული საწოლი, რომელსაც ძირი თოკით აქვს ამოწნული.

კერიდან მარჯვნივ, ჩრდილოეთის კედელზე, იატაკიდან დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე, სარკმელია, რომელიც დარაბით იკეტება. აქედან შემოსული შუქი კერას ეცემა, კერიდან ასული კვამლი კი ამ სარკმლით გადიოდა. მესამე სართული მეოთხეს ასევე სართულშორისო ხვრელით — ს ა კ ო მ ი თ უკავშირდება.

მეოთხე სართულის კედლებიც, ისევე, როგორც ყველა ქვედა სართულისა, შეულესავია. სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებში სამ-სამი სათო-

ფურია, რომლებიც სამკუთხა ფორმას ატარებენ. სათოფურები შიგნიდან განიერია, გარედან კი ვიწრო — ძნელად შესამჩნევი.

აღმოსავლეთის კედლის ახლოს გამართულია კერა, რომელსაც მხოლოდ სამი მხარე აქვს ფიქალით ამოკავებული. შეშის შესაკეთებელი მხარე ღიაა და ცეცხლის მხარეს ოდნავ დაქანებას ქმნის. მას საერთოდ არა აქვს სრულყოფილი სახე მიცემული. კერის გვერდით მდგარა სამფეხა მაგიდა — ხონჩა, ამავე მხარეს კედელთან მიდგმულია ხის საწოლი, რომელიც ზემოთ აღწერილი ძირგამოწნული ტახტის ანალოგიურია. აქვე, კედლის გაყოლებაზე დალაგებულია ჯამები, კასრები, თივით გატენილი ტიკები, ტყავები და სხვა (იხ. სურ. 30).

მეოთხე სართული სახლის ბანს ასევე საკომით უკავშირდება, სახლის ბანი თავის დროზე გამოყენებული ყოფილა მარცვლეულის გასაშრობად, ასევე აშრობდნენ და პენტავდნენ მატყლს. აქვე ხელსაქმობდნენ ოჯახის წევრები მზიან ამინდში. სახლის ბანი შუა ნაწილში ოდნავ ამოზნექილია, რაც წვიმის წყლის უკეთ გამოსადენადაა გათვალისწინებული.

ციხე-სახლების მშენებლობის ტექნიკა და ორგანიზაცია, რომელიც დამყარებული იყო ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებაზე, საცხოვრებელი და სამეურნეო ფართის სეგმენტაცია, ინვენტარი, ავეჯი, ქონება, საოჯახო ურთიერთობა, კერასთან ჯდომის წესი, მიგვითითებს იმაზე, რომ ციხე-სახლები, ძირითადში, გადმონაშთური სახით შემორჩენილი საოჯახო თემის სოციალური, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების აშკარა გამოხატულებაა.

## გავრცელების არეები

ამრიგად, საქართველოს ცალკეული რეგიონის მიხედვით, ციხე-სახლების გავრცელების არეალი მოიცავს მთათუშეთს, ხევსურეთს, ხევს, ქსნის ხეობას, მთარაჭას, სვანეთს, ხოლო ფშავში იგი იშვიათი გამონაკლისის სახითაა.

ცალკეული ხეობების მიხედვით კი შემდეგი სურათი დგინდება:

1. მთათუშეთში ციხე-სახლების გავრცელების სიხშირით გამოირჩეოდნენ პირიქითისა და წოვათის სოფლები, ნაკლები სიხშირით კი ჩაღმისა და გომეწრის ხეობათა სოფლები.

2. ხევსურეთში ეს ნაგებობა მეტად გავრცელებული ჩანს პირიქითის ხევსურეთში, ნაკლები სიხშირით — არხოტში, პირაქეთ ხევსურეთში კი ციხე-სახლის არსებობა იშვიათი გამონაკლისის სახითაა დაფიქსირებული.

3. ხევში მთელს სოფლებს მოიცავს ციხე-სახლების გავრცელების არეალი.

4. მთიულეთ-გუდამაყარში ციხე-სახლების სიხშირით გამოირჩევა არაგვისა და ხანდოს ხეობები. სხვა ხეობებში იგი არ ჩანს.

5. ქსნის ხეობაში ციხე-სახლები ნაკლებად ყოფილა გავრცელებული (ისიც ხეობის ზედა ნაწილში).

6. მთარაჭის მაგალითზე, ციხე-სახლების გავრცელების არეალი მთელს სოფლებს მოიცავს.

7. ციხე-სახლი მთელს ზემო სვანეთში ყოფილა გავრცელებული (ნაკრიდან უშგულამდე). XIX საუკუნეში, იგი მხოლოდ უშგულში ჩანს, ხოლო სხვადასხვა ავტორთა ვარაუდით ადრეულ პერიოდში არც ქვემო სვანეთის ტერიტორია უნდა ყოფილიყო გამორიცხული ციხე-სახლების გავრცელების არეალიდან.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ს. მაკალათია, მთიულეთი, თბ., 1930; მისივე, ფშავი, თბ., 1934; მისივე, ხევი, თბ., 1934; მისივე, თუშეთი, თბ., 1933; მისივე, ხევსურეთი, თბ., 1935; მისივე, მთის რაჭა, თბ., 1930; მისივე, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945.

2. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ალ. რობაქიძის რედაქციით, II, თბ., 1964.

3. გ. ჩიტაია, სვანური საკურცხილ, საქ. მუზეუმის მოამბე. II. ტფ., 1925; მისივე, ხევსურული სახლის „სენე", ანალები, I, 1947.

4. Джандиери, Г. Лежава, Архитектура Сванетии, М., 1938; მათივე. Архитектура горных районов Грузии, М., 1940.

5. ე. დოლიძე, ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლები, ქართული ხელოვნება, IV, 1959.

6. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964; მათივე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

7. გ. ჩართოლანი, კერა სვანურ სახლში, საქ. მუზეუმის მოამბე, XX, თბ., 1959; მისივე, სვანური სახლის აყარი (მგილ), სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—XX, თბ., 1957; მისივე, საცხოვრებელი ნაგებობანი მთიულეთში, იქვე, XXV — თბ., 1968; მისივე, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი სვანეთში, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972.

8. ე. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967.

9. გ. გეგეშკორი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთური საცხოვრებელი კომპლექსი, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1969; მისივე, მთიულური ქვითკირის ზოგიერთი მხარე, კეკ., III, თბ., 1971.

10. ი. ქალდანი, სვანეთის საცხოვრებელი კომპლექსები, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1974.

ა. კალდანი

# კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში

ქართველ მთიელთა საცხოვრებლებს შორის გამოირჩევა კომპლექსი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული კოშკისა და ციხე-სახლის ან კოშკისა და საცხოვრებელი სახლისაგან შედგება.

კომპლექსთან დაკავშირებული ანაზომების დიდი ნაწილი შესრულებულია ავტორის მიერ საქართველოს მთიანეთში 1969—1982 წწ. მანძილზე კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ მოწყობილ ექსპედიციებში მონაწილეობისას. აზომვებისას ვხელმძღვანელობდით არქიტექტურული ფიქსაციის დამხმარე სახელმძღვანელოთი[1].

საველე მასალის გადათეთრების შემდეგ საცხოვრებელი კომპლექსების თვალნათლივ წარმოდგენისათვის შევასრულე მათი ჩანახატები, აქსონომეტრიული ჭრილები და ხედები.

არქიტექტურული მასალა მოიცავს კომპლექსების გეგმებს, ფასადებს, ჭრილებს, ცალკეული ელემენტების ჩანახატებს და სხვ.

ეთნოგრაფიული მასალა შეკრებილია ავტორის მიერ საქართველოს მთიანეთში 1967—1983 წწ. მანძილზე. ეთნოგრაფიული მასალის შეკრება წარმოებდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიული ატლასისათვის შედგენილი სპეციალური გეგმა-კითხვარის იმ განაკვეთის მიხედვით, რომელიც საცხოვრებელ ნაგებობებს შეეხება[2].

ნაშრომში გამოყენებულია პროფ. ალ. რობაქიძისა და ვ. ითონიშვილის ნაშრომებში არსებული ის მასალა, რომელიც კოშკიან საცხოვრებელ კომპლექსთანაა დაკავშირებული.

ქართველ მთიელთა საცხოვრებელ ნაგებობებზე ცნობები საკმაოდ ადრიდან მოგვეპოვება, თუმცა ფრაგმენტული ხასიათისა. მათ შორის გამოირჩევა ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში გაბნეული მრავალრიცხოვანი ცნობები საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ნაგებობებზე[3]. მკვლევარს კარგად შეუმჩნევია კოშკური კულტურის წამყვანი ადგილი მთიელთა დასახლებაში.

დიდძალი ფრაგმენტული ხასიათისავე ცნობებია მოცემული XVIII—XIX სს. საქართველოში მყოფი უცხოელი თუ ადგილობრივი მოგზაურებისა და მკვლევრების ნაშრომებში[4], მაგრამ მათი აღწერილობანი მეტწილად ემპირიული ხასიათისაა და არა აქვთ მოცემული მასალის განზოგადების ცდაც კი. ამ პერიოდის თითქმის ყველა მკვლევარი ქართველ მთიელთა ნაგებობებს შეცდომით ე. წ. გვაროვნულ არქიტექტურას აკუთვნებს.

ქართველ მთიელთა საცხოვრებელი კომპლექსების მეცნიერული შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების წლებში იწყება. პირველი სერიოზული მოსაზრება აქვს გამოთქმული ს. მაკალათიას[5]. მდიდარი ფაქტობრივი მასალის გან-

ხილვის საფუძველზე ავტორი იძლევა მთიელთა საცხოვრებელი კომპლექსების აღწერილობას და შედარებით ანალიზს, არკვევს მათ თავისებურებებს და განვითარების ზოგად გზას. ავტორი მთიელთა საცხოვრებლებში პირველი გამოჰყოფს კოშკიან კომპლექსს.

არქიტექტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ალბომები შექმნეს მ. ჯანდიერმა და გ. ლეჟავამ[6]. მათ კარგი ანაზომები მოგვცეს, მაგრამ დარღვეული აქვთ საცხოვრებლის კლასიფიკაციის პრინციპები და ამასთან ვერ ჩაწვდნენ მათ სოციალურ ბუნებას.

მთიულეთის დასახლების ტიპს მიეძღვნა გ. ჩიტაიას ნაშრომი[7]. ნაშრომში განხილულია მთიულეთის სოფელი და მისი შემადგენელი ნაგებობანი.

მნიშვნელოვანი შედეგები მისცა მეცნიერებას მთური საცხოვრებლის ცალკეული რეგიონების მიხედვით კვლევამ. პირველ ყოვლისა, შესწავლილ იქნა სვანეთის საცხოვრებლები[8]. აქ შეკრებილი მასალის ანალიზის საშუალებით დადგინდა საცხოვრებელი კომპლექსების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, ცალკეულ ნაგებობათა გავრცელების არეალი და სიხშირე, რამაც, თავის მხრივ, წარმოაჩინა მთური საცხოვრებლის ტიპი, რომელიც მეცნიერულ მიმოქცევაში მურყვამიანი სახლის სახელწოდებით შევიდა. მასალის ანალიზმა დაადგინა, რომ კოშკი და სახლი სვანეთში ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ საცხოვრებელ კომპლექსს წარმოადგენდა და არა ცალ-ცალკე მდგომ ნაგებობებს, როგორც ადრე აღწერდნენ.

სვანეთის ანალოგიურადვე შესწავლილია მთიულეთის საცხოვრებელი კომპლექსებიც[9]. აქ შეკრებილი მასალის ანალიზის შედეგად დადგინდა მთიულური საცხოვრებლის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. გამოვლინდა საცხოვრებლის რამდენიმე სახეობა, შესაძლებელი გახდა მათი გავრცელების არეალის მიკვლევა. ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში თავისი ადგილი დაიკავა ციხიანმა სახლმა, რომელიც მანამდე მეცნიერულ მიმოქცევაში არ ყოფილა. ეს კომპლექსი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული კოშკისა და საცხოვრებელი სახლისაგან შედგებოდა.

მოგვიანებით მთიულეთის საცხოვრებლის კვლევას კიდევ ერთი ნაშრომი მიეძღვნა[10]. მთიულეთის საცხოვრებლისათვის უკვე დადგენილი ტიპოლოგიური კლასიფიკაციის გაუთვალისწინებლობას მოჰყვა ის, რომ ავტორმა დაუშვა რიგი შეცდომებისა და მისი ახალი კლასიფიკაცია, სრულად ვერ მოიცავს მთიულეთის საცხოვრებელ კომპლექსებს.

რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ხევის საცხოვრებელი კომპლექსების შესწავლას[11]. აქ გავრცელებული საცხოვრებლის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პროცესში გამოვლენილია კოშკიანი ციხე-სახლი.

როგორც ვხედავთ, განსახილველი კომპლექსი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მურყვამიანი სახლის, ციხიანი სახლის, კოშკიანი სახლისა და კოშკიანი ციხე-სახლის სახელწოდებით. საქართველოს მთიანეთის ცალკეულ კუთხეებში ეს კომპლექსი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული კოშკისა და ციხე-სახლისაგან შედგება. აშკარაა, რომ კომპლექსის შემადგენელი ელემენტებიდან ერთია კოშკი, ხოლო მეორე სახლი ან ციხე-სახლი. აქედან გამომდინარე, მას კოშკიან საცხოვრებელ კომპლექსს ვუწოდებთ.

საქართველოს მთიანეთის ცალკეულ რაიონებში კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსები რიგი თავისებურებებით გამოირჩევიან, რის გამოც მათი აღწერილობანი ცალკეული კუთხეების მიხედვით მოგვყავს.

სვანეთში კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი წარმოდგენილია ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ქვის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლისა (ქ ო რ) და ქვისავე მრავალსართულიანი თავდაცვითი ნაგებობისაგან — კოშკი (მ უ რ ყ ვ ა მ).

ქ ო რ-ი სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში განმარტებულია როგორც „სახლზედ სახლი აგებული; ქორედ — ქორედი ოთხი-ხუთი სახლი სახლზედ შენებული"[12]. განმარტება მიგვანიშნებს, რომ ქ ო რ-ი სართულიანი სახლის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა. ძველი სვანური საცხოვრებელი სახლი ქ ო რ ჩვეულებრივ ორ-სამსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა და შესაძლოა ამ ტერმინით სვანურმა შემოგვინახა მრავალსართულიანი სახლის ძველქართული სახელწოდება.

რაც შეეხება ტერმინს მ უ რ ყ ვ ა მ, ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ საქართველოში კოშკსა და გოდოლზე ადრე კოშკის ტიპის ნაგებობის სახელწოდება მ უ რ ყ ვ ა მ-ი უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად მკვლევარი ფშაურ-ხევსურულ-თუშურ მასალას იშველიებს. ამ კუთხეების მცხოვრებთა რწმენით „პირიმზის" ღვთაებას მურყვნოსელი რქმევია. ეს უკანასკნელი მკვლევარს მ უ რ ყ ვ ა მ-ის გადმონაშთურ ფორმად მიაჩნია[13].

ტერმინის მ უ რ ყ ვ ა მ დიდ ასაკზე უნდა მიუთითებდეს წარმართობისდროინდელი დღესასწაული მ უ რ ყ ვ ა მ ო ბ ა, რომელიც სვანეთში გვიანამდე შემორჩა[14].

1. სვანეთისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ტიპიური კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი აჰზომეთ უშგულის სოფ. მურყმელში. კომპლექსი ამართულია სოფლის აღმოსავლეთის მისასვლელთან, სოფელში შემავალი გზის პირას. იგი ბ. კაკრიაშვილს ეკუთვნის (კომპლექსის გეგმები, ჭრილი, ფასადი და აქსონომეტრიული ჭრილი იხ. სურ. 1, 2, 3, 4).

საცხოვრებელი სახლის საძირკველი (ხ უ ნ) ზოლოვანია, კოშკისა — წერტილოვანი. საძირკველზე კედლებია (ჭ ვ ე დ) აყვანილი. წყობაში გამოყენებულია ნატეხი ქვა, ფიქალი, რიყის ქვა (მ ე ქ უ ხ ბ ӓ ჩ, კ ა, გ უ რ ნ ა). შემკრავად კირის ხსნარია ნახმარი. კედლები შელესილია კირის ხსნარით და შეთეთრებულია. კედლების სისქე სიმაღლის ზრდასთან ერთად მცირდება, რაც მნიშვნელოვნად ამსუბუქებს კედლის საკუთარ წონას. სახლის პირველი სართულის დონეზე კედლის სისქე 90 სმ შეადგენს, ხოლო მეორეზე — 60 სმ-ია. კოშკის პირველი სართულის დონეზე კედლის სისქე 1,60 მ. აღწევს, ბოლოზე კი 50 სმ-ს. როგორც სახლის, ისე კოშკის კედლები აყვანილია ხარაჩოების საშუალებით.

სახლის პირველი სართულის სათავსის იატაკის საფუძვლად გამოყენებულია სწორად მოშანდაკებული ყამირი, რომელზედაც თიხოვანი მიწაა მოტკეპნილი.

სახლის სართულშუა გადახურვა ხის კოჭოვანი კონსტრუქციითაა გადაწყვეტილი. გამოყენებულია სასვენი (შ ა შ ვ ე მ) და მზიდი დირეების (დ ǯ რ) კონსტრუქციული სისტემა, რომელიც დინამიკურ და სტატიკურ დატვირთვებს ოთხსავე კედელზე თანაბრად ანაწილებს. ორ კედელს შორის გადებულია სასვენი დირე. დარჩენილ ორ კედელს შორის გადებული მზიდი დირეების შუა ნაწილები სასვენ დირესაც ეყრდნობიან, რომელიც მთხრობელთა თქმით ამსუბუქებს ან ასვენებს მათ. მზიდ დირეებზე ერთმანეთთან მი-

ჯრით წვრილი ძელაკები (ა ლ) აწყვია. მათ შორის დარჩენილი ღრიჩოები ხავსითაა (ხ ა ვ ს) ამოვსებული, ზემოდან კი თიხოვანი მიწაა მოტკეპნილი.

სახლი ორქანობიანი სახურავითაა (ლ ა ფ რ ა) გადახურული. სახურავის ფენილად ფიქლის ქვის ფილებია გამოყენებული, რაც სახურავის საკუთარ წონას ძალზე ზრდის. მის დასაჭერად საჯენი და მზიდი დირეების განსაკუთრებული სისტემაა გამოყენებული. სახურავის ფენილი მზიდი კედლებიდან 40 სმ-მდეა გადმოცილებული, რათა კედელს წვიმის წყალი აიცილოს.

სართულშუა გადახურვისა და სახურავის ფენილის წონის შესამსუბუქებლად სვეტებია (ს ვ ე ტ) გამოყენებული. სვეტებს ქვის ბაზისი და ხის სვეტისთავი (ს ვ ე ტ ო ფ ა ყ ვ) გააჩნიათ.

სახლში გამოყენებული დირეების დიამეტრი იცვლება 18—35 სმ ფარგლებში, სვეტებისა კი 25—27 სმ-ია.

დირეებზე მრავალრიცხოვანი საკიდი კავებია (ლ ა რ კ ი ნ ა კ ა ვ) ჩამაგრებული.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის (მ ა ჩ ვ ო ბ — ქვევითა, ქვედა) ფართობი 92 $მ^2$-ია. სახლის მეორე სართულის (მ ა ყ ო ბ — ზევითა, ზედა) ფართობი 95 $მ^2$-ს შეადგენს.

მაჩვიბში შედიან დასავლეთის კედელში გაჭრილი კარით (ყ ო რ). ის ნაოთხალებიანია. მისი სიგანე 92 სმ-ია, სიმაღლე — 1,75 მ. კარი ერთფრთიანია. მას ზღურბლი და ბალავარი გააჩნია. მიხურვის შემდეგ ფრთა ურდულით (უ რ დ უ მ) იკეტება.

მაყიბში შესასვლელი კარი უფრო განიერია (1,55 მ). დიდი სიგანე განპირობებულია იმით, რომ აქ ხარებშებმული მარხილით თივა უნდა შეეტანათ. მაყიბის კედელში კიდევ ერთი კარია, რომლითაც კოშკის მესამე სართულზე გადადიოდნენ. კარი იატაკის დონეს 1,60 მ-ით იყო დაცილებული და მასზე ხის კიბე (მ ე გ მ ე მ კ ი ჩ ხ) ყოფილა მიდგმული. სახლის სათავსების გასანათებლად რამდენიმე სარკმელია (ლ ა ჯ ვ რ ა) დატოვებული. ღამე მაჩვიბი ნათდებოდა კვარით, რომელიც იდებოდა სპეციალურად ამისათვის გაკეთებულ ჩამოსაკიდ ჭაღში (ლ ა მ ტ ვ ა რ ა ლ).

მაჩვიბის სამხრეთის კედელში საქონლის პატივის გადასაყრელი ხვრელია (ლ ა ს ტ ვ ი ვ ა რ).

მაჩვიბი და მაყიბი ერთმანეთთან ასასვლელითაა (ჰ უ ლ დ უ მ) დაკავშირებული.

მაჩვიბის დაგეგმარება შემდეგნაირადაა გადაწყვეტილი: შესასვლელი კარის პირდაპირ, სამხრეთის კედლის გასწვრივ, ხარების სადგომია (ლ ა ჯ ა ნ) მოწყობილი. მისი სიგანე 1,85 მ-ია. ხარების სადგომის წინ ხის მაღალი ტიხარია (ლ ე ჰ უ ნ დ ო რ), რომელსაც საქონლის თავის გამოსაყოფი სამი თვალი (თ ე) გააჩნია. აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ მთელ სიგრძეზე ძროხების სადგომია (ლ ა ფ უ რ). ტიხრის წინ საქონლის საკვების ჩასაყრელი ბაგაა (ლ ა ლ'დ ი ჯ რ) მოწყობილი. საქონლის სადგომის იატაკად ხის ფიცრებია გამოყენებული.

მაჩვიბის დასავლეთის კედელთან სახბორე (ლ ა ღ უ ნ) და საცხვრეა (ლ ა ღ უ ლ ჲ ა ქ ო რ) მოწყობილი.

მაჩვიბის ცენტრთან კერა ყოფილა, რომლისგანაც დღემდე არაფერი შემორჩენილა.

მაყიბი ერთიანი, დაუყოფელი სათავსის სახითაა წარმოდგენილი. ზამთ-

რობით აქ საქონლის საკვები ინახებოდა, ზაფხულობით კი ოჯახი ადიოდა საცხოვრებლად.

კოშკის სართულშუა გადახურვები ორგვარადაა მოწყობილი: ხის სასვენი და მზიდი დირეების სისტემით (გადახურვის მალის სიმცირის გამო სასვენი დირე მეტწილად არაა გამოყენებული) და ქვით ხის შეფიცვრაზე. პირველი სისტემა სახლის სართულშუა გადახურვის ანალოგიურია. მეორე შემდეგნაირადაა გადაწყვეტილი: ორ კედელს შორის თავხეა გადებული, რომლის გვერდებზე დაქანებულადაა სქელი ფიცრები დაწყობილი ისე, რომ მათი ქვედა ბოლოები კედლებშია ჩამჯდარი. ფიცრებზე ქვის წყობაა აყვანილი. ზედ ღორღისა (ხ ა ლ ი კ) და კირწყლის (გ ი რ წ ყ ჲ ლ) ნარევია დასხმული და მოსწორებული ზედა სართულის იატაკის დონემდე. ზოგ თავხეს ქვედა მხრიდან საკიდი ხვრელები (ლ ჰ რ კ ი ნ ა ჴ უ რ უ) გააჩნია. დირეების დიამეტრები იცვლება 13—25 სმ. ფარგლებში.

კოშკი ორქანობიანი სახურავითაა გადახურული.

კოშკის პირველი, მეორე და მესამე სართულის სათავსებს თითო შესასვლელი კარი გააჩნია. მეორე სართულის კარის ზღურბლამდე ქვის კიბეა (ბ ა ჩ ა კ ი ჩ ხ) გამართული.

კოშკის სამხრეთის ფასადზე ერთ ვერტიკალზეა განლაგებული სათავსების გასანათებლად სარკმლები. მათი მეტი ნაწილი ნათთხალებიანია და დარაბით (ლ ა ჯ ვ რ ჰ ყ ო რ) იკეტება.

კოშკის მეშვიდე სართულის სამ კედელზე თითო დიდი ზომის (50×65 სმ) ღიობია დატოვებული. გადმოცემით ადრე კოშკი შვიდსართულიანი ყოფილა და მეშვიდე სართული დაცვითი ოპერაციებისათვის გამოიყენებოდა. აღნიშნული ღიობებიდან მტერს შვილდისარს ესროდნენ და ქვებს აყრიდნენ. თოფის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ ოჯახმა კოშკს მერვე სართული დაადგა, რომელიც შდურებიანი პარაპეტით დაავგირგვინა. პარაპეტი მზიდი კედლებიდან 25—30 სმ-ითაა გადმოცილებული. ყოველ კედელს სამი შდური აგვირგვინებს. შდურის თაღქვეშა ნაწილის სიგანე 68—70 სმ ფარგლებში იცვლება. ორ თაღოვან შდურს შორის სიგანე 75—80 სმ აღწევს. თაღებქვეშ სამზერი ღიობებია დატოვებული. პარაპეტის კედლებში სათოფური ხვრელებია (ლ ა თ ო ფ ჰ რ), რომელთა მეტი ნაწილი სოფელში შემავალ გზას გასცქერის, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ კომპლექსი სოფლის ამ მხარის მისადგომებს იცავდა.

კოშკის პირველ სართულს მ ა ნ კ ვ ი ლ ა გ ვ ბ ა ნ დ ა ეწოდება, მეორეს — მ ე რ მ ე ლ ა გ ვ ბ ა ნ დ ა, მ ე ს ა მ ე ს — მ ე ს მ ე ლ ა გ ვ ბ ა ნ დ ა და ა. შ. ბოლო სართულს შ დ უ რ-ს უწოდებენ.

კოშკს სარდაფის სართულიც გააჩნდა, რომელიც ტყვის დასამწყვდევად (დ ჷ ლ ე გ) გამოიყენებოდა. მისი ფართი 5 მ²-ია. მომდევნო სართულებზე სათავსების ფართი მატულობს და ბოლო სართულის ფართი 13,25 მ²-ს აღწევს.

კოშკის პირველი-მეორე სართულის სათავსები წვრილფეხა საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. მესამე სართულის სათავსი ერთგვარ დერეფანს (ჰ ჰ ზ ე) წარმოადგენდა, რომელიც სახლისა და კოშკის ზედა სართულებს ერთმანეთთან აკავშირებდა. აქ დღემდეა შემონახული იატაკში ჩაკირული დიდი ზომის გოდორი (კ ვ ი დ ო ლ) და ქვევრის (კ ე ც) ნატეხები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სურსათ-სანოვაგის ნაწილი აქ ინახებოდა. კოშკის მეოთხე-მეექვსე სართულების სათავსები ოჯახის წევრთა სამყოფად იყო გამოყენე-

ბული საფრთხის დროს. მეშვიდე-მერვე სართულს საბრძოლო დანიშნულება ჰქონია. აქ ინახებოდა საომარი მასალისა და აღჭურვილობის მარაგი.

კოშკის მესამე-მერვე სართულის სათავსები ასასვლელებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მათზე ადრე ხის გადასაადგილებელი კიბეები ყოფილა მიდგმული. კოშკის საერთო სიმაღლე 21¹/² მ-ს აღწევს.

2. სოფ. მურყმელში ავზომეთ კიდევ ერთი კოშკიანი კომპლექსი, რომელიც ბ. ჩარქსელიანს ეკუთვნის. ის სოფლის ცენტრშია ამართული (გეგმები და ჭრილი იხ. სურ. 6, 7; სურ. 8-ზე მოცემულია კომპლექსის აქსონომეტრიული ჭრილი).

კომპლექსის ასაგებად კლდის ქვაა გამოყენებული, ქვების შემკრავად — კირი. ნაგებობებს შელესვის კვალი ატყვიათ.

საცხოვრებელი სახლის სართულშუა გადახურვა და სახურავი აღწერილის მსგავსია. კოშკის პირველ-მეორე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზეა მოწყობილი. მეორე-მესამე სართულებს შორის გადახურვა ქვითაა შესრულებული, მხოლოდ ხის შეფიცვრის ნაცვლად აქ გამოყენებულია თხილის წკნელებით გაკეთებული წნული (ჩ ე ლ ტ).

მესამე-მეოთხე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ქვისაა, ხის შეფიცვრაზე. მეოთხე-მეხუთე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ქვისაა და თაღს წარმოადგენს. კოშკის სახურავი ორქანობიანია.

სახლის მაჩვიბის ფართი 72 მ² შეადგენს. აქ ადრე ოჯახი ცხოვრობდა. დარბაზის ფართია 76,50 მ². იგი დღესაც საქონლის საკვების შესანახად გამოიყენება. მაჩვიბსა და დარბაზს შორის კავშირისათვის დასავლეთის კედელთან ოთხკუთხა ასასვლელია გაკეთებული ზომებით, 79×90 სმ. დარბაზიდან მაჩვიბში თივის ჩასაყრელად დარბაზის იატაკში ხვრელია (ლ ე ბ ი).

ნაგებობების შესასვლელები და სარკმელები ტიპიურია, უკვე აღწერილის მსგავსი.

კოშკის ბოლო სართულს აგვირგვინებს შდურებიანი საბრძოლო პარაპეტი. ყოველ კედელს სამი შდური ასრულებს. შდურები კედლებს გამოცილებული არიან 50 სმ-ით. ყოველი შდური ქვის წყობით შეკრულ ოთხი მხრიდან დახურულ ყუთს წარმოადგენს, რომლის ქვედა ნაწილი ღიაა. შდურები საფასადე მხარეს ნახევარწრისებური თაღებით თავდებიან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შდურები კედლების მთელ პერიმეტრს კი არ მოიცავენ, არამედ კედლების მხოლოდ ცენტრალურ ნაწილებს.

კოშკის პირველი სართულის ფართია 4 მ². ის ტყვეების დასამწყვდევ საკანს (დ გ ლ გ ჯ) წარმოადგენდა. მეორე სართულის ფართი 5,30 მ²-ია. სათავსის დასავლეთის კედლის გასწვრივ ხის კიდობანია მიდგმული. კიდობანი ორადაა გატიხრული ფქვილის შესანახად. მის გვერდით კიდევ ერთი კიდობანია. ადრე აქვე მდგარა საარყე ქვევრი (კ ე ც). დირეებზე ხის კავებია ხორცის ჩამოსაკიდად. კოშკის მესამე სართულის ფართია 7,45 მ², მეოთხისა — 8 მ². ეს სართულები ოჯახის წევრთა სადგომად გამოიყენებოდა საფრთხისას. კოშკის საბრძოლო სართულის ფართი 8,75 მ²-ია. აქ მომარაგებული ჰქონიათ ქვები, რომლებსაც კოშკთან მისულ მტერს თავზე აყრიდნენ. კოშკის სართულებს შორის კავშირი საძრომებით ხდებოდა, რომლებზეც ხის გადასაადგილებელი კიბე იყო მიდგმული.

გარდა აღნიშნული კომპლექსებისა, აღწერილი გვაქვს კიდევ რამდენიმე კომპლექსი. ისინი ბევრად არ განსხვავდებიან ზემოთ მოყვანილისაგან და მათ აღწერილობას აღარ გავიმეორებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ კოშკიანი

საცხოვრებლის შემადგენელი კოშკები სვანეთში ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ისინი, რომელთა სათავსებიც უშუალოდ მიწის დონიდან იწყებიან, მეორეს — კოშკები, რომელთა ქვედა ნაწილი მონოლითურია მიწის დონიდან 3—8 მ. სიმაღლემდე. როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფის კოშკები ენტაზისიანია. მათი ტანი საერთო სიმაღლის ერთ მესამედამდე სწორად ადის და შემდეგ ოდნავ იხრება შიგნითკენ, მომრუდებული მოხაზულობით. მეორე ჯგუფის კოშკები სახლს შეკიდული აივნით უკავშირდებიან.

სვანეთში წარმოდგენილია კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსის ქვესახეობაც. ის აღწერილისაგან იმით განსხვავდება, რომ კოშკსა და სახლს შორის კიდევ ერთი ნაგებობაა მოქცეული, რომელიც მათი დამაკავშირებელი დერეფნის მოვალეობას ასრულებს.

3. მსგავსი კომპლექსი აღვწერეთ და ავზომეთ სოფ. მურყმელში. ის ს. ღვაჩლიანს ეკუთვნის და ამართულია სოფლის განაპირას, სამხრეთით. კოშკის სათოფურების მიმართულებანი გვიჩვენებენ, რომ კომპლექსი ამ მხრიდან მომავალ გზას უწევდა კონტროლს (კომპლექსის გეგმა, ჭრილი და ფასადი იხ. ტურ. 11, 12, 13, 14).

კომპლექსის შემადგენელი ორსართულიანი სახლი და ხუთსართულიანი კოშკი ერთმანეთისაგან დაცილებით არიან აგებული. მათ აკავშირებთ ნაგებობა, რომელსაც გ უ ბ ა ნ დ-ს უწოდებენ. მისი პირველი სართულის სათავსი 9 მ$^2$ ფართით დერეფანს წარმოადგენდა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა გარე სივრცეს შიგასთან და სახლისა და კოშკის პირველი სართულის სათავსებს. აქვე ინახავდნენ სხვადასხვა სამეურნეო ინვენტარს.

გუბანდის მეორე სართულის სათავსი ფართით 10 მ$^2$ ერთმანეთს აკავშირებდა კოშკისა და სახლის მეორე სართულის სათავსებს. ამასთან მის აღმოსავლეთ კედელში დატოვებული სამი სათოფური მნიშვნელოვნად ზრდიდა კომპლექსის დაცვითუნარიანობას.

აღნიშნული კომპლექსის საცხოვრებელი სახლი აღწერილისაგან დიდად არ განსხვავდება. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სახლის მაჩვიბში საქონლის სადგომი ორიარუსიანია. მეორე იარუსზე ცხვრების სადგომი იყო მოწყობილი. მაჩვიბში დღემდე შემორჩენილა კერა (კ ე რ ა̈ ä).

კერა ადამიანთა სადგომის (ყ ვ ე ლ ფ) ცენტრშია გამართული. მას მიწისზედა ნაწილი და საკიდი სხვენი (ლ გ ნ კ ე რ ა) გააჩნია. სხვენი ნაპერწკალს არ აძლევს უშუალოდ ჭერში ასვლის საშუალებას, ამასთან იცავს კერას ჭერიდან ჩამოცვენილი მტვრისაგან. საკიდი სხვენის ძელებზე ჩამოკიდებულია რკინის ჯაჭვით (ნ ა̈ ჰ ა).

კერა ადამიანთა სამყოფს ოთხ ნაწილად ყოფს: 1. წინა მხარე (კ ა ც- ხ ა̈ შ — ბ. ქ., ხ ო კ ე რ//გ ა რ ა̈ მ ბ. ზ.). ამ მხრიდან უკეთებდნენ შეშას; 2. უკანა მხარე (კ ა ლ ე შ გ ი ნ — ბ. ქ., ლ ა ბ ჯ გ რ ა — ბ. ზ.). ამ მხარესაა მოთავსებული საჭმლის დამზადებისათვის საჭირო ჭურჭელი; 3. შიგნითა მხარე (კ ე რ ä ს გ ა შ ხ ე ნ). ეს მხარე ქალების საქმიანობასთანაა დაკავშირებული; 4. გარეთა მხარე ქ ა̈ მ ე ყ ვ ე ლ ფ).

კერის ოთხი მომიჯნავე მხრიდან ორი — გარეთა და წინა მამაკაცებისათვის იყო განკუთვნილი. წინა მხარეს საუფროსო სკამი (ს ა კ უ რ ც ხ ი ლ) იდგა. მის გვერდით, კერის გარეთა მხარეს გრძელი, ზურგიანი სკამი (ლ გ რ- გ ი მ) იდგმებოდა, რომელიც ღამე საწოლის მოვალეობას ასრულებდა. ამ სკამზე უფროს-უმცროსობის მიხედვით სხდებოდნენ მამაკაცები. ამავე მხა-

რეს პერში დამაგრებულ კავებზე ეკიდა მამაკაცების შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ატრიბუტი და საბრძოლო იარაღი.

კერის შიგნითა და უკანა მხარე დედაკაცებს ეთმობოდა. აქ სადიაცო დაბალი, გრძელი სკამი (ბ ა ნ დ ჰ რ) იდგა, რომელზეც უფროს-უმცროსობის მიხედვით სხდებოდნენ ქალები.

კერის ირგვლივ ოჯახის წევრთა განაწილებაზე რიგმა ფაქტორებმა იმოქმედა; მათ შორის უმთავრესი დაცვითი ფუნქცია და სქესთა შორის შრომის განაწილება იყო.

როგორც წესი, სვანურ სახლში შესასვლელი კარი კერის გარეთა და წინა მხარის კუთხესთანაა გაკეთებული და, ცხადია, ოჯახი თავდასხმას აქედან ელოდა. მამაკაცებიც ამ მხარეს იყვნენ განაწილებული და საჭიროებისას პირველი ეგებებოდნენ მტერს, იცავდნენ კერის საპირისპირო მხარეს განლაგებულ ქალებსა და ბავშვებს, კოშკში გახიზვნის საშუალებას აძლევდნენ მათ.

სვანური სახლის კერა და საოჯახო ყოფა სრულადაა წარმოდგენილი ქართველ ეთნოგრაფთა ნაშრომებში[15] და ამდენად აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ; აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა კერასთან ხდებოდა, სადაც გვიან ღამე იკრიბებოდნენ ოჯახის წევრები (ქ ო რ შ ჰ რ). მათ უფროსი (ქ ო რ ჲ მ ა ხ ვ-შ ი) ჰყავდათ, რომელიც ოჯახის წევრთა სურვილების გამომხატველი იყო; მას მტერ-მოყვარისათვის პასუხი უნდა გაეცა, თუმცა ოჯახის სხვა წევრთაგან დამოუკიდებლად ვერ იმოქმედებდა.

ოჯახის უფროსს თავისი ადგილი და საკუთარი სკამი გააჩნდა, რომლით სარგებლობის უფლება სხვას არ ჰქონდა. ეს სკამი მას შეეძლო დაეთმო საპატიო სტუმრისათვის.

ოჯახის შემადგენელ ქალებს უფროსი ქალი (ხ ო შ ა ზ უ რ ა ლ/დ ი ა-ხ ჰ ლ) განაგებდა, რომელიც მეტწილად მახვშის ცოლი იყო. ის გარკვეულ საოჯახო-სამეურნეო საქმიანობაში განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ საერთო საქმეებში მახვშის ემორჩილებოდა.

## ხევსურეთი

ხევსურეთში კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი წარმოდგენილია ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ქვის სამსართულიანი ციხე-სახლისა (ქ ვ ი თ კ ი რ ი) და ქვითვე ნაგები მრავალსართულიანი კოშკისაგან (ც ი ხ ე).

1. ხევსურეთისათვის დამახასიათებელი კოშკიანი კომპლექსი ავზომეთ და ავწერეთ სოფ. გუროში. მას „ბათაკათ ციხეს" უწოდებდნენ და ეკუთვნოდა გოგოჭურებს. სოფელი დიდი ხნის მიტოვებულია და თითქმის ყველა ნაგებობა დანგრეულია. ბათაკათ კომპლექსიდან დაუნგრეველად მხოლოდ კოშკი შემორჩენილა (გეგმები, ჭრილი და ხედი იხ. სურ. 20, 21, 22).

აღნიშნული კომპლექსი სოფლის განაპირას აღმოსავლეთითაა აგებული, სოფელში შემოსასვლელი გზის პირას, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი ერთ-ერთი ფუნქცია ამ გზის დაცვა იყო.

შემორჩენილი ნაშთების მიხედვით კოშკის უკან მდებარე ციხე-სახლის პირველი სართულის ფართი 49 $მ^2$ შეადგენდა. მისი კედლები ძალზე დანგრეულია და არაა შესაძლებელი იმის დადგენა, თუ რამდენ სართულიანი იყო და როგორი სართულშუა გადახურვები თუ სახურავი ჰქონდა.

კოშკის საძირკველი (ლ ი ბ უ) წერტილოვანია. კედლის (ყ ო რ ე) წყობისათვის მაგარი ჯიშის ქვაა (ს ი პ ი) გამოყენებული. კედლები სიმაღლის ზრდასთან ერთად კლებულობენ სისქეში, ამასთან ნაგებობის ცენტრისაკენ იხრებიან. პირველი სართულის დონეზე კედლის სისქე 1 მ აღწევს, ბოლოზე კი — 55 სმ-ს. კედლებში ნიშებია (შ უ კ უ ნ ი) დატოვებული.

კოშკის სართულშუა გადახურვების ნაწილი გადაწყვეტილია თავხის (ც ე ზ ი) და დირეების (ხ ე, კ ო ჰ ი) საშუალებით. დირეები მუხის ხისაა და მათი დიამეტრი 15—25 სმ. აღწევს. მზიდ დირეებზე ხის ვიწრო ძელაკებია (ჭ ე რ ი) გადებული; მათზე ფოთლოვანი ტოტებია (ა დ ე შ ი). ამ უკანასკნელზე თიხოვანი მიწაა მოტკეპნილი. გადახურვების ნაწილში მზიდ დირეებზე დაგებულ ხის ვიწრო ძელაკებზე ფიქალის ქვის ფენილია მოწყობილი.

კოშკი კიბურად არის ფიქალის ქვებით გადახურული, რომელსაც სიპერდი ქვია.

კოშკში შესასვლელად მისი სამხრეთის კედელში, მეორე სართულის დონეზე კარია, რომელსაც ზღურბლი და კარისთავი გააჩნია. ჩარჩოს (კ ა რ ა ს ტ ე) მაგივრობას ნათხალები ასრულებენ. კარის სიგანე 63 სმ-ია, სიმაღლე — 85 სმ. კარი ერთფრთიანია და მიხურვის შემდეგ ურდულით (კ ე დ ი) იკეტებოდა.

სამხრეთისავე კედელზე, კოშკის მესამე-მეოთხე სართულებზე, თითო სარკმელია, რომელთაც ნათხალები გააჩნიათ და ადრე დარაბებით იკეტებოდნენ. კოშკის პირველი სართულის სათავსს ქ ვ ე თ ვ ა ლ ი ეწოდება, მეორეს — ზ ე თ ვ ა ლ ი, მესამეს — მ ე ს ა მ ე თ ვ ა ლ ი და ა. შ.

კოშკის სარდაფის სართულის სათავსის ფართი 7 $მ^2$ ტოლია. კოშკის მომდევნო სართულებზე ფართი კლებულობს და ბოლო სართულის ფართი 3,40 $მ^2$-ს შეადგენს. ამრიგად, ზედა სართულის ფართი თითქმის ნახევარჯერ ნაკლებია სარდაფისაზე, რაც გამოწვეულია მზიდი კედლების შიგნითკენ გადახრით.

კოშკის სართულები ერთმანეთთან ასასვლელებით (ს ა კ ო მ ი, ს ა კ ვ ა მ ი) ყოფილან დაკავშირებული.

გარდა სარკმელებისა, კოშკის მესამე სართულზე სამი სათოფურია; მათგან ერთ-ერთს აღმოსავლეთის კედელზე დუბლირებული ხვრელი გააჩნია. ეს მხარე იყო მიმართული სოფელში შემომავალი გზისაკენ და ამიტომაც იყო უფრო გამაგრებული.

კოშკის საბრძოლო სართულზე ოთხივე მხარეს თითო სალოდეა მოწყობილი თავდაცვის საწარმოებლად. კოშკის ყოველ კედელს ამ სართულზე სარკმელი გააჩნია, რომლის სიგანე 42—50 სმ-ია, ხოლო სიმაღლე — 1,20 მ. სარკმლები შეისრული თაღით თავდებიან. სარკმელზე საფასადე მხრიდან სალოდეები ანუ ქვის ოთხკუთხა ყუთებია მოშენებული ისე, რომ მათი ზედა სახურავები სარკმლის სიმაღლის შუამდეა ასული. სალოდეები მზიდი კედლებიდან 55 სმ-ით არიან კონსოლისებურად გადმოცილებული. მათი ქვედა ნაწილი ღიაა და გამოიყენებოდა ქვის ჩასაყრელად.

კოშკის საბრძოლო სართულს შეისრულივე გუმბათი აგვირგვინებს. სიპედის საფასადე მხარე ფიქალის ქვის ფილებითაა გადახურული პირამიდისებურად. სახურავი ათსაფეხურიანია და მას ასრულებს წაკვეთილი კონუსისმაგვარი ქვა (კ უ შ ტ უ ლ ი).

კოშკის საერთო სიმაღლე 15 მ. აღწევს.

ხევსურეთში დღემდე შემორჩენილი კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექ-

სების ნაწილი აღწერილის ანალოგიურია, მაგრამ აქ გვხვდება ისეთი ქვესახეობაც, რომლის თავდაცვითი ნაგებობა — კოშკი ძირეულად განსხვავდება აღწერილისაგან. ქვემოთ მოგვყავს ერთი ასეთი კომპლექსის აღწერა.

2. აღნიშნული კოშკიანი კომპლექსი ავზომეთ მუცოში. იგი მუცოს ცენტრში დგას და „ჩოლოყაანთ ციხის" სახელწოდებითაა ცნობილი. კომპლექსი შედგება ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ქვის სამსართულიანი ქვითკირისა და ქვისავე ოთხსართულიანი კოშკისაგან (გეგმები, ჭრილი, ფასადი და ხედი იხ. სურ. 23, 24, 25).

ქვითკირის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები ჩამონგრეულია. ჩამოქცეულია კოშკის სახურავი და სართულშუა გადახურვები.

როგორც ქვითკირი, ისე კოშკი კლდოვან გრუნტზეა ამოყვანილი და მათ საძირკველი არ გააჩნიათ.

ქვითკირის კედლების სისქე პირველი სართულის დონეზე 80 სმ აღწევს, მესამეზე კი 55 სმ-ს.

ქვითკირის პირველი სართულის (ძ ი რ ი ს თ ვ ა ლ ი) ფართია 19 $მ^2$. მის კედლებში ნათხალებიანი კარი და სარკმელია დატოვებული. ის ბოსლის მოვალეობას ასრულებდა. ქვითკირის მეორე სართულზეცაა ერთი კარის ღიობი, რომელიც სავარაუდოა ადრე კოშკის კარს უკავშირდებოდა შეკიდული აივნით. ამ სართულზე რამდენიმე სარკმელი და თაროა კედლებში მოწყობილი. აქ პირველი სართულის სათავსის ჭერში დატოვებული საკომით ამოდიოდნენ. ამ სათავსს შ უ ა თ ვ ა ლ ი ან ს ა ხ ლ ი ეწოდებოდა. სარკმელთან ოთხკუთხა კერა (ყ ვ ე რ ფ ნ ი) ყოფილა გამართული. ოჯახი ამ სართულზე ცხოვრობდა. კერის მარჯვენა მხარეს მხოლოდ კაცები სხდებოდნენ და ამ მხარეს ს ა მ ა მ ა ც ო ერქვა, მარცხნივ ს ა დ ი ა ც ო საქალებო მხარე ყოფილა. სამამაცოზე ქალი ვერ დაჯდებოდა, რადგანაც ამ შემთხვევაში მამაკაცს ანგელოზი მოშორდებაო. აქვე იდგა დაჭრელებული კიდობანი; ზურგდაჭრელებული გრძელი სკამი, სამფეხა სკამები (ჩ ი გ ა), ოთხფეხა დაბალი ხის ტაბლა; აქვე იყო ჭურჭელი და საწოლები. სათავსის ჭერზე ეკიდა გამხმარი ხორცი, ქონი და სხვ. ქვითკირის მესამე სართულის სათავსში შესასვლელად მის აღმოსავლეთის კედელში კარია დატოვებული. კედლებზე აქაც რამდენიმე ნიშია, სარკმელი და ერთიც სათოფური. მესამე სართულის სათავსს ზ ე დ ა თ ვ ა ლ ი ეწოდება. ის ბანიანი ყოფილა.

კოშკის სართულშუა გადახურვები კედლებზე დარჩენილი დირეების ბუდეების მიხედვით გუროში აღწერილის მსგავსი ყოფილა, ხოლო სახურავი ბანიანი ჰქონია.

კოშკის პირველი სართულის სათავსი ქვითკირის მეორე სართულის დონეზე მდებარეობს. კოშკში შესასვლელი კარი სამხრეთის კედელშია დატოვებული, მიწის დონიდან 2,50 მ. სიმაღლეზე. კარი ნახევარწრიული თაღითაა დაგვირგვინებული. კოშკის დასავლეთის კედელზე ერთი დიდი ზომის ღიობია მოგვიანებით გამონგრეული. როგორც ჩანს, საფრთხის დროს ამ ღიობით წარმოებდა კავშირი ქვითკირის მეორე სართულსა და კოშკს შორის.

კოშკის სამხრეთის კედელზე ერთი ვერტიკალის გასწვრივ მეორე-მესამე სართულებზე ნახევრადწრიული თაღით დაგვირგვინებული თითო სარკმელია განლაგებული.

პირველი, მეორე და მესამე სართულის სათავსების კედლებზე რამდენიმე სათოფური ხვრელია, რომლებიც სხვადასხვა მხარესაა მიმართული.

კოშკის პირველი სართულის სათავსის ფართი 5 $მ^2$-ის ტოლია, ბოლოსი

კი 4,98 მ²-ისა. როგორც ჩანს, კოშკის სათავსების ფართი თითქმის ტოლია, რაც მას ძირეულად განასხვავებს გუროში აზომილი კოშკისაგან.

კიდევ ერთი განმასხვავებელი ელემენტია ბოლო სართულის გადაწყვეტა. მას საკმაოდ დიდი ზომის ოთხკუთხა ღიობები (სიგანე 1,25 მ, სიმაღლე — 1.35 მ) გააჩნია ოთხსავე მხარეს. შესაძლოა მათ წინ ადრე აივნისმაგვარი ნაშენები იყო მოწყობილი. სახურავი მიწურბანიანი ყოფილა.

მსგავსი კოშკები ხევსურეთის სხვა სოფლებშიც გვაქვს დაფიქსირებული.

## მთიულეთი

მთიულეთში კოშკიანი კომპლექსი წარმოდგენილია ერთმანეთთან დაკავშირებული მიწურბანიანი საცხოვრებელი სახლის, ან ციხე-სახლისა და კოშკის სახით. მისი ყველაზე ტიპიური სახე აღწერილია ძველ არახვეთში[16]. იგი ცნობილია „ნადირაანთ ციხის" სახელწოდებით.

ნადირაანთ ხსენებული კომპლექსი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება — სახლისა და ციხე-საგან. კომპლექსი ქვითა და ლამკირითაა ნაგები (პირველი სართულის გეგმა, კომპლექსი, ხედი და ჭრილები იხ. სურ. 26, 27).

სახლის კედლების სისქე პირველი სართულის დონეზე 75 სმ შეადგენს, მეორეზე კი 50 სმ. კოშკის კედლების საშუალო სისქე პირველი სართულის დონეზე 85 სმ-ია, ბოლოზე კი 55 სმ.

სახლის სართულშუა გადახურვა და სახურავი ჩამონგრეულია. დირეების შემორჩენილი ბუდეებით შესაძლებელია სართულშუა გადახურვის აღდგენა; ორ კედელს შორის გადებული ყოფილა სამი თავხე, მათზე ძელების რიგი — (მოსლები), ბოლოს ფიჩხითა და სიპით დაფენილი ჭერია, რომელზედაც დატკეპნილი (აზეპილი) მიწა იყო, რომელიც მეორე სართულის სათავსის მიწურს წარმოადგენდა.

სახურავის კონსტრუქციული სისტემაც სამი თავხისაგან შედგებოდა, რომლის ჭერზე მოთავსებული იყო ბანი. სახურავის წონის შესამსუბუქებლად მეორე სართულზე სამი ბოძი ყოფილა დაყენებული, რომელთაგანაც შუას გულთა ბოძი ეწოდებოდა.

სახლის პირველი სართულის სათავსს ძირა სახლი ეწოდებოდა და მისი ფართი 90 მ² აღწევს. ის გამოყენებული ყოფილა კერად და გომურად. გომურში იყო საძირეები, რომელზედაც საქონელს აბამდნენ კირკლებ-ით გარკვეული რიგის მიხედვით.

ოჯახი ძირა სახლში მხოლოდ ზამთრობით იმყოფებოდა, ზაფხულში კი ის მეორე სართულში — მეორე ზედაქვე-ში გადადიოდა. მისი ფართის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგანაც კედლები ჩამოქცეულია.

პირველი სართულის სათავსში შესასვლელად ოთხი კარი იყო დატოვებული: ორი ქვემო გვერდით კედელში, რომელთაგანაც ერთი კოშკის მეორე სართულის სათავსს უკავშირდებოდა. მესამე კარი ზურგის კედელში იყო დატანებული, მეოთხე კი გვერდით კედელში. კარები აქაც ნათოხალებიანია და მისი ფრთები მიხურვის შემდეგ ურდულით (საგდული) იკეტება.

სახლის პირველი და მეორე სართულის დონეზე კედლებში რამდენიმე სარკმელი და სათოფურია (სათოფე), მათ შორის დუბლირებული სათოფური ხვრელებიც.

სახლში შესასვლელი კარის თავზე მეორე სართულის კედელზე გაკეთე-

ბულია სალოდე (ს ა თ ო ლ ე), საიდანაც ქვას უშენდნენ სახლის კართან მოსულ მტერს.

კოშკის სართულებსაც ერთმანეთისაგან ბოსლები ყოფდა, რომელზეც დაზეპილი მიწა იყო. კოშკი ბრტყელსახურავიანი ყოფილა.

კოშკში შესასვლელი კარი მეორე სართულის სათავსის დონეზეა სახლის მხრიდან. კარი ნათთხალებიანია და მისი ფრთა ურდულით იკეტება. კოშკის სათავსებს რამდენიმე სარკმელი და სათოფური ხვრელები გააჩნია.

კოშკის პირველი სართული სარდაფს წარმოადგენდა და მასში მ ა რ ა ნ ი ყოფილა. შიგ დღემდეა შემორჩენილი ქვევრები. მისი ფართი 12 მ²-ია. კოშკის მეორე და მესამე სართულის სათავსების ფართი დაახლოებით სარდაფის სართულის სათავსის ფართის ტოლია.

კოშკის მესამე სართულის წინაკედელს შუაში დატანებული აქვს კულა, რომლის გვერდებზე სალოდეები იყო მოწყობილი. შეიმჩნევა სანიავებელი ძივრცეები, რომლებიც ბანს წინამხრიდან ჰქონდა დატოვებული.

კოშკის ბანის სახელად კ ა ლ ო-ს ხმარება იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა აქ წარმოებდა თავთავის შრობა და მისი ხელით ლეწვა.

ანალოგიური ციხიანი სახლის ნახაზები მოყვანილია მ. ჩართოლანის სტატიაში, რომელიც მთიულეთის საცხოვრებელ ნაგებობებს ეხება, მაგრამ აქ არაა მოცემული მისი აღწერა[17]. კომპლექსი ზემოთ აღწერილისაგან იმით განსხვავდება, რომ კოშკი აქ მომრგვალებულ ზურგიანია და ნაგებია მშრალად, უცემენტოდ.

XIX ს. მეორე ნახევარში მთიულეთში კოშკები კარგავენ დაცვით მნიშვნელობას, მაგრამ ამით მათი მატერიალური ღირებულება არ მცირდება. საოჯახო ქონების გაყოფასთან ერთად ციხე არ იყოფა და იგი განაყარი ოჯახების საერთო საკუთრებაში რჩება, ბოლოს კი პატრონიმიული კულტის ობიექტად იქცევა.

## ხევი

ხევში კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი ერთმანეთთან დაკავშირებული კოშკისა და ციხე-სახლის, ან კოშკისა და მიწურბანიანი საცხოვრებელი სახლის სახითაა წარმოდგენილი.

1. ციხე-სახლისა და კოშკისაგან შედგენილი ითონიშვილების კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი აღწერილია სოფ. ყანობში[18] (გეგმა, ფასადი და აღდგენილი სახე იხ. სურ. 28, 29, 30). კომპლექსს ჩვენამდე შეცვლილი სახით მოუღწევია.

თავდაპირველად კომპლექსის შემადგენელი ნაგებობებიდან სამსართულიანი ციხე-სახლი მდგარა გვერდით კედელზე მიშენებული კიბით. მოგვიანებით მას მიადგეს ოთხსართულიანი, ბანით დახურული კოშკი.

ნაგებობების ასაშენებლად ნატეხი ქვაა გამოყენებული. წყობა მშრალია. ციხე-სახლის კედლების საფასადე მხარეს კირნარევი ხსნარით შელესვის კვალი ეტყობა. კოშკისა და ციხე-სახლის კედლების სისქეები პირველი სართულის დონეზე 85—95 სმ. აღწევენ, ბოლოზე —70 სმ-ს.

როგორც კოშკის, ისე ციხე-სახლის სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზეა მოწყობილი. ამჟამად ორივე ნაგებობა ერთიანი ოთხფერდა სახურავითაა გადახურული. ადრე ისინი ბანით ყოფილან გადახურული. სართულშუა გადახურვებისა და სახურავის ფენილის წონის შესამსუბუქებლად ციხე-სახ-

ლის სართულებზე ქვის ბურჯები (კ უ ლ ა) და ხის სვეტებია გამოყენებული.

ციხე-სახლის პირველი სართულის (ქ ო ი თ ა ი) ფართია 60 მ². იგი გეგმაში გრძივი კედლით გაყოფილია ორ ნაწილად. უკანა მხარე განკუთვნილი იყო ცხენების, ხარების, მოზვერებისა და ცხვრების სადგომებად, წინა კი ძროხებს, დეკეულებსა და ხბოებს ჰქონდათ დაკავებული.

ციხე-სახლის მეორე სართულის (შ უ ა ს ა ხ ლ ი) ფართი 63 მ² შეადგენს. აქ ზამთრობით ოჯახი ცხოვრობდა. შუასახლის წინა ნახევარში კერა იყო გამართული. კერში ხორცის საკიდები (კ ა რ ჩ ხ ი) იყო ჩამობმული.

ციხე-სახლის მესამე სართული (ზ ა ი თ ა) ადრე ერთიანი ფართით ყოფილა წარმოდგენილი. ეს სათავსი თავდაცვით და საცხოვრებელ ფუნქციებს აერთიანებდა.

პირველ სართულში შესასვლელი თაღიანი კარი დასავლეთის კედელშია. კარის წირთხლებზე გარეთკენ ნათოხალებია გამოყოფილი. კარის ფრთა მუხის სქელი ფიცრებისაა. იგი რკინის სალტეებითა და ნალებითაა შეკრული. ფრთა მიხურვის შემდეგ შიგნიდან ურდულით (კ ე დ ი) იკეტებოდა, რომლის თავი და ბოლო წირთხლებში გაკეთებულ საურდულე ხვრელებში (ს ა კ ე დ უ რ ი) ჯდებოდა. ანალოგიური კარი იყო მეორე სართულზეც იმავე მხარეს. ამ კარის წინ ქვის კიბე იყო მოწყობილი.

ციხე-სახლის სართულები ერთმანეთთან საძრომებით (ე რ დ ო) იყო დაკავშირებული.

სართულების გასანათებლად რამდენიმე ვიწრო სარკმელია კედლებში, ხოლო მეორე-მესამე სართულებზე სათოფური ხვრელებიცაა. მოგვიანებით მესამე სართულზე ვიწრო ღიობები გაუგანიერებიათ და თანამედროვე ფანჯრებად გადაუკეთებიათ.

ციხე-სახლის ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან ქვის მშრალი წყობით ნაგები ოთხსართულიანი კოშკია მიდგმული. მისგან დღემდე მხოლოდ სამ სართულს მოუღწევია.

კოშკის პირველი სართულის ფართია 8,8 მ². ამ სართულს ქ ო ი თ დ ა რ ი ფ ა ნ ი ეწოდება და ცხენების სადგომად გამოიყენებოდა. პირველ სართულში შედიან დასავლეთის კედელში გაჭრილი ოთხკუთხა მოყვანილობის კარით.

კოშკის მეორე სართულის ფართი 8,4 მ²-ია ამ სართულზე დასავლეთის კედელში ვიწრო სარკმელია, ხოლო სამხრეთის კედელში თაღიანი კარია. აქედან ზედა სართულზე ასასვლელად ხის კიბეა მოწყობილი. მეორე სართული ზ ა ი თ დ ა რ ი ფ ა ნ ი სამეურნეო და სატრანსპორტო საგნების შესანახად გამოიყენებოდა.

კოშკის მესამე სართულის ფართი 8 მ²-ს აღწევს. ამ სართულის ციხე-სახლის მესამე სართულიან დასაკავშირებლად ამ უკანასკნელის დასავლეთის კედელში ოთხკუთხა მოყვანილობის კარი გაუჭრიათ. კოშკის მესამე სართულის დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებში თითო ვიწრო სარკმელია. მოგვიანებით ამ სართულის სამხრეთის კედლის გასწვრივ აივანი მოუწყვიათ და კოშკის კედელში ოთხკუთხა ფორმის კარი გაუჭრიათ. ეს სართული ზედასთან ხის კიბით იყო დაკავშირებული.

კოშკის მეოთხე სართულს დღემდე არ მოუღწევია. გადმოცემით ამ სართულზე აღმოსავლეთის კედელში კარი ყოფილა ციხე-სახლის ბანზე გასასვლელად, ხოლო დანარჩენ კედლებში — სარკმლები.

2. კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსის კიდევ ერთი ნიმუში აზომეთ

ხევში, თრუსოს ხეობის სოფ. ქვემო დესში. იგი სოფლის განაპირასაა აგებული და ოთხსართულიანი კოშკითა და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლითაა წარმოდგენილი (გეგმები და კოშკის ჭრილი იხ. სურ. 31, 32, 33).

საცხოვრებელი სახლის საძირკველი ზოლოვანია, კოშკისა — წერტილოვანი. კედლების წყობაში ნატეხი ქვაა გამოყენებული. ქვებს შორის ტალახის კვალი შეინიშნება. სახლის მეორე სართულის კედლები შიგა მხარეს ნაკელნარევი მიწით ყოფილა შელესილი.

საცხოვრებელი სახლის კედლების სისქე პირველი სართულის დონეზე 75—65 სმ ფარგლებში ცვალებადობს, მეორეზე — 75—60 სმ აღწევს. კოშკის კედლების სისქე პირველ სართულზე 1,80—1,90 მ-ია, ბოლოზე —1,10—1,15 მ.

ნაგებობების სართულშუა გადახურვები და სახურავი დიდი ხნის წინ ჩანგრეულა. კედლებზე დარჩენილი ბუდეების მიხედვით ისინი ხის კოჭებზე ყოფილა მოწყობილი. როგორც სახლის, ისე კოშკის სახურავი მიწურბანიანი იყო.

სახლის პირველი სართული ქვის კედლებით სამ სადგომადაა გაყოფილი. მათი საერთო ფართი 95 $მ^2$ შეადგენს.

სახლის მეორე სართულის ფართია 108 $მ^2$.

პირველ სართულში შესასვლელი სამხრეთის კედელშია. კარი ოთხკუთხა მოყვანილობისა იყო გლუვი წირთხლებით. აღნიშნული კარით შედიოდნენ სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოქცეული ოთხკუთხა მოყვანილობის საკმაოდ წაგრძელებულ სათავსში, ხოლო ეს უკანასკნელი მის ჩრდილოეთით და დასავლეთით მოქცეულ სათავსებს ქვის ტიხრებში გაჭრილი თითო ოთხკუთხა ფორმის კარით უკავშირდება. ამ შესასვლელებს ნათხალები არა აქვთ და არც საურდულე ხვრელები გააჩნიათ.

აღწერილის ანალოგიური ორი კარია მეორე სართულზე სათავსების ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

სახლის სართულების გასანათებლად საკმაოდ დიდი ზომის სარკმლებია მოწყობილი კედლებში. კედლის შიგა მხარეს რამდენიმე ნიშია.

სახლის სართულები ერთმანეთთან ოთხკუთხა ასასვლელით ყოფილა დაკავშირებული, რომელზეც ხის კიბე ყოფილა მიდგმული.

სახლის პირველი სართული სამეურნეო ფუნქციას ემსახურებოდა. აქ საქონლის სადგომი ყოფილა გამართული. სახლის მეორე სართული ოჯახის წევრთა საცხოვრებლად გამოიყენებოდა.

კოშკის პირველი სართულის ფართი 6 $მ^2$ შეადგენს. მას სარკმელი და კარი არ გააჩნია. კოშკის მეორე სართულის ფართია 8 $მ^2$., ბოლოსი კი 8,5 $მ^2$.

კოშკში შესასვლელი სამხრეთის კედელშია, მეორე სართულზე, მიწის დონიდან 2,80 მ. სიმაღლეზე. კარის წირთხლებთან გარეთკენ მასიური ნათხალებია გამოყოფილი. კარის ფრთა ურდულით იკეტებოდა. ამავე სართულის აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებში თითო სათოფური ხვრელია.

კოშკის მესამე სართულზე სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებში ორ-ორი სათოფური და თითო ვიწრო სარკმელია, დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებში კი ორ-ორი სათოფური ხვრელია.

კოშკის მეოთხე სართულის სამხრეთის კედელზე სათოფური ხვრელია და საკმაოდ დაზიანებული სალოდე, დასავლეთის კედელზე ორი სათოფურია და ერთიც სალოდე, ხოლო ჩრდილოეთის კედელში ერთი სალოდეა.

კოშკის სართულები ერთმანეთთან საძრომებით ყოფილა დაკავშირებული.

კოშკის პირველი სართული სამალავად გამოიყენებოდა. მეორე-მესამე სართულებზე ოჯახის წევრები აფარებდნენ თავს საჭიროების შემთხვევაში, ხოლო მეოთხე სართული თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა.

კოშკის სამხრეთისა და სახლის აღმოსავლეთის კედლებთან დღემდე მოღწეული საძირკვლის ნაშთები მიგვანიშნებენ, რომ აქ მდგარა ორსართულიანი ნაგებობა, რომლის მეორე სართული ერთმანეთთან აკავშირებდა სახლისა და კოშკის მეორე სართულებს.

კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსის ნიმუშები დამოწმდა ხევის სხვა სოფლებშიც, მათ შორის გაიბოტენში, ფანშეტში, ქეთრისში, ზაკაგორში, სუატისში და სხვა.

## თუშეთი

თუშეთში კოშკიანი კომპლექსი წარმოდგენილია ერთმანეთთან დაკავშირებული კოშკისა და ქვითკირის სახით.

ს. მაკალათიას აღწერილი აქვს ერთ-ერთი ასეთი საცხოვრებელი კომპლექსის კოშკი სოფელ დართლოში[19]. კომპლექსი ნადირაანთ ციხის სახელით ყოფილა ცნობილი. კოშკი ექვსსართულიანია. მისი პირველი სართულის სათავსი ტყვეების დასამწყვდევი დილეგი ყოფილა, ფართით 6 $მ^2$. ბოლო სართულის ფართია 4 $მ^2$. ამ სართულის ოთხსავე კედელზე თითო დახურული სალოდეა გამართული, რომლებსაც ქვების ჩამოსაყრელი ღიობების გარდა სათოფური ხვრელები გააჩნიათ. ეს სართული შეისრული გუმბათით თავდება. გუმბათი გადახურულია ფიქალის ქვებით, რომელთა საფეხურისებრი მიმართება მას პირამიდულ ფორმას აძლევს.

ს. მაკალათიას შეუმჩნევია, რომ პირამიდულ სახურავიანი კოშკები გავრცელებული ყოფილა მხოლოდ პირიქით ხეობაში დართლოდან მოყოლებით ნასოფლარ ჰონთიომდე. ისინი დუღაბით ყოფილან ნაგები და შედარებით კარგად შემონახულან.

კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსები ამ ხეობის სოფლებში რამდენიმე მდგარა. ს. მაკალათიას ნაშრომში მოყვანილ ფოტოსურათზე ნათლად ჩანს ორი კომპლექსი კოშკისა და ქვითკირის შემადგენლობით. ერთი მათგანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნადირაანთ ციხის სახელითაა ცნობილი, მეორე კიდოიძეთ ციხის.

ს. მაკალათიას შეუმჩნევია, რომ გომეწრისა და ჩაღმის თემებში გავრცელებულ კომპლექსებში კოშკები სხვაგვარი მოყვანილობისანი არიან. მათი სახურავები ერთქანობიანია და ფიქალის ქვის ფილებით ყოფილა გადახურული. მათ სალოდეები ჰქონიათ საბრძოლო სართულზე. მათი კედლის წყობა უდუღაბოდ ყოფილა აყვანილი.

აღწერილობიდან ჩანს, რომ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც საშენი მასალის გამოყენებით, ისე გადახურვისა თუ კომპლექსის ცალკეული ელემენტების თავისებურებებით.

განსახილველი კომპლექსის მეტი წილი კირის ან ლამკირის დუღაბითაა ნაგები. გომეწრისა და ჩაღმა ხეობების ოთხკუთხა კოშკები, ასევე მთიულეთში გავრცელებული ზურგიანი კოშკი უდუღაბოდაა ნაგები.

სვანეთში კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენელი ნაგებობანი უკლებლივ ორქანობიანი სახურავითაა გადახურული. მთიულეთში, ხევსურეთსა და ხევში კომპლექსის შემადგენელი სახლი ან ქვითკირი მიწურბანიანი სახურავითაა გადახურული, კომპლექსის შემადგენელი კოშკების ნაწილი ასევე ბანით, ნაწილი კი საფეხუროვან-პირამიდული სახურავით. თუშეთში კომპლექსის შემადგენელი სახლი ორქანობიანი სახურავითაა გადახურული, კოშკი და ციხე-სახლი კი ორქანობიანი ან ცალფერდა სახურავით. კოშკების ნაწილს საფეხუროვან-პირამიდული სახურავი გააჩნიათ.

ასევე განსხვავდებიან ეს კომპლექსები შემადგენელი ელემენტებითაც. სვანეთსა და მთიულეთში ეს კომპლექსები შედგება სახლისა და კოშკისაგან, ხევსურეთსა და თუშეთში კოშკისა და ციხე-სახლისაგან, ხოლო ხევში დამოწმებულია კომპლექსების ორი ჯგუფი, რომელთაგან პირველი კოშკისა და სახლისაგან შედგება, ხოლო მეორე — კოშკისა და ციხე-სახლისაგან.

აღწერილი კომპლექსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კოშკის აგებულებითაც; სვანური კოშკები ენტაზისებიანია, ხევსურეთსა და თუშეთში არსებული კოშკები რამდენიმე სახისაა: საფეხუროვან-პირამიდული გადახურვით, დაფერდებული და ბანიანი გადახურვით. თავიანთი აგებულებით ისინი მნიშვ ელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსების შემდეგ ქვესახეებს ვამოვყოფთ: 1. კოშკიან-სახლიანი საცხოვრებელი კომპლექსი, 2. კოშკიან-ციხე-სახლიანი საცხოვრებელი კომპლექსი; 3. კოშკიან-სახლიანი-გუბანდიანი საცხოვრებელი კომპლექსი. პირველი ძირითადად სვანეთში, მთიულეთსა და ხევში იყო გავრცელებული, მეორე — ხევსურეთში, მთიულეთში, თუშეთსა და ხევში, ხოლო მესამე — სვანეთში.

## გავრცელების არეალი და სიხშირე

აღწერილი კომპლექსის გავრცელების არეალი საქართველოს მთიანეთში ერათანაბარი იყო, ამასთან, ცალკეული რეგიონების სხვადასხვა კუთხეებში მისი სიხშირე ცვალებადია.

კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსის გავრცელების არეალი წარსულში მთელი დღევანდელი სვანეთის ტერიტორიას მოიცავდა მეტ-ნაკლები სიხშირით, მაგრამ გვიანი შუა საუკუნეებისათვის ვითარება იცვლება. ქვემო სვანეთი საქართველოს ბარისათვის შედარებით ადვილი ხელმისაწვდომი იყო და ის ადგილობრივ თუ ბარის ფეოდალთა სალაშქრო ასპარეზად იქცა. საბოლოოდ მას დადიანები იკავებენ, და ცხადია, ისინი თავიანთ ვასალებთან ერთად იზრუნებდნენ იმაზე, რომ რიგით მეთემეებს თავდაცვის ნაკლები საშუალებანი ჰქონოდათ. ამის შედეგად უკვე XIX ს. კოშკიანი კომპლექსი ქვემო სვანეთში იშვიათობად გადაიქცა. რაც შეეხება ზემო სვანეთს, ის ჩრდილოეთით მცხოვრები მეზობლებისაგან საიმედოდ იყო დაცული კავკასიონის მთავარი ქედით. ამავე ქედის სამხრეთის განშტოებანი მას ბარის ფეოდალთა ხელყოფისაგან იცავდა და ამ ფაქტორმა განაპირობა, ერთი მხრივ, ყოფისა თუ მატერიალური კულტურის ძეგლების შედარებით არქაული ფორმების გვიანამდე შემონახვა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით და, მეორე მხრივ კი, მათი განვითარება ადგილობრივ ნიადაგზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზემო სვანეთის ის ნაწილი, რომელიც ბალსქვემო სვანეთის სახელითაა ცნობილი, დადეშქელიანების მფლობელობაში აღმოჩნდა XVI ს-დან. დადეშქელიანებს გაბატონებულმა

გვარმა რიგით მოსახლეობას აუკრძალა კოშკების მშენებლობა, ხოლო უკვე არსებულებზე საბრძოლო სართულები მოანგრევინა, რათა იქიდან მათთვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ. ამ აქტის შემდეგ ბალსქვემო სვანეთის მოსახლეობა საცხოვრებლად ძველებურ სვანურ ორ ან სამსართულიან სახლს აგებდა უკოშკოდ, ხოლო უკვე არსებულ კომპლექსებში კოშკი თანდათან ეთიშება საცხოვრებელს.

რაც შეეხება ბალსზემო სვანეთს, აქ კოშკიანი კომპლექსის მშენებლობა ლიმიტირებული არ ყოფილა რომელიმე გვარის მიერ და ამ კუთხის სოფლის სილუეტს სწორედ ეს კომპლექსი განსაზღვრავს. ბალსზემო სვანეთის სოფლები ძირითადად ამ კომპლექსებისაგან შედგება.

სვანეთის მაგალითზე აშკარად ჩანს, რომ აღნიშნული კომპლექსი შექმნის პირველ ეტაპზე კარგად უთავსებდა კოლექტიური და ინდივიდუალური თავდაცვის ფუნქციებს. ამის მაგალითებია სოფ. მურყმელში აღწერილი კომპლექსები, რომლებიც სოფელში შემოსასვლელ გზებს უწევენ კონტროლს. ამ ეტაპზე კომპლექსში კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვითი ფუნქციების შერწყმა ტერიტორიული თემის ინტერესებს შეესაბამებოდა.

მოგვიანებით სვანეთში შეინიშნება იმის ტენდენცია, რომ ცალკეული ოჯახი ცდილობს კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი სოფლის მიმართ სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილზე ააგოს და სოფელს გარკვეული ვალდებულებანი მოახვიოს. ეს მომენტი უკვე სათემო მმართველობის დაკნინებას მოასწავებს, თუმცა სოფელი იბრძვის მის წინააღმდეგ და მეტწილად ეს ბრძოლა გაბატონების მსურველი ოჯახის ამოწყვეტით მთავრდება.

ასევე არათანაბრადაა გავრცელებული კოშკიანი ციხე-სახლები ხევსურეთშიც. მაშინ როდესაც სვანეთი თავისი ჩრდილოელი მეზობლებისაგან კავკასიონის ქედით იყო გამოყოფილი, რომელიც მისთვის ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა და მეტწილად შვიდი-რვა თვის განმავლობაში ჩაკეტილი იყო, ხევსურეთი ამავე ქედით ორად იყო გაყოფილი და პირიქით ხევსურეთი მთელი წლის მანძილზე მარტო რჩებოდა თავის უშუალო მოწინააღმდეგესთან. ასეთ ვითარებაში სასაზღვრო ზოლში ობიექტურმა ფაქტორებმა შექმნეს ისეთი დასახლებანი, რომლებშიც ყველაფერი კოლექტიური დაცვის ფუნქციისადმი იყო დაქვემდებარებული. ასეთ პუნქტებს ციხე-სიმაგრის სახე გააჩნიათ (შატილი, მუცო, გურო, არდოტი, ხახაბო). კომპლექსი, რომელიც ინდივიდუალურ თავდაცვაზე იქნებოდა გამიზნული, აქ არ გამოდგებოდა. სავარაუდოა, სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული კომპლექსი ძალზე მცირე რაოდენობით გვხვდება პირიქით ხევსურეთში, ამასთან, ისინი სოფლის საერთო დაცვის რგოლში არიან ჩაბმული და კოლექტიური დაცვის ფუნქციებს ემსახურებიან.

პირიქით ხევსურეთის სოფ. გიორგწმინდაში სასაზღვრო ზოლიდან დაცილებით ერთი გამონაკლისი შემთხვევა დავაფიქსირეთ. აქ ხეობის თავზე შემაღლებულ ადგილას კოშკისა და სახლის ნანგრევებია შემორჩენილი. ხალხი მას საგინას ციხეს უწოდებს. ნასახლარი ხეობის, სოფლისა და სახნავ-სათესი თუ სათიბი სავარგულების მიმართ სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილასაა აგებული. გადმოცემით კომპლექსის პატრონს თანამეთემეებთან უთანხმოება მოსვლია მიწის თაობაზე და მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენლები ფშაველთა დახმარებით დაუხოცია.

რაც შეეხება პირაქეთ ხევსურეთს, მისი სოფლების უმეტეს ნაწილში კოშკი დღემდე არ შემორჩენილა, მაგრამ ხევსურული პოეზია, პროზაული ტექს–

ტები და ჩვენ მიერ ჩაწერილი გადმოცემები მოწმობენ, რომ თითქმის ყველა ძველ სოფელში მდგარა კოშკი. თუ რა დამოკიდებულებაში იყო ის საცხოვრებელთან, ამის დადგენა ძალზე ძნელია, რადგანაც ადრე დაუქცევიათ ბარის ფეოდალებს მრავალრიცხოვანი შემოტევებისას. მიუხედავად ამისა, ხახმატში, ბაცალიგოს, ზეისტეჩოსა და ლიქოკში შემორჩენილი ნაშთები მიგვანიშნებენ, რომ კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსის ის ვარიანტი, რომელიც კოშკისაგან და ქვითკირისაგან შედგებოდა, პირაქეთ ხევსურეთისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო.

მთიულეთში შედარებით სხვა ვითარებაა აღნიშნული. როგორც გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დების ტექსტიდან ირკვევა, უკვე XIV ს-დან ამ რეგიონში მნიშვნელოვან სოციალურ ძვრებს ჰქონდა ადგილი[20]. პრივილეგიური წოდება, რომელსაც ეკუთვნოდა ერისთავი, გამგებელი, ხევისბერი, ციხისთავი და ჰეროვანი, იბრძოდა თავისი წოდებრივ-ქონებრივი უფლებების განსამტკიცებლად მდაბიო ხალხის — სოფლიონისა და ვინგინდავინის წინააღმდეგ. ამის შედეგი იყო „ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგვრა“ და სხვა. მოგვიანებით ყოველივე ამას არაგვის ერისთავთა ექსპანსიაც დაერთო, რაც XVII ს. ამ კუთხის შემომტკიცებით დამთავრდა. XVIII ს. მეორე ნახევრიდან მთიულეთი ქართლის მეფის უშუალო გამგებლობაში გადადის. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ მთიულეთზე გამავალი გზით საქართველოს სამეფო XVII ს-დან გაცხოველებულ დიპლომატიურ ურთიერთობას აწარმოებდა რუსეთთან; შემდეგ ამ გზით მავალი ჯარები შემოდიოდნენ.

კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსები შუასაუკუნეების მთიულეთში (გუდამაყრის გამოკლებით) ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ, როგორც ძეგლისდებიდან ჩანს, უკვე XIV ს-ში იწყება მათი ნგრევა სოციალური ძვრების ნიადაგზე. მოგვიანებით არაგვის ერისთავები იზრუნებდნენ იმაზე, რომ მოსახლეობას წინააღმდეგობის გაწევის ნაკლები საშუალებანი ჰქონდა, ხოლო მეფის რუსეთის არმია გეგმაზომიერად აფეთქებდა და ანადგურებდა გამაგრებულ ადგილებს, სადაც კი ოდნავი წინააღმდეგობა ხედებოდა.

სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ XIX ს-ის დასასრულისათვის მთიულეთში კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსის მცირე რაოდენობა შემორჩა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბარის უშუალო ზეგავლენით აქ კოშკი შედარებით ადრე კარგავს დაცვით მნიშვნელობას, რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მის პატრონომიული კულტის ობიექტად გადაქცევას უწყობს ხელს.

მთიულეთში მოქმედი ფაქტორების ზეგავლენით კოშკი ხევშიაც საკმაოდ ადრე გამოეთიშა საკარმიდამოს და კოშკიანი კომპლექსი უკვე XX ს-ის დასაწყისისათვის აქაც იშვიათობას წარმოადგენდა.

თუშეთი საქართველოს საზღვრისპირა ზოლში მდებარეობს. კოლექტიური თავდაცვის ობიექტურმა პირობებმა აქაც ერთიანი ციხე-სოფლის არსებობა განაპირობა. საქართველოს ბარის პოლიტიკური მესვეურნი არ არღვევდნენ თუშთა ტრადიციულ ყოფას, რადგანაც, პირველ რიგში, სწორედ თუშები იცავდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ბარს ლეკების გამანადგურებელი შემოსევებისაგან, ამასთან, მათგან ქმნიდნენ საიმედო რაზმებს. ერეკლე მეორემ თუშები სალაშქრო ბეგარისაგანაც კი გაანთავისუფლა, რადგანაც მათ უნდა მიეღოთ საზღვარზე პირველი დარტყმები.

მოგვიანებით თუშების მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა თვითმპყრობელური რუსეთის მიერ კავკასიის შეერთების დაწყებამ. ჩეჩენ-ქისტებისათვის ნათელი იყო თუშეთის, როგორც მათი მოწინააღმდეგის ბანაკში მყოფი მხარის პოზიციები და ლეკების დაუსრულებელ თავდასხმებს მათი შემოსევებიც დაემატა.

ასეთი ვითარება არ იძლეოდა საშუალებას ოჯახის ინდივიდუალური თავდაცვის ისეთი რაციონალური კომპლექსის ცალკე გამოყოფისათვის, როგორიცაა კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ თუშეთში კოშკიანი კომპლექსი სოფელთანაა მჭიდროდ დაკავშირებული და კოლექტიური დაცვის ერთიან სისტემაშია ჩართული, ამასთან მისი გავრცელების სიხშირე იმთავითვე ნაკლები იყო.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Архитектурные обмеры, М., 1949.

2. В. П. Кобычев. А. И. Робакидзе, Основные типологии картографирования жилища народов Кавказа, СЭ, 2, М., 1967.

3. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1976.

4. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962; Обозрение российских владений за Кавказом, I, СПб., 1836; Гакстгаузен, Закавказский край, I, СПб., 1857; Г. И. Радде, Путешествие в Сванетии, ЗКОРГО, кн. XII, вып. I, Тиф., 1866; Дм. Бакрадзе, Сванетия, ЗКОРГО, VI, Тиф., 1864; Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II. СПб., 1871; Байерн, о древних сооружениях на Кавказе, ССК, I. Тиф., 1871; ალექსი ... მგზავრის შენიშვნები, „კრებული", 1872, № 7; ф. Ланд, Гудамакарское ущелье, КК на 1863 г. Тиф., 1862; А. Л. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, ч. I, СПб., 1879; Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тиф., 1888; Грове, Холодный Кавказ, СПб.; 1879; ა. დიუმა, „კავკასია", თბ., 1964; Потто, Утверждение русского владичества на Кавказе, т. III, ч. I. Тиф., 1894; И. Каневский, Любопытные уголки Кавказа, Тиф., 1886; И. Пантюхов, О пещерных и позднейших жилищах на Кавказе, Тиф., 1896; В. Я. Тепцов, Сванетия, СМОМПК, вып. X, отд. I, Тиф., 1890; И. А. Акинфиев, Поездка в Осетию на Ардоне и в Сванетию, Тиф., 1893; ემილ ლევიეს მოგზაურობა საქართველოში, „მოამბე", XII, ტფ., 1894; ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962; მისივე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964; П. С. Уварова, Поездка в Пшавию, Хевсурию и Сванетию, МАК, X, М., 1904; D. Freschfield, Swanetia, the exploration of the Caucasus, L., 1896, V. I, ch. IX—XII; Mourier, lárt au Caucase, Paris, 1907; А. Я. Камараули, Хевсурия, Тиф. 1939; В. Шкловский Горная Грузия, М., 1930; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930 და სხვ.

5. ს. მაკალათია, მთის რაჭა, ტფ., 1930; მისივე, მთიულეთი, ტფ., 1930; მისივე, თუშეთი, ტფ., 1933; მისივე, ფშავი, ტფ., 1934; მისივე, ხევი, ტფ., 1934; მისივე, ხევსურეთი, ტფ., 1935; მისივე, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945.

6. М. Джандиери и Г. Лежава, Архитектура Сванетии, М., 1932; მათივე, Архитектура горных районов Грузии, М., 1940.

7. გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, VI, თბ., 1953;

8. А. И. Робакидзе, К вопросу о форме поселения в Сванети, КСИЭ, АН СССР, XXIX, М., 1958; მისივე, Жилища и поселения горцев Грузии в прошлом и настоящем, КСИЭ, АН СССР, XXXVI, М., 1961; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1965; მათივე, სვანური „ლამტყვირ"-ის მნიშვნელობისათვის, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; ა. ქალდანი, სანცხვარიანი სახლი, „მაცნე", № 3, თბ., 1972; მისივე, Жилые комплексы Сванети, Автореферат диссертации на соискание

ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1974; მისივე, სვანური საცხოვრებლის ერთი სახე, „ძეგლის მეგობარი“, № 36, თბ., 1974; მისივე, შენებლობის ხალხური წესები სვანეთში, „მაცნე“, № 3, თბ., 1974; მისივე, სვანური საცხოვრებელი კომპლექსის კარი და მასთან დაკავშირებული ერთი წეს-ჩვეულება, „მაცნე“, № 4, თბ., 1981.

9. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

10. მ. ჩართოლანი, საცხოვრებელი ნაგებობანი მთიულეთში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, ტ. XXV — B, თბ., 1968.

11. ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967; მისივე, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კეკ, I, თბ., 1964; ვ. დოლიძე, ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლები, ქართული ხელოვნება, 5, თბ., 1959, 242—243.

12. ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928, 370.

13. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკ. I, თბ., 1946, 44—45.

14. ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, „მიმომხილველი“, ტფ., 1926.

15. მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961; რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939; მისივე, Грузинская семейная община, I, Тбилиси, 1960; II, 1961.

16. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, 29—30; ილუსტრაციები იხ. გვ. 44—46.

17. მ. ჩართოლანი, საცხოვრებელი ნაგებობანი მთიულეთში, 274.

18. ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, 40—41; ვ. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, 242—243.

19. ს. მაკალათია, თუშეთი, 119—123.

20. ს. მაკალათია, მთიულეთი, 16—26.

ა. კალდანი

# გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში

საქართველოს მთიანეთში დღემდე შემორჩენილ საცხოვრებელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გალავნიან საცხოვრებელ კომპლექსს. აღნიშნული კომპლექსი ქართველ მთიელთა ყოფისა თუ კულტურის მკვლევართა მეტწილს შეუმჩნევია[1].

მთური საცხოვრებლის შესწავლის პირველ ეტაპზე განსახილველი კომპლექსი გამაგრებული საცხოვრებლის (укрепленное жилище) სახელწოდებით მოიხსენიება. მოგვიანებით, სვანეთის საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციაში იგი მურყვამიან-გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსის სახელითაა ცნობილი[2], ხოლო მთიულეთში — ციხიან-გალავნიანი კომპლექსის სახელით[3].

მთური საცხოვრებლების შემდგომი კვლევით დადგინდა, რომ გალავნიანი კომპლექსები არაერთგვაროვანია თავიანთი შემადგენელი ელემენტებით; ასევე განსხვავდებიან ისინი დაცვითი ფუნქციის ხარისხის მიხედვითაც. საქართველოს მთიანეთში გვხვდება ისეთი გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსები, რომლებიც ერთ ან ორ კოშკს შეიცავენ; არის უკოშკო კომპლექსებიც. რიგ კომპლექსებს შედარებით მარტივი აგებულება გააჩნიათ; ისინი დაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობებისაგან შედგებიან. გვხვდება რთული კომპლექსებიც, რომლებიც რამდენიმე დაცვით, საცხოვრებელ, საკულტო და სამეურნეო ნაგებობებს შეიცავენ. როგორც ვხედავთ, შემადგენელი ელემენტების მიხედვით კომპლექსის მრავალი ვარიანტი არსებობს, რომელთათვისაც ერთ-ერთი საერთო ელემენტია გალავანი. რამდენადაც ასეთი საცხოვრებლების ძირითად და უცილობელ მახასიათებელს გალავანი წარმოადგენს, მას გალავნიან საცხოვრებელ კომპლექსს ვუწოდებთ.

საქართველოს მთიანეთში გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსები სხვადასხვა კუთხეებში რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ამ თავისებურებათა სრულად წარმოჩენისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსები წარმოვადგინოთ ცალკეული კუთხეების მიხედვით.

ნაშრომში საქართველოს მთიანეთში 1969—1982 წწ. მოპოვებულ ავტორისეულ ხუროთმოძღვრულ-ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად გამოყენებულია კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელთა მიერ მთიულეთსა და ხევში შეკრებილი ის მასალაც, რომელიც გამოქვეყნებულია პროფ. ალ. რობაქიძისა და ვ. ითონიშვილის ნაშრომებში.

## სვანეთი

სვანეთის ტერიტორიაზე ავზომეთ და აღვწერეთ რამდენიმე გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი.

1. მესტიის სოფელ ლადამის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ავზომეთ ი. ფალიანის გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი (გეგმები, ჭრილი და ფასადი იხ. სურ. 1, 2, 3, 4). კომპლექსის შემადგენელი ნაგებობანი განლაგებულია სამ სხვადასხვა დონეზე. უკიდურეს დონეებს შორის სიმაღლეთა სხვაობა 4,50 მ. შეადგენს. გალავნის კედლებით შემოზღუდული ტერიტორიის ფართი 1200 $მ^2$-ს აღემატება.

საძირკვლისა და კედლის წყობაში ძირითადად ნატეხი ქვაა გამოყენებული. ქვები ერთმანეთთან კირის ხსნარითაა დაკავშირებული. კედლები კირის ხსნარით ყოფილა შელესილი და შეთეთრებული. როგორც გალავნის, ისე სხვა ნაგებობების კედლები ზოლოვან საძირკველზეა აყვანილი. საძირკვლის სიღრმე 0,50 მ. აღწევს.

სამხრეთის მხარეს გალავნის კედელი რელიეფის მონახაზს იმეორებს. კედლის სისქე მიწის დონეზე 0,95—1,10 მ-ს შეადგენს, ხოლო ზედა ნაწილში კი 50 სმ-ს. გალავნის კედლის სიმაღლე ამ მხარეს შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით 3,50 მ-ია. გადმოცემით კედლის სიმაღლე 6 მ-ს აღწევდა.

გალავნის კედლის დასავლეთის მხარის ნაწილი ჩამოუნგრევიათ და ქვა ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გამოუყენებიათ. ამავე მხარეს სამეურნეო დანიშნულების ორი ფარდულია აგებული.

გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი სოფელში შემავალი გზის მონახაზს იმეორებს. კედლის სიგრძის მეტი ნაწილი ერთდროულად მიწაყრილის საყრდენსაც წარმოადგენს.

გალავნის კედლებში რამდენიმე ნიშია დატოვებული.

კომპლექსში შემავალი მთავარი შესასვლელი გალავნის აღმოსავლეთის კედლის სამხრეთ ნაწილშია დატოვებული. შესასვლელის ორივე მხარეს გარედან ნახევარწრიული ბურჯებია გამოყოფილი. ბურჯები კედლის კონსტრუქციულ შესქელებას წარმოადგენენ და ამავე დროს დეკორის როლსაც ასრულებენ. ბურჯები კედლის სიბრტყიდან 0,85 მ არიან გამოწეული. ბურჯებს შორის გაჭრილია კარი, რომლის წირთხლებთან ნათოხალებია გაკეთებული. კარის ღიობის სიგანე 1,60 მ. აღწევს. კარი ორფრთიანია; ფრთები მუხის ხის ფიცრისაგანაა ნაჯახით გამოთლილი. ფრთების მიხურვის შემდეგ კარი მუხის ხისავე მასიური ურდულით იკეტება. ადრე კარის ერთი ფრთა იღებოდა, მეორეს კი მხოლოდ აუცილებელი საჭიროებისას აღებდნენ.

გალავნის ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში თითო სამეურნეო დანიშნულების კარია (ლ ა ლ ჯ ა ნ ყ ო რ). დატოვებული. ჩრდილოეთის კარიდან საცხოვრებელი სახლის მეკიბში საქონლის საკვები შეჰქონდათ, ხოლო დასავლეთის მხარეს ოჯახის სახნავ-სათესი სავარგულები მდებარეობდა და ამ მხარეს კარი ჭირნახულის კომპლექსში შემოსატანად იყო განკუთვნილი. აქ, კარის წინ, ფასადის მხარეს, პანდუსია მოწყობილი, რათა ხარებმა ადვილად გასწიონ მარხილი. გალავნის სამხრეთის კედლის დასავლეთ ნაწილში გარეთკენ დავიწროებული ღიობია, რომელიც სოფელში შემავალი გზისკენაა გაჭრილი. აქედან შეიძლებოდა თვალთვალი და საჭიროებისას დაცვითი ოპერაციის წარმოებაც.

გალავნიანი კომპლექსის შემადგენელ ნაგებობათა კონსტრუქციული ელემენტები, დეტალები თუ დაგეგმარების თავისებურებანი დიდად არ განსხვავდებიან ანალოგიური ტიპის სვანური ნაგებობისაგან (ისინი აღწერილი გვაქვს თემში კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი) და ამდენად მათს დეტალურ აღ-

წერას აქ აღარ შევუდგებით; ყურადღებას გავამახვილებთ ნაგებობათა კომპოზიციურ განლაგებაზე.

გალავნიანი კომპლექსის გეგმარებაში ცენტრალური ადგილი საბრძოლო კოშკს უკავია. კოშკი ხუთსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. მისი პირველი სართულის ფართი 7,60 მ² შეადგენს. ეს სათავსი ზედა სართულთან არაა დაკავშირებული. მას სამი კარი გააჩნია. მეორე სართულის ფართია 8,40 მ². ეს სათავსი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულთან, მაყიბთანაა დაკავშირებული კარით. სათავსს სარკმელი არ გააჩნია. კოშკის მესამე სართულის ფართია 8,50 მ², მეოთხისა კი 10,50 მ². სათავსების სამხრეთის მხარეს კედლებზე თითო სარკმელია გაკეთებული. მეხუთე სართულის ფართი 14 მ²-ს შეადგენს. მას საბრძოლო შდურებიანი პარაპეტი აგვირგვინებს. ყოველ მხარეს სამ-სამი თაღოვანი შდური გასცქერის. შდურებიანი პარაპეტი მზიდი კედლებიდან 20—25 სმ-ითაა გადმოცილებული კონსოლისებურად. შდურების თაღებქვეშა სიგანე 75 სმ. შეადგენს. შდურებქვეშ ადრე დიდი ზომის საბრძოლო ღიობები ყოფილა, მაგრამ ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ მათი ნაწილი ქვის წყობით დაუხურავთ, ხოლო ზოგან ფიქალის ქვის ფილა მიუფარებიათ, რომელშიც ხვრელი გაუკეთებიათ შიგ თოფის გასაყოფად.

კოშკის სამხრეთის კედელთან მიდგმულია საზაფხულო სადგომი (გ უ ბ ა ნ დ ბ. ზ. — ს ე ა ნ ი რ ბ. ქ.), რომელიც ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. მისი პირველი სართულის სათავსი ქვის ტიხარით ორადაა გაყოფილი. ერთი ნაწილი სარდაფის (გ ვ ე მ) მოვალეობას ასრულებდა. მისი ფართია 17 მ². მეორე ნაწილი საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსოში შესასვლელ საშუალედო დერეფანს წარმოადგენდა. მისი ფართი 12 მ² აღწევს. გუბანდის მეორე სართულის სათავსი მთლიანი მოცულობისაა, ფართით 34 მ². წლის სხვადასხვა დროს მას სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ. ზამთრობით აქ პირნახულს ინახავდნენ, ზაფხულობით კი ოჯახი ცხოვრობდა. გუბანდის პირველი და მეორე სართულების სათავსები ასასვლელითაა დაკავშირებული, რომელსაც ხის გადასაადგილებელი კიბე ჰქონია მიდგმული.

კოშკისა და გუბანდის აღმოსავლეთ კედელთან ორსართულიანი საცხოვრებელი სახლია (ქ ო რ) ამართული, რომლის მაჩვიბი დაკავშირებულია კოშკსა და გუბანდთან. მაჩვიბის ფართი 86 მ² შეადგენს. მისი საქონლის სადგომის ტიხარი მრავალრიცხოვანი გეომეტრიული ორნამენტებითაა მორთული. მეორე სართულის — მაყიბის ფართია 93 მ². მაყიბი კოშკის მეორე სართულის სათავსთანაა დაკავშირებული კარით.

გალავნიანი კომპლექსის ჩრდილოეთ ნაწილში ძველი საცხოვრებელი სახლის ნანგრევია შემორჩენილი. მისი მაჩვიბის ფართი 75 მ² ყოფილა. ეს სახლი კომპლექსის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ნაგებობა უნდა იყოს.

კოშკის ჩრდილოეთის კედელთან ორსართულიანი ნაგებობის ნაშთია შემორჩენილი. გადმოცემით ეს ნაგებობაც გ უ ბ ა ნ დ ი ყოფილა. კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კალოა გამართული. კალოს ქვეშ მრავალსადგომიანი სარდაფია მოწყობილი (გეგმაზე სარდაფი პუნქტირითაა აღნიშნული). სარდაფის საერთო ფართი შეადგენს 60 მ². სადგომები ერთმანეთისაგან ქვის კედლებითაა გამოყოფილი და ქვის ორქანობიანი წყობითაა გადახურული კარის შემკრავზე.

რამდენიმე ათეული წლის წინ კომპლექსში ახალი ტიპის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი აუგიათ, მაგრამ ის მალე ჩამონგრეულა.

ამჟამად ოჯახი კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში გამავალი გზის მეორე მხარეს აგებულ თანამედროვე ტიპის ორსართულიან საცხოვრებელ სახლში ცხოვრობს, ხოლო აღწერილი კომპლექსი სამეურნეო მიზნებს ემსახურება.

ი. ფალიანის კომპლექსის ცალკეულ ნაგებობათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადრე ოჯახი ძველ სახლში ცხოვრობდა. ეკონომიურად მოღონიერების შემდეგ ოჯახი აგებს კოშკს და მის ჩრდილოეთის კედელთან მდებარე გუბანდს, რომელიც სახლსა და კოშკს ერთმანეთთან აკავშირებდა. ოჯახის შემდგომი ეკონომიკური გაძლიერება იწვევს იმას, რომ საჭიროა კიდევ დამატებითი ფართი საქონლისა თუ ჭირნახულის დასატევად. ოჯახი აგებს მეორე სახლს და გუბანდს, ამასთან საკარმიდამოს ზღუდავს გალავნის მაღალი კედლებით. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, გახშირებულა ტყვეთა მოპოვების პრაქტიკა მასში სახსრის აღების ან მისი ფამლად (მსახური) აყვანის მიზნით. ტყვეების დასამწყვდევად მშენებელი გალავნის კედლების შიგნით სარდაფის ფართს ზრდის.

2. ლატალის სოფ. ენაშში აეზომეთ ბ. ფარჯიანის გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი. გალავნის კედლებით შემოზღუდული ტერიტორიის ფართი 864 $მ^2$ შეადგენს.

რელიეფი, რომელზეც კომპლექსის შემადგენელი ნაგებობებია განლაგებული, ვაკეა. კომპლექსს დასავლეთის მხრიდან წყალი ჩაუდის, რომელიც ადრე გალავნის შიგნით ყოფილა შეყვანილი. კომპლექსის სამხრეთის კედლის წინ ზემო სვანეთის მთავარი საკომუნიკაციო გზა გადის (ნაგებობის გეგმები და ჭრილი იხ. სურ. 5, 8).

გალავნის საძირკველი ზოლოვანია. კედლის წყობაში ნატეხი ქვაა გამოყენებული. ქვები ერთმანეთთან კირის ხსნარითაა დაკავშირებული. გალავნის კედლის სისქე შემორჩენილი ნაშთების მიხედვით 70 სმ-ია. კედლის სიმაღლე გადმოცემით 4 მეტრზე მეტი ყოფილა.

კომპლექსის ცენტრალურ ნაგებობას ოთხსართულიანი კოშკი წარმოადგენს. გალავნიანი კომპლექსის მთავარი შესასვლელი კოშკის პირველი სართულის სამხრეთის კედელშია გაკეთებული. ეს სათავსი გარედან შიდა ეზოში შესასვლელ საშუალედო დერეფანს წარმოადგენდა. კარის სიგანე 2,52 მ-ია, სიმაღლე 1,80 მ. იგი ორფრთიანია (კარის აქსონომეტრიული ჭრილი იხ. სურ. 7). ციფრებით აღნიშნულია: I. კარის ფრთა, II — ზედა ქუსლი, III — ქვედა ქუსლი, IV — ურდული, V — ქვედა საქუსლე ხვრელი, VI — ზღურბლი, VII — ნათოხალები, VIII — შუბლი, IX — ნიში). გალავნის აღმოსავლეთის კედელში სამეურნეო დანიშნულების კარი ყოფილა. კოშკის პირველი სართულის ფართია 13 $მ^2$. მისი დანიშნულება კომპლექსის თავდაცვისუნარიანობის გაზრდა ყოფილა. როგორც აღინიშნა სათავსის სამხრეთის კედელში მთავარი ალაყაფის კარია. კარის საპირდაპირო კედელზე სათოფური ხვრელებია დატოვებული. თუ მტერი კარს შეანგრევდა, დამცველები, რომლებიც კოშკის ჩრდილოეთის კედელზე მიდგმული ნაგებობის პირველი სართულის სათავსში იყვნენ განლაგებული, ზემოხსენებული სათოფური ხვრელებიდან ცეცხლს გაუხსნიდნენ ალაყაფის კარში შემსვლელებს. ამრიგად, ალაყაფის კარი დაცული იყო იმ შემთხვევაშიც, თუ მომხვდური შეძლებდა მის შენგრევას.

კოშკის მეორე სართულის ფართია 14 $მ^2$. ეს სათავსი ჩრდილოეთის კედელში დატოვებული კარით დაკავშირებული იყო კოშკის ჩრდილოეთ მხარეს აგებული ნაგებობების მეორე სართულთან. მას შემდეგ, რაც თავდასხმე-

ბის საფრთხე შემცირდა, კოშკის მეორე სართულის სამხრეთის კედელში კარი გაჭრეს, მის წინ აივანი მოაწყვეს და ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის აივანს დაუკავშირეს.

კოშკის პირველი და მეორე სართულები ერთმანეთს უშუალოდ არ უკავშირდებიან.

კოშკის მესამე სართულის ფართია 14,30 მ². სათავსის ჩრდილოეთის კედელში სარკმელია. ეს სათავსი დაკავშირებულია მეორე სართულთან. აქ შიშიანობისას ოჯახის წევრები იხიზნებოდნენ.

კოშკის საბრძოლო სართულის ფართი 15 მ² შეადგენს. საბრძოლო სართულს თაღოვან-შდურებიანი პარაპეტი აგვირგვინებს. პარაპეტის ოთხ კედელზე თორმეტი შდურია. ძალზე მცირე ზომის სათვალთვალო ხვრელები მხოლოდ შუა შდურების თაღებქვეშ გვაქვს. ეს ფაქტი იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ კოშკის მშენებლობის დროს ცეცხლსასროლი იარაღი სრულყოფამდე იყო მიყვანილი და დიდი ზომის ღიობები დამცველთათვის სახიფათო იყო. პარპეტის კედლებზე სათოფური ხვრელების ორი რიგია მოწყობილი: პირველი რიგი იატაკის დონიდან 22 სმ-ითაა დაცილებული, მეორე კი 1,10 მ-ით.

საბრძოლო პარაპეტის სამხრეთისა და დასავლეთის კედლებზე თითო ვერტიკალური სათოფური ხვრელია მოწყობილი (იხ. სურ 6). სამხრეთის კედელზე იგი ალაყაფის კარს იცავდა. აქედან იგერიებდნენ უშუალოდ კართან მოსულ მტერს ცეცხლსასროლი იარაღით. დასავლეთის კედელში დატოვებული სათოფური ამ მხარის შედარებით ნაკლები სისქის კედლების დაცვისათვის გამოიყენებოდა.

კოშკის ჩრდილოეთის კედელზე მიდგმულია სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა. მისი პირველი სართულის სათავსი ფართით 35 მ² სანაკელეს (ლ ა ჰ უ ნ წ ა ლ შ) წარმოადგენდა. ნაგებობის მეორე სართულის სათავსი 36 მ² ფართით ჭირნახულის შესანახად გამოიყენებოდა. ამ სათავსში დღემდეა შემორჩენილი გეომეტრიული ორნამენტებით მოხატული რამდენიმე კიდობანი.

კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნაგებობა, საცხოვრებელი სახლია ამართული. მისი პირველი სართულის სათავსის (ქ ო რ) ფართი შემორჩენილი ნაშთების მიხედვით 115 მ² ყოფილა. მეორე სართულს (დ ა რ ბ ა ზ) სავარაუდო ფართი 121 მ² შეადგენს. სახლის აღმოსავლეთის კედელთან მიდგმული ნაგებობის პირველი სართულის სათავსი შიდა ეზოდან სახლში შესასვლელი დერეფნის დანიშნულებას ასრულებდა, მეორე სართულისა კი სამეურნეო-საოჯახო ნივთების შესანახად გამოიყენებოდა.

ახალი საცხოვრებელი სახლი ამართულია კოშკის აღმოსავლეთის კედელთან. მისი პირველი და მეორე სართულის სათავსებს აქ ლ ა რ დ ო ლ-ს უწოდებენ. პირველი სართული ფართით 40 მ². გამოყენებულია ადამიანების სამყოფად დღისით, სამზარეულოდ და სასადილოდ; მეორე სართულის — საძინებლის — ფართია 57 მ².

გალავნის სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების გასწვრივ ეზოს მხარეს გადახურული სამეურნეო ფარდულები იყო მოწყობილი.

აღწერილი კომპლექსის გარეგანი ფორმების სრული წარმოდგენა ძნელია, რადგანაც დაუზიანებლად მხოლოდ კოშკია შემორჩენილი. მისი შედარებით მცირე სიმაღლე (14,50 მ.) გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კომპლექსი ვაკე ადგილზეა აგებული. ირგვლივ მაღლობი ან ბორცვი არაა, საიდანაც

შესაძლებელი იქნებოდა კოშკში მყოფთა ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანება და ამდენად, მაღალი კოშკის აგებისათვის აუცილებელი ობიექტური პირობა არ არსებულა.

ძველი საცხოვრებელი სახლის კედლები შელესილია. ამ კედლების დიდი სიგანე (1,05 მ.) და სათავსების დიდი მოცულობა აშკარად მეტყველებს მის არქაულობაზე. კომპლექსის ერთ-ერთი პირველი ნაგებობა სწორედ ეს სახლი იყო მის აღმოსავლეთით აგებული დერეფნითა და გუბანდით.

3. ლატალის სოფ. გიგბაშში ავზომეთ ჩარკვიანების გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი. კომპლექსი აგებულია სოფლის განაპირას, სამხრეთ-აღმოსავლეთით და მიმდებარე ფერდობებზე გაბატონებული მდგომარეობა უკავია. გალავნით შემოზღუდული ტერიტორიის ფართობი 1000 მ² აღემატება (გეგმა, ჭრილი და ფასადები იხ. სურ. 9, 10, 11, 13).

როგორც გალავნის, ისე ნაგებობათა კედლების წყობაში ნატეხი ქვაა გამოყენებული. ქვები ერთმანეთთან კირის ხსნარითაა დაკავშირებული. კედლები შელესილი და შეღებილი იყო.

გალავნის კედლის სისქე მიწის დონეზე 0,80—1 მ. აღწევს. გალავნის სამხრეთი კედლის გასწვრივ ტყვეთა დასამწყვდევი საკნებია მოწყობილი. მათი საერთო ფართი 75 მ² აღწევს.

გალავნიან კომპლექსში შემავალი მთავარი ალაყაფის კარი, რომლის სიგანე 1,40 მ შეადგენს, სამხრეთის კედელთან გამოყოფილ ჯიხურშია გაჭრილი. კარის ზღურბლამდე გალავნის სამხრეთის კედლის გასწვრივ საფასადო მხარეს პანდუსია მოწყობილი. ჯიხურის ერთადერთი დანიშნულებაა ალაყაფის კარის დაცვის გაძლიერება. ჯიხურის აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში თითო სათოფურია გაჭრილი. საფრთხის დროს ამ სათოფურებთან განლაგებული დამცველები ცეცხლს უხსნიდნენ მომხვდურებს. ჯიხური ადრე გადახურული ყოფილა. კარის შედარებით მცირე სიგანე იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მას სამეურნეო (სატრანსპორტო) დანიშნულება არ ჰქონია.

კომპლექსში შესასვლელად კიდევ ორი კარია — ერთი ჩრდილოეთის და მეორე დასავლეთის მხარეს. ამ შესასვლელიდან მხოლოდ ქვემოთა ნაწილებია შემორჩენილი.

ჩარკვიანების კომპლექსის თითქმის ყველა ნაგებობა ერთდროულადაა აგებული. კომპლექსის ცენტრალურ ნაწილს ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ოთხსართულიანი გუბანდი და საბრძოლო კოშკი წარმოადგენს. გუბანდის პირველი სართული საცხოვრებელი სახლის პირველი სართულისათვის დერეფნის ფუნქციას ასრულებდა. საცხოვრებელი სახლის პირველი სართული მეორესთან საძრომით იყო დაკავშირებული. სახლისა და გუბანდის მეორე სართულები ერთმანეთს შეკიდული აივნით უკავშირდებოდა. გუბანდის მეოთხე სართული, რომელიც კოშკის პირველი სართულის დონეს უსწორდებოდა, კოშკის პირველ სართულთან იყო დაკავშირებული კარით.

კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან აგებული ორსართულიანი სახლის პირველი სართული შინამოსამსახურეთა (ქ ო რ ს-მ ე რ დ ე) სამყოფად გამოიყენებოდა, მეორე კი საქონლის საკვების შესანახად.

კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში კიდევ ერთი ორსართულიანი ნაგებობაა. მის პირველ სართულს (პ ა ლ ე ტ) სამზარეულოს, სასადილოსა და სარდაფის დანიშნულება ჰქონდა, ხოლო მეორე სართული (ქ ი ბ ე

ლ ა რ დ ი ლ) ახლადშეუღლებულთა სამყოფს წარმოადგენდა. ალყის დროს ამ სათავსის კედლებში დატოვებული სათოფურებიდანაც აწარმოებდნენ თავდაცვით ოპერაციებს.

ლატალში დაფიქსირებული გადმოცემებით, თანასოფლელებს ჩარკვიანებთან უთანხმოება ჰქონიათ და გარკვეულ პერიოდში მათთვის წყალი მოუწყვეტიათ. ჩარკვიანებს გამოუყენებიათ ბუნებრივი გვირაბი კომპლექსიდან მდ. ენგურამდე (მანძილი დაახლოებით 2 კმ.) გვირაბის გვერდები გაუმაგრებიათ რიყის ქვით და ენგურიდან აჰქონდათ სასმელი წყალი (გვირაბის განივკვეთი იხ. სურ. 12).

4. მულახის სოფ. ჟამუშში აღწერილია ბ. ქალდანის გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის საერთო ფართობი 2000 მ² აღემატება. კომპლექსი ამართულია სოფლის სამხრეთ განაპირას და მიმდებარე ტერიტორიაზე გაბატონებული მდგომარეობა უკავია (ხედი, ჭრილი, გეგმები და ჭრილი იხ. სურ. 14, 15, 16, 17, 18).

კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ორსართულიანი გუბანდი, ორსართულიანი სამეურნეო ნაგებობა და ხუთსართულიანი კოშკია განლაგებული.

გალავნის ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ ეზოში სამეურნეო ფარდულებია გამართული.

გალავნის კედლებში სამი შესასვლელია გაკეთებული.

ქალდანების კომპლექსი საინტერესოა იმით, რომ მის ცენტრალურ ნაწილში ეკლესიაა აგებული, რომელიც X საუკუნით თარიღდება.

კომპლექსიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ მდებარე ქალდანებისავე მეორე საცხოვრებელ კომპლექსამდე მიწისქვეშა გვირაბია გაყვანილი. მისი სიგრძე 200 მ. აღემატება.

5. ეცერის სოფელ ბარშში ავზომეთ დადეშქელიანების გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი. მისი საერთო ფართიბია 1400 მ². ბარშის დადეშქელიანებისეული კომპლექსი ამართულია სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მისგან განკერძოებით შემაღლებულ ადგილზე. სამხრეთით მდებარე სოფლებში დადეშქელიანების მოსისხლე მტრები, რიჩგვიანები, ცხოვრობდნენ და სოფლის მოსახლეობა ვალდებული იყო კონტროლი გაეწია ამ მხარიდან მომავალი გზებისათვის. ამაზე აშკარად მიუთითებს სოფლის თავდაცვითი ნაგებობების განლაგების სქემა[4]. თავის მხრივ დადეშქელიანები თანასოფლელთაგანაც მოელოდნენ თავდასხმას და ამიტომ შეარჩიეს სამოსახლოდ სოფლისაგან განცალკევებული, შემაღლებული ადგილი, რაც მათ სტრატეგიულად ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. ამავე მიზნით გალავნიანი კომპლექსის მრავალრიცხოვან სათოფურებს მიზანში ჰყავდა ამოღებული სოფლის თითქმის ყველა საცხოვრებელი, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელთა არც ერთი სათოფური მისკენ არ იყო მიმართული. დადეშქელიანების გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი მნიშვნელოვნად განსხვავდება რიგითი სვანის საცხოვრებლისაგან, რაც კარგად შენიშნა ჯერ კიდევ პ. უვაროვამ, რომელსაც კომპლექსმა შუა საუკუნეების, ფეოდალური ციხეები მოაგონა[5]. მ. მჭედლიძის ჩანაწერის მიხედვით კი დადეშქელიანების მდგომარეობა ძველებური მეფის ან მებატონის მდგომარეობას შეესაბამებოდა; დადეშქელიანების საცხოვრებელი ზღუდეებით იყო შემოფარგლული. მთავარი კარი რკი-

ნის ფრთებიანი ყოფილა, რომლის გასაღები ფეოდალის ერთგულ ყმას ებარა[6].

ამჟამად კომპლექსი სავალალო მდგომარეობაშია. შემორჩენილი კოშკი და ნანგრევები მისი ზოგადი კონტურების მოხაზვის საშუალებასღა იძლევიან.

გადმოცემებისა და მოგზაურთა მიერ დატოვებული აღწერილობების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება კომპლექსის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა (გეგმები, ფასადები, ჭრილები, დეტალები და კომპლექსის აღდგენილი აქსონომეტრიული ჩანახაზი იხ. სურ. 19, 20, 21, 22, 23. 25, 26, 27).

გალავნისა და ნაგებობების კედლების წყობაში ძირითადად ნატეხი ქვაა გამოყენებული. ქვები კირის ხსნარითაა დაკავშირებული. კედლები შელესილია და შეღებილი.

სამხრეთის მხარის გალავნის კედლის სიგრძე დაახლოებით 26,50 მ შეადგენს. კედლის ზედა ნაწილი ჩამოქცეულია. კედლის სისქე ქვედა ნაწილში 1 მ აღემატება, ზემოთ კი 65 სმ-ია. ამ კედლის სიმაღლე 4,55 მ-ია. გადმოცემით ძველად ის უფრო მაღალი ყოფილა.

სამხრეთის კედლის დასავლეთ ნაწილში ორი სათოფურია. ამავე მხარეს, მიწის დონეზე კედელში გაკეთებულია წყლის გასატარებელი ხვრელი.

კომპლექსის დასავლეთის კედლის სიგრძე 45 მ-ია, კედლის სისქე ქვედა ნაწილში 85 სმ-ია, ზემოთ კი —60 სმ. კედლის სამხრეთის ნაწილში კარია გაკეთებული. მისი სიგანეა 2,08 მ., სიმაღლე —2,15 მ. მას ნახევარწრიული თაღი აგვირგვინებს. გადმოცემით კარი ორფრთიანი ყოფილა. თავდაპირველად მას ხის ფრთები ჰქონია, რომლებიც მოგვიანებით რკინის ფურცლისაგან გამოჭრილი ფრთებით შეუცვლიათ. ფრთების მიხურვის შემდეგ კარი ურდულით იკეტებოდა.

კომპლექსის დასავლეთის კედლის სხვადასხვა დონეებზე რამდენიმე სარკმელია. კედლის მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლეა 5,60 მ. ამ მხარეს მრავალი სათოფური ხვრელი ყოფილა განლაგებული რამდენიმე იარუსად[7].

კომპლექსის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარის გალავნის კედლები ძალზეა დაზიანებული და მათზე რაიმეს თქმა ძნელია.

შიდა ეზოს ირგვლივ საცხოვრებელი, სამეურნეო და დაცვითი დანიშნულების ნაგებობებია განლაგებული. მათ შორის ყველაზე ადრინდელად კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში მდებარე სვანური ორსართულიანი სახლი ჩანს. ნაგებობა დიდი გაბარიტებით გამოირჩევა. შემორჩენილი საძირკვლის ნაშთების მიხედვით. მისი პირველი სართულის ფართი 164 მ² შეადგენს. სახლი გასული საუკუნის დასასრულამდე მთელი მდგარა და მისი განსაკუთრებული ზომები აქ ნამყოფ მ. მჭედლიძესა[8] და პ. უვაროვასაც[9] შეუმჩნევიათ.

გადმოცემით ამ სახლის პირველი სართულის ნაწილი საქონლის სადგომად გამოიყენებოდა, ნაწილი — შინამოსამსახურეების სამყოფად. მეორე სართულზე მუშახელი მდგარა. სათვალში რამდენიმე კერა ყოფილა გამართული.

აღწერილი სახლის სამხრეთის კედელზე მიდგმული იყო ორსართულიანი სახლი, რომლის პირველი სართული საქონლის სადგომს წარმოადგენდა, მეორეზე კი მუშახელი იმყოფებოდა.

ალაყაფის კარის თავზე ჯიხური იყო გაკეთებული, საიდანაც კარის დაცვას აწარმოებდნენ.

კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შედარებით მცირე გაბარიტების ორსართულიანი ნაგებობა მდგარა, რომლის პირველი სართული აგრეთვე

საქონლის სადგომად გამოიყენებოდა, ხოლო მეორე თავდაცვისა და სამეურნეო ფუნქციებს ასრულებდა.

კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ორი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა მდგარა.

კომპლექსის შედარებით შემაღლებულ ადგილზე ხუთსართულიანი კოშკია აგებული. ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის ეცერში მხოლოდ ეს კოშკი მდგარა დაუნგრევლად[10]. საძირკველთან კოშკის ზომები 6,60×6,55 მ შეადგენს. პირველი სართული მიწის დონიდან 8,40 მ სიმაღლეზეა. ამ სართულის ფართია 13,24 $მ^2$, ბოლოსი — 22 $მ^2$.

კოშკის სამხრეთის ფასადზე ერთ ვერტიკალზეა განლაგებული კარი და სამი სარკმელი. კარის ზღურბლიდან ქვემოთ 35 სმ-ს დაცილებით კედელში ორი ხის კონსოლის ნაწილია შემორჩენილი, რომლებსაც კოშკში გადასასვლელი აივანი ეყრდნობოდა.

კოშკზე ჩრდილოეთის მხარეს ორსართულიანი ნაგებობა ყოფილა მიდგმული, რომელიც სამეურნეო მიზნებს ემსახურებოდა. აქ მარცვლეულის შესანახი უზარმაზარი კიდობნები მდგარა[11]. მათ ხის კიბეები ჰქონდათ მიდგმული. ნაგებობის ნაწილი მარანს ეკავა, სადაც არაყი ინახებოდა[12].

კოშკზე აღმოსავლეთის მხრიდანაც ორსართულიანი შენობაა მიდგმული, რომლებიც დადეშქელიანების საცხოვრებელს წარმოადგენდა. მისი მეორე სართული კოშკის კარს უკავშირდებოდა შეკიდული აივნით.

გალავნიანი კომპლექსის სამხრეთის კედლის ცენტრთან საქონლის პატივის მოსაგროვებელი ორმოს (ჰ ა ნ წ ვ ე მ შ ე დ) ნაკვალევი ჩანს.

კომპლექსის აღმოსავლეთის კედელთან მდ. კედლერა ჩადის. აქ აშენებულ წისქვილთან კომპლექსი დაკავშირებული იყო გალავნის სამხრეთის კედელში გაკეთებული კარით.

ადრე სამეურნეო და სასმელი წყალი გალავნის შიგნით ყოფილა შეყვანილი.

აღწერილობიდან ჩანს, რომ კომპლექსი შეძლებული ოჯახის საცხოვრებლად იყო გათვალისწინებული, რომელსაც მრავალრიცხოვანი მუშა-მოსამსახურე ჰყავდა და ქონებრივად ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა სვანეთში.

დადეშქელიანებისეული ბარშის გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი დიდი ხნოვანებისა არ უნდა იყოს. დადეშქელიანთა გვარის მაღალ ფეოდალურ წოდებაში ფეხის მოკიდება გვიანფეოდალურ ეპოქაში მომხდარი ფაქტი ჩანს. ხალხური გადმოცემები მიუთითებენ, რომ დადეშქელიანებზე ადრე ზემო სვანეთში დაწინაურებული იყვნენ ყიფიანები, ჩარკვიანები, გელოვანები და სხვა. ბალს ქვემოთ განსაკუთრებით მძლავრობდნენ რიჩგვიანები, რომლებიც მოხსენებულია XIII ს. სვანურ ხელნაწერში[13]. იმავე ხელნაწერში დადეშქელიანები არ ჩანან.

XV ს. ბოლოს შედგენილი წიგნი ბალს ზემო სვანეთისა და ჯაფარიძეთა შორის სასისხლო საქმეზე რიჩგვიანებსა და დადეშქელიანებს ერთად მოიხსენიებს[14]; ამასთან ისინი ამ დროს თანასწორი ძალაუფლების მქონენი ჩანან. რიჩგვიანების საბოლოო განადგურება XVI ს-ში უნდა მომხდარიყო, რის შემდეგ მათ მიწა-წყალს დადეშქელიანები დაეპატრონენ.

ცხადია, რიჩგვიანებსა და დადეშქელიანებს შორის პირველობისათვის ბრძოლაში წარმატებას ის გვარი მიაღწევდა, რომელსაც თავდაცვის უკეთესი საშუალებანი გააჩნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დადეშქელიანების კომპლექსი უკვე XVI ს. დასაწყისში აიგო ადრე არსებული ნაგებობების ბაზაზე, რო-

მელთაგან, როგორც ჩანს, დღემდე მოაღწია მხოლოდ დიდი ზომის სვანური საცხოვრებელი სახლის ნანგრევებმა. ამ სახლის ზომები დადეშქელიანების საცხოვრებელს იმთავითვე განასხვავებდა რიგითი მოსახლის საცხოვრებლისაგან.

სვანეთში გალავნიან საცხოვრებლებზე შეკრებილი მასალა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

ა) გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსის შექმნა ხალხური ხუროთმოძღვრების ევოლუციის გვიანდელი საფეხურია. ოჯახი და მშენებელი საცხოვრებელს ახალ მოთხოვნილებებს უყენებენ და ახლებურად სწყვეტენ მას, თუმცა ეს სიახლე იქმნება ძველთაგან მომდინარე ტრადიციების გადამუშავების გზით.

ბ) გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსის შექმნა განაპირობა ოჯახში სიმდიდრის დაგროვებამ. სვანეთში ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთ წყაროს მესაქონლეობა წარმოადგენდა. საქონლის რაოდენობის ზრდა იწვევდა მისთვის დამატებითი სადგომისა და საკვები მარაგის შესანახი ადგილის შექმნის ობიექტურ აუცილებლობას. ოჯახი იძულებული იყო აეშენებინა რამდენიმე ნაგებობა, რომელთა დასაცავად დამატებითი ღონისძიებები იყო საჭირო. მსახურის (ფ ა მ ლ ი), შინამოსამსახურისა (ქ ო რ ს მ ე რ დ ე) და მოჯამაგირის (ლ ი დ ი ა ნ ე) რიცხვის ზრდა მათთვისაც მოითხოვდა დამატებით საცხოვრებელ ფართს. ტყვის მოპოვების პრაქტიკის ზრდის შედეგად კოშკის კედელში მოქცეული მცირე ზომის დილეგი აღარ იყო საკმარისი და ოჯახი აგებდა მიწისქვეშა დილეგების მთელ სისტემას. დამატებითი მიწისქვეშა სარდაფი იყო საჭირო თოფის წამლის შემადგენელი ძირითადი კომპონენტის გვარჯილას მოსაპოვებლად[15].

ამრიგად, იქმნებოდა სამეურნეო და საცხოვრებელ ნაგებობათა რთული კომპლექსი, რომლის დაცვას ერთი კოშკი ვეღარ სწვდებოდა. საჭირო იყო გაზრდილი საკარმიდამოს დაცვის თვისობრივად გაუმჯობესება და მშენებელი მას ქვითკირის მაღალი კედლებით ზღუდავდა.

გ) გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი დაცვითი ფუნქციის მიხედვით საკმაოდ განსხვავდება სხვა მთური ტიპის საცხოვრებლისაგან: ოჯახის წევრთა სიცოცხლე და ქონება ორმაგი დაცვითაა უზრუნველყოფილი. თავდაცვა ჯერ გალავნის კედლებიდან წარმოებდა. თუ მტერი შეძლებდა გალავნის შიგნით შეჭრას, დამცველები კოშკიდან აგრძელებდნენ თავდაცვით ოპერაციებს. გარდა აღნიშნულისა, გალავნის კედლების შიგნით შესაძლებელი იყო სამეურნეო სამუშაოების შესრულება ხანგრძლივი ალყის პირობებში. გალავნის კედლების შიგნით თიხის მილებით შეყვანილი წყალი დამცველებს უზრუნველყოფდა სასმელი და სამეურნეო წყლით.

ამრიგად, გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი ოჯახის ინდივიდუალური თავდაცვის გაუმჯობესებულ საშუალებას წარმოადგენდა.

დ) შემჩნეულია, რომ გალავნიანი საცხოვრებლები სოფლისაგან განკერძოებითაა აგებული და მათი მფლობელები უპირისპირდებიან თანასოფლელთ. ამის ნათელი მაგალითია ჩარკვიანების კომპლექსი სოფ. გიგბაშში. გადმოცემით ამ კომპლექსის შემადგენელი ყველა ნაგებობა ერთდროულად შენდებოდა და ამასთან ჩარკვიანებს მშენებლობის პროცესში ურთიერთდახმარების ადრინდელი კოლექტიური ფორმა თანასოფლელთა მიმართ იძულებით სავალდებულო ღონისძიებად უქცევიათ.

რიგი გადმოცემებისა მოგვითხრობს, რომ ეკონომიკურად დაწინაურებული ოჯახები ცდილობდნენ სოფელზე, ხევზე გაბატონებას და ამ მიზნით იყენებდნენ საცხოვრებელ კომპლექსებსაც. ხევი და სოფელი ვერ ურიგდებოდა ამას და ხშირად გაერთიანებული ძალით ესხმოდა თავს გაბატონების მოსურნე ოჯახს, ან ოჯახს, რომელმაც გარკვეულ პრეროგატივას მიაღწია თანასოფლელთა მიმართ. ასეთი შეჯახებანი, არც თუ იშვიათად, აღზევებული ოჯახების ამოწყვეტით მთავრდებოდა. ამის მაგალითებია ჩარკვიანების აღწერილი ნასახლარი ლატალში, გელოვანების ნასახლარი კალაში, ყიფიანების ნასახლარი და სხვა.

ე) გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსები მეტწილად დაწინაურებულ გვარებთანაა დაკავშირებული. ეს გვარებია: რიჩგვიანი, დადეშქელიანი, ჩარკვიანი, გელოვანი, ყიფიანი, იოსელიანი და სხვა.

## ხევსურეთი

ხევსურეთში გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი ქვა-ციხის[16] სახელწოდებითაა ცნობილი. ქვემოთ მოგვყავს ხევსურეთში აზომილი კომპლექსების აღწერილობანი.

1. „აპულეთაურთ" გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი ავზომეთ კისტნისა და ჯვარის კარის წყლების გამყოფ ქედზე. მისი საერთო ფართი 65 $м^2$ აღწევს (გეგმა, კოშკის გეგმები და ჭრილი, ფასადი იხ. სურ. 30, 31, 32, 33).

კომპლექსი შემაღლებულ ადგილზეა აგებული და გაბატონებული მდგომარეობა უკავია როგორც სოფლების ჰეჰეთის, ჯვარის კარისა და კისტნის, ასევე ხევსურეთის მთავარი საგზაო კომუნიკაციის მიმართ.

კომპლექსი შედგება ხუთსართულიანი კოშკის, სამსართულიანი ციხე-სახლისა და მათ შორის მოქცეული შიდა ეზოსაგან, რომელიც გალავნის კედლებითაა შემოზღუდული. გალავნის კედლები აერთიანებდა კოშკისა და ციხე-სახლის ორ მომიჯნავე კედელს. საკუთრივ გალავნის კედლებიდან ერთი საძირკვლამდეა დანგრეული, ხოლო მეორეს რეკონსტრუქცია განუცდია და პირვანდელი სახით აღარ მოუღწევია ჩვენამდე.

კედლის წყობაში გამოყენებულია ნატეხი ქვა. შემკრავ მასალად კირის ხსნარია ნახმარი. გალავნის კედლების სისქე შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით 57 სმ შეადგენს.

გალავნის შემორჩენილი ჩრდილო-დასავლეთის კედლის სიმაღლე 2,80 მ. აღწევს. გადმოცემით კედელი ადრე ბევრად უფრო მაღალი იყო.

შიდა ეზოში შესასვლელი კარი ჩრდილო-დასავლეთის კედლის ცენტრშია დატოვებული. კარს ნათოხალები და საურდულე ხვრელები გააჩნია. კარის ფრთა დღემდე არ შემონახულა. კარის ზღურბლი მიწის დონიდან 23 სმ-ითაა აწეული. კარის სიმაღლე 1,30 მ შეადგენს. კარი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული.

კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელთან შიდა ეზოს მხარეს ქვის კიბე ყოფილა მოწყობილი, რომლისგანაც მხოლოდ ზედა ბაქანია შემორჩენილი. კოშკს შესასვლელი მესამე სართულზე აქვს გაჭრილი. ეს სართული მეორე და პირველ სართულებთან ოთხკუთხა საძრომებითაა დაკავშირებული.

კოშკის პირველი სართულის ფართი 5 მ² უდრის. მას სარკმლები და სათოფურები არ გააჩნია, იგი დილეგად ყოფილა წარსულში გამოყენებული.

მეორე სართულის ფართი 4,95 მ²-ია. ამ სართულზე ერთი სარკმელი და ორი სათოფურია მოწყობილი.

მესამე სართულის ფართი 4,90 მ² უდრის. ამ სართულს კარი, სარკმელი და ორი სათოფური ხვრელი გააჩნია. კარი ერთფრთიანია. მისი სიმაღლე 1.20 მ-ია, სიგანე კი 50 სმ. კარი და სარკმლები ნახევარწრიული თაღებითაა გადახურული.

მეოთხე სართულის ფართი 4,50 მ² შეადგენს. ამ სართულის ყოველ კედელზე თითო სათოფური ხვრელია.

კოშკის დამაგვირგვინებელი მეხუთე სართულის ფართი 4 მ²-ია. ამ სართულზე ყოველ კედელს თითო სალოდე და თითოც შეისრულთაღიანი სარკმელი აქვს გაკეთებული.

კოშკი გადახურულია ფიქალის საფეხუროვან-პირამიდული სახურავით, რომელსაც ნახევრადსფეროსებრი მოყვანილობის თეთრი ფერის ქვა აგვირგვინებს.

კომპლექსის შემადგენელი ციხე-სახლი სამსართულიანია. მისი პირველი სართულის ფართი 17 მ²-ია. შესასვლელი კარი ჩრდილო-დასავლეთის კედელშია გაჭრილი. ციხე-სახლის მესამე სართულის ფართიც 17 მ² უდრის. აქ ციხე-სახლში შესასვლელის ღერზე სალოდეა გაკეთებული. სალოდე ციხე-სახლის კედლიდან 42 სმ-ითაა გადმოცილებული. ციხე-სახლის სათავსებს რამდენიმე სარკმელი და სათოფური ხვრელი გააჩნია. ციხე-სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელს შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით დიდი ზომის ოთხკუთხა ღიობი უნდა ჰქონოდა.

კომპლექსის შემადგენელ ნაგებობათა შორის ყველაზე ძველია ციხე-სახლი. კოშკი შედარებით გვიანდელი აგებულია.

2. აღწერილი კომპლექსის დასავლეთით, მისგან 400 მ. მანძილზე კიდევ ერთი გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსია. მას „ავთანდილაანთ ქავ-ციხეს" უწოდებენ. კომპლექსი შედგება სამსართულიანი ციხე-სახლისა და გალავნის კედლებით შემოზღუდული შიდა ეზოსაგან (გეგმა, ჭრილი, ფასადი და ხედი იხ. სურ. 34, 35, 36, 37).

გალავნისა და ციხე-სახლის კედლები კლდის ნატეხი ქვითაა აგებული. გალავნის კედლის სისქე მიწის დონეზე 65 სმ-ია, ზედა ნაწილში — 55 სმ.

შიდა ეზო გეგმაში წაგრძელებულ ოთხკუთხედს წარმოადგენს. მისი ფართი 70 მ²-ია. შიდა ეზოში შესასვლელად ორი კარია გაკეთებული. ერთი მათგანი ჩრდილოეთის კედელშია. კარს ნათხალები გააჩნია. კარის სიგანე 65 სმ-ია, სიმაღლე კი 95 სმ. მეორე კარი გალავნის აღმოსავლეთის კედელშია დატოვებული. კარის სიგანე 98 სმ უდრის, სიმაღლე —1,40 მ-ს. ორივე კარს ნახევარწრიული თაღი აგვირგვინებს.

გალავნის ჩრდილოეთის კედელში ერთი სათოფური ხვრელია, რომელიც სოფელ კისტანს გადაჰყურებს. აღმოსავლეთის კედელში ორი სათოფურია და ორიც ნიში. სამხრეთის კედელში სამი სათოფურია. ისინი სოფელ ჯვარის კარს გადაჰყურებენ. ამ მხარეს კედლის ცენტრალურ ნაწილში დიდი ზომის ოთხკუთხა ღიობია. მისი სიგრძე 4,75 მ-ია. ჩრდილოეთის კედლის ცენტრალურ ნაწილში შიდა ეზოს მხარეს პილასტრია. ასევე ორი პილასტრი გააჩნია სამხრეთის კედელსაც აღნიშნული ღიობის გვერდებზე.

გალავნის კედლის სიმაღლე შემორჩენილ ფრაგმენტზე 3,20 მ-ია. კედელი ადრე უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო.

შიდა ეზოდანაა შესასვლელი ციხე-სახლის პირველი სართულის სათავსში, რომლის ფართი 29 მ² შეადგენს. ბოლო სართულის ფართია 26, 50 მ².

3. მიღმახევის სოფელ ხონეში ავზომეთ ვარდანა შეთეკურის ნაციხვარის სახელწოდებით ცნობილი გალავნიანი საცხოვრებელი, რომელიც თითქმის საძირკვლამდეა დაქცეული. კომპლექსი სოფლის თავზეა კლდეებს ზემოთ აგებული და ზევიდან დაჰყურებს როგორც სოფელს, ისე სახნავ-სათეს და სათიბ სავარგულებს (გეგმა და ჭრილი იხ. სურ. 38, 39).

კომპლექსის ასაგებად კლდის ნატეხი ქვაა გამოყენებული, ქვების დამაკავშირებლად — კირის ხსნარი.

საძირკვლის შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით კომპლექსი შედგებოდა კოშკის, მასზე დასავლეთიდან მიდგმული ციხე-სახლისა და გალავნის კედლებისაგან. კომპლექსი დასავლეთიდან იყო შემოზღუდული გალავნით; აღმოსავლეთის მხარეს მას მთელ სიგრძეზე სალი კლდე ეკვროდა.

გადმოცემით ვარდანა შეთეკურს თანასოფლელებთან უთანხმოება მოსვლია და მათ გაუძევებიათ კიდეც. ვარდანა თუშეთს გაქცეულა, შემდეგ ვაჟებით დაბრუნებულა, შესაძლოა თუშთა ლაშქრის დახმარებითაც, და სოფლის განაპირას აღწერილი კომპლექსი აუგია. სავარაუდოა, რომ სოფლელებმა შეძლეს გაბატონების მოსურნე ოჯახის კარმიდამოს მიწასთან გასწორება.

გალავნიან საცხოვრებელ კომპლექსზე ხევსურეთში მოპოვებული მასალა შემდეგი სახის სურათს წარმოაჩენს:

გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსის შექმნა ხალხური ხუროთმოძღვრების განვითარების გვიანი საფეხურია, თუმცა ეს კომპლექსი ხევსურეთში ჩანასახობრივ მდგომარეობაშია, მხოლოდ ერთეული სახით გვხვდება (სულ სამია — ა. ქ.). მან საყოველთაო გავრცელება ვერ ჰპოვა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ პერიოდში აბულეთაურთ და ავთანდილაანთ კომპლექსები სოფელ კისტნის კოლექტიური დაცვის რგოლში ყოფილან ჩართული. ხევსურეთში მხოლოდ ერთადერთი კომპლექსია (ვარდანასი) ოჯახის ინდივიდუალურ თავდაცვაზე გათვალისწინებული.

## მთიულეთი

მთიულეთში აღწერილია რამდენიმე გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი. აქ ამ რიგის საცხოვრებლები ცნობილია „ციხე"-ს სახელწოდებით.

1. სოფ. მლეთაში აზომილი და აღწერილია გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რომელსაც „ნაღზათ ციხეს" უწოდებენ. კომპლექსის ფართი 600 მ² აღწევს (გენგეგმა, კოშკის გეგმები და ჭრილი იხ. სურ. 40, 41, 42).

კომპლექსი არასწორფერდოვანი სამკუთხედის მოყვანილობისაა და მის ყოველ კუთხეში თითო კოშკი მდგარა. აზომვისას (1961 წ.) მათგან შემორჩენილი იყო ერთი სამსართულიანი კოშკი თითქმის მთლიანად, მეორე კოშკის ოთხივე კედლის ნანგრევი და მესამისა კი საძირკველი. გალავანი ალაგალაგ იყო დაცული, მეტწილად ნაწილობრივ.

გალავნის კედლები ამოყვანილია ზოლოვან საძირკველზე; მისი სისქე მიწის დონეზე 65 სმ-ს შეადგენს, ზემოთ — 55 სმ-ს. როგორც გალავნის, ისე კომპლექსის შემადგენელი სხვა ნაგებობის კედლები აყვანილია კლდის ქვით. შემკრავად გამოყენებულია ლამკირი.

დღემდე შემონახული კოშკის პირველი სართული გასასვლელად გამოიყენებოდა. საფასადე მხარის კარს ნათხალები აქვს გამოყოფილი, რომლებსაც კარის ხის ფრთები ეკეროდა. კოშკის პირველ სართულზე დატოვებული გასასვლელის სიგანე 2,75 მ შეადგენს.

კოშკის მეორე სართულის ფართი 5 $მ^2$ ტოლია. მის კედლებში დატოვებულია კარის ღიობი და რამდენიმე სათოფური, რომელთაგანაც ერთ-ერთი ალაყაფის კარს იცავდა. კოშკის მესამე სართულის კედლები ჩამონგრეულია.

სახლი გალავნის კედლების შიგნით მდგარა და თავდაპირველად ორი სართულისაგან — ძ ი რ ს ზ ე დ ა ქ ვ ე და ზ ე ი დ ა ნ ს ა ხ ლ ი შედგებოდა. სახლის მეორე სართულის ბანიდან იწყებოდა ერთი მეტრი სიმაღლის კედელი სათოფურებით. სახლის ზემო გვერდიდან მიდგმული იყო ორად გაყოფილი ბოსელი, რომლის ნაწილები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ პატარა ზომის კარით.

სახლის ზედა სართული კოშკთან იყო დაკავშირებული შესასვლელით. სახლის ბოლო სართული შეიცავს კალოს, ბანს და ბანისწინას.

აღწერილი კომპლექსი ნაწილობრივ დანგრეულია, ნაწილობრივ გადაკეთებული. დღემდე მოღწეული თავდაპირველი ფრაგმენტები იმდენად მცირეა, რომ მათი მიხედვით კომპლექსის პირვანდელი სურათის სრული აღდგენა ძნელია. კომპლექსში შესაძლებელია კოშკიანი სახლის გამოყოფა, რომელსაც ოჯახის გაყოფის შემდეგ ამოუშენეს მეორე სახლი. გადმოცემით დანარჩენი კოშკები და გალავანი შემდეგაა აგებული. კომპლექსი მთლიანად და მასთან დაკავშირებული გადმოცემები იმაზე მიუთითებენ, რომ იგი ჩვენამდე მოღწეული სახით ყალიბდებოდა დროთა განმავლობაში და არ წარმოადგენს თავდაპირველ მთლიანობას.

2. სოფ. მლეთაში აზომილია „გოგიანთ" გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის ფართი 310 $მ^2$ შეადგენს (გეგმები და ჭრილები იხ. სურ. 43, 44).

კომპლექსი შეიცავს ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ მიწურბანიან სამ სახლს, კოშკს და გალავნის ნაშთებს. სახლებიდან ორი ერთსართულიანია, ერთი — ორსართულიანი, კომპლექსი საკმაოდ დაზიანებულია.

გალავნის კედლის სიგანე 60 სმ-ია, სიმაღლე კი 3,50 მ. კედლების წყობაში გამოყენებულია სხვადასხვა ჯიშის ქვა. შემკრავად ლამკირის ხსნარია ნახმარი.

კომპლექსის ცენტრალურ ნაგებობას სამსართულიანი კოშკი წარმოადგენს, რომლის ქვედა ნაწილი მიწის დონიდან 4 მ სიმაღლემდე მთლიანად მასიურია. კოშკის პირველი სართულის ფართი 4,40 $მ^2$ შეადგენს. მას ნათხალებიანი კარი გააჩნია. კარი ერთფრთიანია და ურდულით იკეტება. მასში შედიოდნენ კოშკზე მიდგმული სახლის ბანიდან.

კოშკის მეორე და მესამე სართულების ფართი პირველის ტოლია. მეორე სართულზე ორი სათოფური ხვრელია დატოვებული. მესამე სართულს ოთხივე მხრიდან თითო ნისკარტისებური სალოდე აქვს გაკეთებული.

კომპლექსის ცალკეული ნაგებობანი და გალავნის კედლებით შემოზღუდული სამეურნეო ეზო საიმედოდ იყო დაცული.

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ მთიულეთში გალავნიანი კომპლექსები ოჯახის ინდივიდუალური დაცვისათვის ყოფილა გათვალისწინებული.

წარმოდგენილი მასალა მიგვანიშნებს, რომ გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსის შექმნა ხალხური ხუროთმოძღვრების განვითარების შემდეგი სა-

ფეხურია. ოჯახი თუ მშენებელი საცხოვრებელს ახალ მოთხოვნილებებს უყენებს და ახლებურად წყვეტს მას, თუმცა კი ეს სიახლე იქმნება ძველთაგან მომდინარე ტრადიციების გადამუშავების გზით.

კოშკიანი თუ ქვითკირიანი სახლები თავის დროისათვის ინდივიდუალური დაცვის საკმაოდ კარგ საშუალებას წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ რამდენიმე ნაკლიც გააჩნდათ: ხანგრძლივი ალყის პირობებში ოჯახის წევრები იძულებული იყვნენ კოშკის სათავსებში განლაგებულიყვნენ და სხვა სამეურნეო თუ საცხოვრებელ ნაგებობებს მოწყვეტილი იყვნენ. საქონლის გამრავლება იწვევდა მისი სადგომის დამატებითი ფრთის შექმნის აუცილებლობას. ტყვეთა მოპოვების პრაქტიკის ზრდა და თოფისწამლის შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის — გვარჯილას მოპოვება მოითხოვდა სარდაფის გაფართოებას. ამრიგად, იქმნებოდა სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების რთული კომპლექსი, რომლის დაცვასაც კოშკი თუ ციხე-სახლი ველარ აკმაყოფილებდა. საჭირო შეიქმნა გაზრდილი საკარმიდამოს თავდაცვის თვისობრივად გაუმჯობესება და ოჯახმა საკარმიდამოს ქვითკირის მაღალი კედლები შემოავლო. გალავნის კედლების შიგნით შესაძლებელი იყო ზოგი სახის სამეურნეო სამუშაოს შესრულება ალყის პირობებში; თიხის მილებით შემოყვანილი ან ადრე მოგროვილი წყალი დამცველებს უზრუნველყოფდა სასმელი თუ სამეურნეო წყლით.

შემადგენელი ელემენტებისა და დაცვითი ფუნქციის ხარისხის მიხედვით შესაძლებელია გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსების შემდეგი ქვესახეობების გამოყოფა:

1. ციხე-სახლიანი გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი.
2. კოშკიანი და ციხე-სახლიანი გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი.
3. კოშკიანი და სახლიანი გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი.
4. რთული გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც შეიცავს კოშკს, ციხე-სახლს, ერთ ან რამდენიმე საცხოვრებელ სახლს, ეკლესიას და სამეურნეო ნაგებობას.

## გავრცელების არეალი და სიხშირე

გარკვეულ ფაქტორთა (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური) გავლენით აღწერილი კომპლექსების გავრცელების არეალი და სიხშირე აღნიშნულ კუთხეებში არაერთგვაროვანი იყო.

ა) გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი წარსულში მთელი დღევანდელი სვანეთის ტერიტორიას მოიცავდა მეტ-ნაკლები სიხშირით, მაგრამ გვიანი შუა საუკუნეებისათვის ვითარება იცვლება. ქვემო სვანეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საქართველოს ბარისათვის ადვილი ხელმისაწვდომი იყო და ამის გამო ბარის თუ ადგილობრივ ფეოდალთა სალაშქრო მოედნად იქცა. საბოლოოდ მას დადიანები იკავებენ და ვასალებთან ერთად იზრუნებდნენ იმაზე, რომ რიგით მეთემეებს თავდაცვის ნაკლები საშუალებანი ჰქონოდათ. სოციალური და პოლიტიკური ძვრების შედეგად XIX ს. დასასრულისათვის გალავნიანი კომპლექსი ქვემო სვანეთში რელიქტის სახითღა შემორჩა.

ზემო სვანეთი ჩრდილოელი მეზობლებისაგან საიმედოდ იყო დაცული კავკასიონის მთავარი ქედით. ამავე ქედის სამხრეთის განშტოებანი მას ბარის ფეოდალთა ხელყოფისაგან იცავდნენ. ამ ფაქტორმა განაპირობა ერთი მხრივ,

ყოფისა თუ მატერიალური კულტურის ძეგლების შედარებით არქაული ფორმების დიდხანს შემონახვა და მეორე მხრივ, მათი განვითარება ადგილობრივ ნიადაგზე.

ზემო სვანეთის იმ ნაწილში, რომელიც ბალს ზემო სვანეთის სახელითაა ცნობილი, გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსების გავრცელების სიხშირე დიდია. ბალს ქვემო სვანეთში მათი გავრცელების სიხშირე მცირეა და ეს კომპლექსები აქ ძირითადად დადეშქელიანების საცხოვრებლებს წარმოადგენდნენ.

ბ) ხევსურეთში გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი ერთეული სახით გვხვდება, რაც ამ კუთხის სპეციფიკური თავისებურებებით იყო გამოწვეული. მაშინ, როდესაც სვანეთისათვის კავკასიონის მაღალი ქედი ბუნებრივ ბარიერს წარმოადგენდა, იგივე ქედით ხევსურეთი ორად იყო გაყოფილი. პირიქითა ხევსურეთი თითქმის მთელი წლის მანძილზე პირისპირ რჩებოდა მტრულ გარემოცვაში. ობიექტურმა ფაქტორებმა სასაზღვრო ზოლში განაპირობა დასახლების ფორმაში კოლექტიური თავდაცვის ფუნქციის დაწინაურება (შატილი, გურო, მუცო, ხახაბო...) საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც ოჯახის ინდივიდუალური დაცვისათვის იქნებოდა გამიზნული, აქ არ გამოდგებოდა. ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ პირიქით ხევსურეთში მხოლოდ სამი გალავნიანი კომპლექსია დაფიქსირებული, რომელთაგან ორი სოფლის საერთო დაცვის რგოლშია ჩაბმული და მხოლოდ ერთი ემსახურებოდა ოჯახის ინდივიდუალურ თავდაცვას.

პირაქეთი ხევსურეთი ქვემო სვანეთის მსგავსად ადრიდან იქცა ბარის ფეოდალთა შემოტევების ობიექტად. ძველი ნაგებობანი აქ მეტწილად საძირკვლამდეა დაქცეული და გალავნიანი კომპლექსების არსებობაზე რაიმეს თქმა შეუძლებელია.

გ) როგორც გიორგი მრწყინვალის ძეგლის დების ტექსტიდან ირკვევა, მთიულეთში საკმაოდ ადრიდან ჰქონდა ადგილი მნიშვნელოვან ძვრებს. პრივილეგირებული წოდება (ერისთავი, გამგებელი, ხევისბერი, ციხისთავი, ჰეროვანი) იბრძოდა თავისი წოდებრივ-ქონებრივი უფლებების განსამტკიცებლად მდაბიო ხალხის (სოფლიონი, ვინგინდავინი) წინააღმდეგ.

ამის შედეგი იყო „ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი“ და სხვა მისთანანი. მოგვიანებით ამას არაგვის ერისთავთა ექსპანსიაც დაერთო, რაც XVII ს. ამ კუთხის შემომტკიცებით დამთავრდა. ამის შედეგად XIX ს. დასასრულისათვის გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი ერთეულის სახითღა შემორჩა მთიულეთის არაგვის ხეობის ზედა ნაწილში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბარის უშუალო ზეგავლენით თავდაცვითი ნაგებობანი მთიულეთში შედარებით ადრე კარგავენ მნიშვნელობას.

•

## გამოყენებული ლიტერატურა


1. И. И. Пантюхов, О пещерных и позднейших жилищах на Кавказе, Тифлис, 1896; Г. И. Радде, Путешествие в Сванетии, ЗКОРГО, кн. XII, вып. I, Тифлис, 1866; ემილ ლეეიეს მოგზაურობა კავკასიაში, „მოამბე“, №2, 1894; В Сванетии, из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского, ВЕ, 8, Спб., 1886; ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში თბ., 1945; М. Джандиери, Г. Лежава, Архитектура Сванетии, М., 1938; მათივე, Архитектура горных районов Грузии, М., 1940.

2. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.

3. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

4. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად.

5. Поездка в Пшавию, Хевсурию и Сванетию графини Уваровой, Мак, в. X, М., 1904, 43—44.

6. მ. მჭედლიძე, სვანეთიდგან, „დროება", № 16, 17 აპრილი, 1969, 3.

7. В. Сванетии, из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского, 569.

8. მ. მჭედლიძე, დასახ. ნაშრომი, 3.

9. Поездка в Пшавию, Хевсурию и Сванетию графини Уваровой, 43—44.

10. ბ. ნიჟარაძე, იალბუზის გარშემო, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964, 100—101.

11. მ. მჭედლიძე, დასახ. ნაშრომი, 3.

12. იქვე, 3.

13. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941, 30—40.

14. იქვე, 32.

15. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ალ. რობაქიძე, თოფის წამლის მოპოვება ხევსურეთში „ანალები", I, თბ., 1947.

16. ქავ-ს ხევსურები კარგად გამაგრებულ ადგილს სიმაგრეს უწოდებენ.

ა. ქალდანი

# სვანირიანი სახლი სვანეთში

ციხე-სახლების ტრანსფორმირებული ფორმები მთელ სვანეთშია გავრცელებული. ბალს ზემო სვანეთში ისინი „გუბანდ“-ის სახელითაა ცნობილი[1], ხოლო ბალს ქვემო სვანეთში კი მათ „სვანირ“-ს[2] ან „სენირ“-ს[3] უწოდებენ. ეს ნაგებობანი ცალკე მდგომი არ შეგვხვედრია. როგორც წესი, ისინი გალავნიანი კომპლექსების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. სხვა შემთხვევაში სვანირი, როგორც ეს ბალს ქვემოთაა, საცხოვრებელ სახლთან გვხვდება; ამასთან საცხოვრებელი სახლი სვანირთან ორგანულადაა დაკავშირებული. ანალოგიურ ნაგებობებს რ. ხარაძემ და ალ. რობაქიძემ სამეცნიერო ლიტერატურაში სვანირიანი სახლის სახელწოდება დაუმკვიდრეს[4].

1. ბალს ქვემო სვანეთისათვის დამახასიათებელი სვანირიანი სახლის ერთ-ერთი ტიპოლოგიური ფორმის აღწერა და აზომვა მოვახდინეთ ეცერის სოფელ ბარშში (გეგმები, ჭრილი და ფასადი იხ. სურ. 1, 2, 3, 4). ნაგებობა ეკუთვნის ნ. გურჩიანს და სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია ამართული. მის ჩრდილოეთ კედელთან გზა გადის, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან შემოდის სოფელში. სვანირის სამსართულიანი ნაგებობა ორსართულიან საცხოვრებელ სახლთან ერთი საერთო კედლით ორგანულადაა დაკავშირებული.

რელიეფი, რომელზეც სვანირიანი სახლია აგებული, ქანობიანია. იგი ორი ტერასითაა წარმოდგენილი. პირველი ტერასა მოიცავს სვანირისა და სახლის I სართულის იატაკის დონეს. მეორე ტერასიდანაა სვანირის მეორე სართულის სათავსშია შესასვლელი.

ნაგებობის საძირკველი ზოლოვანია. მისი სიღრმე 70 სმ. არ აღემატება.

სვანირისა და საცხოვრებელი სახლის კედლების სისქეები პირველი სართულის დონეზე 75—80 სმ. ფარგლებში იცვლება, სახურავთან კედლების სისქეები შემცირებულია 50 სმ-მდე. კედლები გარედან შელესილია.

გადმოცემით, საცხოვრებელი სახლის პირველი და სვანირის მეორე სართულის სათავსებში კერა ყოფილა გამართული, რომელთაც დღემდე არ მოუღწევიათ.

საცხოვრებელი სახლის სართულშუა გადახურვა განხორციელებულია მზიდი და სავენი კოჭების კონსტრუქციული სისტემით. სახლის სახურავი ორქანობიანია. სახურავ მასალად ყავარია გამოყენებული.

სვანირის პირველ და მეორე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა მოწყობილია მარტივად. მალის სიმცირის გამო ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს შორის გადებულია მზიდი კოჭები, რომლებზეც ერთმანეთთან მიჯრით ხის ძელაკებია დამაგრებული. ძელაკებს შორის ღრიჭოები ამოვსებულია ხავსით და ზემოდან მოტკეპნილია ყამირის ფენა. სვანირის მეორე სართულის აღმოსავლეთის ნაწილის იატაკად ახლახან ფიცარი დაუგიათ. სვანი-

რის მეორე და მესამე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ზემოაღნიშნულის მსგავსია. სვანირი გადახურულია ერთქანობიანი სახურავით.

სართულშუა გადახურვებში და სახურავში გამოყენებული კოჭების დიამეტრები 18—38 სმ ფარგლებში იცვლება.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსში შესასვლელად დატოვებულია ორი კარი. ერთი მათგანი აღმოსავლეთის კედელშია, მეორე კი — სამხრეთის კედელში. სამხრეთის კედელში დატოვებული კარის ღიობი მარტივია, უნაოთხალებო; კარი მოგვიანებითაა გამონგრეული, მას შემდეგ რაც თავდასხმების საფრთხემ იკლო.

აღმოსავლეთის კედელში დატოვებული კარის ღიობს მარცხენა მხარეს ნაოთხალები გააჩნია. კარის წინ სათავსის მხარეს ხის ტიხრებით შიგა დერეფანი (ს გ ვ მ ე კ ე შ კ) გამოიყოფოდა. ტიხრებში ორი კარი იყო დატოვებული. ერთი მათგანი ადამიანის სამყოფში შედიოდა, მეორე კი საქონლის სადგომში.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის დონეზე აღმოსავლეთის კედელზე ორი სარკმელია. სარკმლის აგებულება ტრადიციულია. ამ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი სარკმლის ნაოთხალები მოუნგრევიათ. მეორე სარკმელი, რომელიც სალოცავი ყოფილა, უცვლელად დაუტოვებიათ. სათავსის სამხრეთის კედლის დასავლეთ ნაწილში საქონლის პატივის გადასაყრელი ხვრელია.

საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის სათავსის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებზე თითო სარკმელია, დასავლეთის კედელზე კი ორი. სარკმლები მარტივია, უნაოთხალებო.

სვანირის პირველი სართულის აღმოსავლეთის კედელში ერთი კარი ყოფილა დატოვებული. მოგვიანებით კარის ღიობი ქვის წყობით ამოუქოლავთ. სათავსის გასანათებლად ამავე კედელში ერთი სარკმელია.

სვანირის მეორე სართულის სათავსში მეორე ტერასის დონიდან შევდივართ სვანირის ჩრდილოეთის კედელში დატოვებული კარით. კარი ტრადიციული აგებულებისაა და ურდულით იკეტება.

სვანირის მეორე სართული ხის ტიხარით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ტიხარში კარია.

სვანირიდან საცხოვრებელი სახლის დარბაზში გასასვლელად მათთვის საერთო კედელში კარია, რომლის ფრთები დარბაზის მხრიდან ურდულით იკეტება.

სვანირის მეორე სართულის სათავსის ჩრდილოეთის კედელში ორი სარკმელია. სარკმლების გაბარიტებია 0,86 × 1,00 მ. მათ ადგილზე ადრე ძველებური ტრადიციული სარკმლები ყოფილა. თავდასხმის საფრთხის შემცირების შემდეგ ღიობები გაუგანიერებიათ. ასევე ორი გაგანიერებული სარკმელია აღმოსავლეთის კედელზე და ერთიც — კარის ღიობი. ეს უკანასკნელი გვიანაა გამონგრეული სვანირის აღმოსავლეთით აგებულ სახლში გადასასვლელად.

სვანირის საბრძოლო სართულის აღმოსავლეთის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებს თაღებიანი პარაპეტი აგვირგვინებს, რომელსაც აქ ს ვ ა ნ ი რ-ი ეწოდება. ჩრდილოეთის კედელს რვათაღიანი პარაპეტი ამთავრებს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებზე სამ-სამი თაღი ყოფილა, მაგრამ ნაწილი ჩამონგრეულია. თაღიანი პარაპეტი მზიდი კედლებიდან გადმოცილებულია კონსოლისებურად 12 სმ-ით.

საბრძოლო სართულზე დატოვებულია ორი სათვალთვალო და საბრძოლო ღიობი; ერთი ჩრდილოეთისა და მეორე აღმოსავლეთის კედელში. ღიო-

ზები სათავსის მხარეს განივრდებიან. ანალოგიური ლიობია სამხრეთის კედლის თითქმის ცენტრში.

საბრძოლო სართულის ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში სამი სათოფურია; კედლის ცენტრთან ორი დუბლირებული სათოფურია. სათოფურები და საბრძოლო ლიობები მიმართულია სამი მხრისაკენ: აღმოსავლეთით ისინი გასცქერიან სოფელში შემომავალ გზას; სამხრეთით — ამ მხრიდან მომავალ გზას, ხოლო ჩრდილოეთით კი — სოფელს.

საცხოვრებელი სახლისა და სვანირის სათავსების კედლებზე დატოვებულია რამდენიმე ნიში (ს ვ ე ნ ა).

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის (ს გ ი რ ი) ფართია 137 $м^2$. მისი 64 $м^2$ საქონლის სადგომს წარმოადგენს, დარჩენილი 73 $м^2$ ადამიანის სამყოფად გამოიყენებოდა.

დარბაზის ფართი 141 $м^2$ შეადგენს; ის საქონლის საკვების შესანახად გამოიყენებოდა.

სვანირის პირველი ან სარდაფის სართულის ფართი 46,60 $м^2$ შეადგენს. თავდაპირველად აქ წვრილფეხა საქონელი იდგა. მოგვიანებით ის ჭირნახულის შესანახად (გ ვ ე მ//გ ე მ)[5], გადაუკეთებიათ.

სვანირის მეორე სართულის ფართი 48 $м^2$-ია. სათავსის აღმოსავლეთის ნაწილი ადამიანის სამყოფად გამოიყენებოდა[6], ხოლო დასავლეთის ნაწილი დერეფნის მოვალეობას ასრულებდა. გარედან ადამიანი ჯერ დერეფანში უნდა მოხვედრილიყო, დერეფნიდან კი ან საცხოვრებელ სათავსში შედიოდა, ან — დარბაზში.

სვანირის მესამე სართულის ფართია 53 $м^2$. მას სიმაგრე (ს ა ნ გ ე ჰ ე) ეწოდება.

სვანირის სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია საძრომების საშუალებით, რომლებზეც ხის კიბეებია მიდგმული.

საცხოვრებელი სახლის სგირის დაგეგმარება გადაწყვეტილია შემდეგნაირად: ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ შესასვლელი კარის წინ მიშენებული იყო დერეფანი; მის გაგრძელებაზე ხარების სადგომია (ც ა ნ რ ე ლ ა რ დ ა) მოწყობილი. მისი სიგანე 2,30 მ-ია. ის ადამიანთა სამყოფისაგან გამოყოფილია ორნამენტებიანი ხის მაღალი ტიხრით, რომლის ქვედა ნაწილში საქონლის თავების გამოსაყოფი ექვსი თვალია. თვალის ლიობის სიგანე 50 სმ-ია, ხოლო სიმაღლე კი — 45 სმ. ტიხრის წინ მოწყობილია საკვების ჩასაყრელი ბაგა, რომლის სიგანეა 55 სმ, ხოლო სიმაღლე — 40 სმ.

დასავლეთის კედლის გასწვრივ ძროხების სადგომია. მისი სიგანე 2,10 მ-ია. სადგომი ადამიანთა სამყოფისაგან აქაც ხის მაღალი ტიხრითაა გამოყოფილი. ტიხარს ქვედა ნაწილში საქონლის თავის გამოსაყოფი თერთმეტი თვალი გააჩნია. ტიხრის წინ აქაც გაკეთებულია საკვების ჩასაყრელი ბაგა.

სამხრეთის კედლის გასწვრივ მის დასავლეთ ნაწილში მოწყობილია ხბოებისა და ცხვრების სადგომი. მისი სიგანეა 1,50 მ. მის წინ აქაც ტიხარია, რომელსაც საქონლის თავის გამოსაყოფი შვიდი თვალი გააჩნია. ტიხარი დაბალია და ორნამენტები არა აქვს.

საქონლის სადგომის იატაკად ფიცარია დაგებული. საქონელი თავით ადამიანის სამყოფისაკენ დგას. ეს ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას და, მეორე მხრივ, აადვილებდა ადამიანის მიერ საქონლის მოვლას. ადამიანი საქონლის საკვებს სადგომში შეუსვლელად ანაწილებდა ტიხრის წინ მოწყობილ ბაგაში.

სგირის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან ძველებური კიდობანი დგას, რომელიც ფქვილის შესანახად ყოფილა განკუთვნილი.

ადამიანთა სამყოფში კერიის სხვენის საკიდი ერთადერთი დირეღა დარჩენილა.

დარბაზი ერთიანი მოცულობისაა. დარბაზიდან საკვები გოდრით (კ ვ ი-დ ო ლ) ჩამოჰქონდათ პირველ სართულში. ამით აიხსნება სვანირისა და დარბაზის დამაკავშირებელი ასასვლელის დიდი ზომები (2,33×1,26 მ.).

სვანირის პირველი და საბრძოლო სართულის სათავსები ერთიანი მოცულობის არიან. სვანირის მეორე სართული ორადაა გაყოფილი. პირველი ნაწილი დერეფნის მოვალეობას ასრულებს. მისი ფართია 14,60 მ$^2$. დარჩენილი 33 მ$^2$ ფართი საცხოვრებელ სათავსს უკავია. დერეფანი ზრდიდა საცხოვრებელი სათავსის თავდაცვისუნარიანობას, იცავდა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს და სამეურნეო ინვენტარის შესანახადაც გამოიყენებოდა.

სვანირის სათოფურების ზომები ძალზეა შემცირებული. მინიმუმამდეა დაყვანილი საბრძოლო სართულზე სამზერი ღიობების რაოდენობაც და გაბარიტებიც. ეს ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ნაგებობის აშენების დროს ცეცხლსასროლი იარაღი სრულყოფამდე იყო მიყვანილი და კედლებში დიდი ღიობების დატოვება დამცველებისათვის სახიფათო იყო. სრულყოფილი სასროლი იარაღი გამორიცხავდა ქვის, თხიადი მასის ან მშვილდ-ისრის თავდაცვის მიზნით გამოყენების შესაძლებლობას და ნაგებობაში უკვე შეიმჩნევა სვანირის ან თაღოვანი პარაპეტის დეკორატიულ ელემენტად გადაქცევის ტენდენცია.

2. სოფ. ბარშში ავზომეთ თ. გურჩიანის სვანირიანი სახლი (გეგმები, ჭრილები და ფასადი იხ. სურ. 5, 6, 8. სურ. 7-ზე მოცემულია აქსონომეტრიული ჭრილი).

რელიეფი აქაც ორი ტერასითაა წარმოდგენილი. მათ შორის სიმაღლეთა სხვაობა 2,60 მ-ია. სვანირი გეგმაში ოთხკუთხა ნაგებობას წარმოადგენს და სახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს ეკვრის.

კედლები აქაც ზოლოვან საძირკველზეა ამოყვანილი. სიღრმე 75 სმ. აღწევს.

სახლისა და სვანირის ჩრდილოეთის კედელი მეორე ტერასის დონემდე მიწაყრილის საყრდენ კედელსაც წარმოადგენს. კედლის სისქე 1,15 მ-ია. სახლის პირველი სართულის დონეზე დანარჩენი კედლების სისქეები თითქმის ტოლია და თითოეული მათგანი 75 სმ უდრის; სვანირის კედლის სისქეები პირველი სართულის დონეზე 90 სმ-ია, გადახურვასთან კი 50—55 სმ-მდეა შემცირებული. კედლების წყობაში გამოყენებულია ნატეხი ქვა. კედლები შელესილია.

საცხოვრებელი სახლის სართულშუა გადახურვა და სახურავი კარგა ხნის წინ ჩამოქცეულან.

ამჟამად სახლის ჩრდილოეთის კედლის წინ სათავსის მხრისაკენ მოწყობილია საშრობი დერეფანი.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსში შესასვლელი კარი სახლისა და სვანირის საზიარო კედელშია დატოვებული. ძველად სახლში შემსვლელი ჯერ სვანირის პირველი სართულის სათავსში უნდა მოხვედრილიყო, ხოლო ამის შემდეგ კი სახლში. მოგვიანებით სახლის სამხრეთის კედელში გაუჭრიათ ახალი კარი.

სახლის მეორე სართული მეორე ტერასის დონესთან დაკავშირებული

იყო კარით, რომელიც ჩრდილოეთის კედელშია დატოვებული. გარკვეულ პერიოდში კარის ღიობის გაგანიერების მიზნით ნათხალები მოუნგრევიათ. კარის ღიობი ზემოდან ნახევარწრიული თაღით თავდება.

სახლისა და სვანირის მეორე სართულის სათავსები ერთმანეთს უკავშირდებიან საზიარო კედელში დატოვებული კარით.

საცხოვრებელი სახლის კედლებში რამდენიმე სარკმელია დატოვებული. პირველი სართულის კედლებზე საკმაოდ დიდი ზომის რამდენიმე ნიშია.

სვანირის პირველ-მეორე და მეორე-მესამე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა შესრულებულია ხის კონსტრუქციით. მესამე-მეოთხე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ქვისაა ხის შეფიცვრაზე. კოჭების დიამეტრები იცვლებიან 20—30 სმ. ფარგლებში. სვანირის სახურავი ორქანობიანია.

სვანირის პირველი სართულის დასავლეთის კედელზე კარის კონტურები შეიმჩნევა. კარის ღიობი, როგორც ჩანს, ტრადიციულად ყოფილა შესრულებული. მოგვიანებით კარის ღიობი ქვის წყობით შეუვსიათ. ამ კარის პირდაპირ სახლისა და სვანირის საზიარო კედელში უკვე ზემოთ ნახსენები კარია. როგორც ჩანს, ადრე სვანირის ეს სათავსი სახლის მიმართ დერეფანს წარმოადგენდა. დერეფანში შემოსასვლელი კარის გაუქმების შემდეგ სათავსი სარდაფად გადაუქცევიათ. სათავსის სამხრეთის კედლის ცენტრში დატოვებულია ერთი სარკმელი. სარკმელი ნათხალებიანია და გააჩნია დარაბა, რომელიც ურდულით იკეტება.

სვანირის მეორე სართულის სამხრეთის კედელზეც ანალოგიური სარკმელი ყოფილა დატოვებული, რომელიც მოგვიანებით გაუგანიერებიათ.

სვანირის მესამე სართულის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედელზე თითო სარკმელია დატოვებული. აღმოსავლეთის კედელში დატოვებული სარკმელი მარტივია, უნათოხალებო. ეს სარკმლები გამოიყენებოდა სათავსის გასანათებლად, სათვალთვალოდ და საბრძოლველადაც.

საბრძოლო სართულს აგვირგვინებს თაღოვანი პარაპეტი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე ოთხ-ოთხი თაღოვანი სვანირია, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებზე კი სამ-სამი. თაღოვანი პარაპეტი მზიდი კედლებიდან 0,18—0,22 სმ. მანძილითაა კონსოლისებურად გადმოწეული.

ჩრდილოეთის კედელში განაპირა სვანირის თაღქვეშ დატოვებულია მცირე ზომის სათვალთვალო ღიობი. ამ მხარის დანარჩენი სვანირები დახურულია მთლიანად ქვის წყობით. სვანირების ზემოთ და სვანირის თაღებს ქვემოთ ოთხ-ოთხი სათოფური ხვრელია კედელში.

სამხრეთის საბრძოლო პარაპეტის სვანირების თაღებქვეშა ნაწილი დატოვებულია ღიად. ამ მხარეს ოთხი სათოფური ხვრელია, რომლებიც სამხრეთისაკენ არიან მიმართული.

აღმოსავლეთის კედელში ხუთი სათოფური ხვრელია, დასავლეთის კედელში კი ორი.

სათოფური ხვრელები სათავსის მხარეს განიერია. აქ მათი ზომები იცვლება 25—35×20—30 სმ ფარგლებში. ხვრელები ფასადის მხარისაკენ ვიწროვდებიან 8×10 სმ-მდე.

საბრძოლო სართულის კედლებზე ფიქალის ქვების ნაშვერებია, რომელთა ნაწილი მუხლის ჩამოსადებად გამოიყენებოდა საბრძოლო ოპერაციის წარმოების დროს, ხოლო ნაწილი საომარი მასალის დასაწყობად იყო განკუთვნილი. აღმოსავლეთის კედლის ცენტრში არის ერთი დიდი ზომის ნიში, რო-

მელიც აგრეთვე საბრძოლო მასალის მარაგის შესანახად იყო განკუთვნილი.

საცხოვრებელი სახლის სგირი-სა და დარბაზ-ის ფართები შესაბამისად 91—96 მ² შეადგენენ. მათგან მხოლოდ კედლებილა დარჩენილან.

სვანირის პირველი სართულის სათავსს ადრე კ ე შ გ//გ ო შ გ ა̈ ნ რქმევია. შესასვლელი კარის გაუქმების შემდეგ ის სარდაფად გადაუქცევიათ. მისი ფართი 17 მ²-ია.

სვანირის მეორე სართულის სათავსის ფართია 18,60 მ². ის სარდაფად გამოიყენებოდა. სათავსის ჭერზე გადებულ ცენტრალურ დირეზე საკიდი ხვრელებია, რომელზეც ხორცის მარაგს ჰკიდებდნენ (იხ. სურ. 9).

სვანირის მესამე სართულის ფართი 20 მ² აღწევს, მას სვანირის სგირი ეწოდება. ეს სართული საშიშროების დროს ოჯახის წევრთა სამყოფი ყოფილა. ამასთან ამ სართულიდან თვალთვალსა და ბრძოლასაც აწარმოებდნენ.

ბოლო სართულის ფართია 22 მ². ამ სართულზე საბრძოლო იარაღი და მასალა ინახებოდა. აქედანვე სწარმოებდა თავდაცვითი ბრძოლა.

სვანირის სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია საძრომებით, რომლებზეც ხის კიბეებია მიდგმული.

სამზერი ღიობებისა და სათოფური ხვრელების მცირე ზომები გამორიცხავენ ქვის ან მშვილდ-ისრის გამოყენებას თავდაცვით ოპერაციებში. როგორც ჩანს, ნაგებობა თოფის ხმარებაში შემოსვლის შემდეგაა აგებული.

სვანირის საბრძოლო სართულის შედარებით მაღლა ატანა შიგ მყოფთ საშუალებას აძლევდა კონტროლი გაეწიათ საკმაოდ ვრცელი ტერიტორიისათვის. მისი სათოფურები მიმართულია სოფელში შემოსასვლელი გზებისაკენ.

3. ერთი სვანირიანი სახლი აღვწერეთ სოფ. ფარში (სურ. 10). ნაგებობა ამართულია სოფლის დასავლეთ ნაპირას სოფელში შემავალი გზის მარცხნივ, შემაღლებულ ადგილას. იგი უკვე დიდი ხანია მიუტოვებიათ და მისგან მხოლოდ სვანირის ნანგრევებიღა დარჩენილა. სვანირი ორსართულიანი ყოფილა. მისი აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლები თაღებიანი პარაპეტით თავდებოდა. დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში რამდენიმე სამზერი და საბრძოლო ხვრელია.

სვანირის ჩრდილოეთით გადმოცემის თანახმად სვანური საცხოვრებელი სახლი მდგარა, რომლისაგანაც მხოლოდ საძირკველი შეიმჩნევა. სვანირი გზის მიმართ ძალზე მოხერხებულ ადგილზეა აგებული. აქედან შესაძლებელი იყო გზის საკმაოდ დიდი მონაკვეთისათვის კონტროლის გაწევა.

სვანირიანი სახლები ბალს ზემო სვანეთშიც გვხვდება რთულ გალავნიან საცხოვრებელ კომპლექსებში. სვანირიანი სახლის ტიპის ნაგებობანი საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებში ჯერჯერობით არ შეგვხვედრია.

## გავრცელების არეალი და სიხშირე

სვანირიანი სახლი გავრცელებული იყო მთელ სვანეთში, მაგრამ ბალს ზემოთ როგორც წესი გალავნიანი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, მაშინ როდესაც ბალს ქვემოთ ის ცალკე მდგომი დამოუკიდებელი ერთეულის სახეს ატარებს.

ამ მოვლენას თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. ბალს ქვემოთ დადეშქელიანების მიერ კოშკების მშენებლობის აკრძალვის შემდეგ რიგითი მოსახლენი ეძებენ საცხოვრებელი კომპლექსების ისეთ ფორმებს, რომლებიც ბალს

ქვემოთ სვანეთის ფეოდალის თვალსაზრისით დასაშვები იქნებოდა, გარკვეულ ფუნქციას შეასრულებდა სოფლის საერთო ან დადეშქელიანების სასახლის დაცვის სისტემაში და ამავე დროს უზრუნველყოფდა ცალკეული ოჯახის უშიშროებას. ძიების პროცესში მშენებელი იყენებს ციხე-სახლის მივიწყებულ ფორმას, სახეს უცვლის მას ახალი ყოფისა და იარაღის მოთხოვნილებების შესაბამისად, დგამს მას საცხოვრებელ სახლთან და ქმნის კომპლექსს, რომელშიც საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციის მატარებელი სათავსები განლაგებულია ორ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ ნაგებობაში. ამასთან ეს კომპლექსი საკმაოდ განსხვავდება როგორც ციხე-სახლის, ისე კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსისაგან.

ბალს ზემო სვანეთში საბრძოლო კოშკების მშენებლობა არ ყოფილა შეზღუდული რომელიმე გვარის მიერ და ამდენად, სვანირიანი სახლის ცალკე მდგომ ერთეულად გამოყოფისათვის ობიექტური წინაპირობა არ არსებულა (ბალს ზემოთ ამჯობინებდნენ კოშკიან კომპლექსს ან ცალავნიან საცხოვრებელ კომპლექსს, რომლებიც თავდასაცავად სვანირიან სახლთან შედარებით უფრო ეფექტური იყვნენ).

სვანირიანი სახლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას ცნობით, სვანეთში ზოგან საბრძოლო კოშკი გადაგვარებულა ჯუჯა ფორმად და საცხოვრებელ სახლებზე ოდნავ არიან ამაღლებული[7]. მათი აზრით, სვანირი საბრძოლო კოშკის გადაგვარებულ ფორმას წარმოადგენს. მოგვიანებით გ. ლეჟავა სვანირს ციხე-სახლად თვლის[8]. ს. მაკალათია იძლევა ციხე-სახლისაგან სვანირის (გ უ ბ ა ნ დ) წარმომავლობის დამაჯერებელ მტკიცებას[9], რომელსაც ჩვენ მიერ შეკრებილი მასალაც ადასტურებს.

სვანირიან სახლს ბალს ქვემოთ დადეშქელიანები თავიანთი რეზიდენციის დასაცავად იყენებენ, რაც შენიშნულია სოფ. ბარშის მაგალითზე[10]. სოფლის გენგეგმაზე (იხ. სტატიის „სანცხვირიანი სახლი" გრაფიკული მასალა, სურ. 12, სვანირიანი სახლები აღნიშნულია ციფრებით III, V, X) ჩანს, რომ ამ რიგის ნაგებობანი დადეშქელიანის სასახლის მისადგომებთანაა განლაგებული და მასში მცხოვრებნი მოვალენი იყვნენ საშიშროების დროს გაეძლიერებინათ ბატონის სასახლის დაცვა.

ჩვენ მიერ სოფ. ფარში აზომილი სვანირიანი სახლი დადეშქელიანების მეორე შტოს სასახლის დაცვის ინტერესებს ემსახურებოდა.

სვანირიანი სახლი თავისი აგებულებით თითქოს კოშკიან კომპლექსს ჩამოგავს, თუმცა მასში თავდაცვითი ნაგებობა ბევრად დაბალია კოშკზე. ამ რიგის ნაგებობანი ბალს ქვემოთ ემსახურებიან სოფლის მისადგომების. სოფელში შემავალი გზების დაცვას. ბალს ზემოთ სვანირი ერთმანეთს აკავშირებს საცხოვრებელ სახლსა და კოშკს. ზოგან სვანირი ზედ გზაზეა აგებული ისე, რომ მისი პირველი სართული ღიაა და შიგ სასოფლო გზა გადის (ხერგიანების კომპლექსი სოფ. ლანჩვალში). სვანირის სათოფურები ამ გზას უწევენ კონტროლს.

სვანირიანი სახლები დაწინაურებული გვარების საცხოვრებელ კომპლექსებთან გვხვდება. ბალს ქვემო სვანეთში სვანირიანი სახლები ძირითადად ფარში, ბარშში და მაზერში არსებულ დადეშქელიანების საცხოვრებელ კომპლექსთანაა დაკავშირებული. ბალს ზემოთ იგი დაწინაურებული გვარების (ჩარკვიანების, იოსელიანების, გელოვანების და სხვა) საცხოვრებელ კომპლექსებში გვხვდება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში.
2. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად; მ. ჩართოლანი, ძველი სვანური სახლი, თეზისები, საქ. სსრ მუზეუმის X სამეცნიერო სესია, 1962 წ.
3. მ. ჩართოლანი, ძველი სვანური სახლი.
4. რ. ხარაძე, ალ. რომბქიძე, დასახ. ნაშრომი.
5. იქვე, 45.
6. იქვე, 45.
7. М. Джандиери и Г. Лежава, Архитектура Сванетии, 20.
8. Г. Лежава, Сванетский жилой дом, автореферат, Тбилиси, 1964, 7.
9. ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, 24—25.
10. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი 48.

ა. ქალდანი

# სანცხვირიანი სახლი სვანეთში

დღემდე მოღწეულ სვანურ ხალხურ ხუროთმოძღვრებაში გამოირჩევა სანცხეირიანი სახლი, რომელიც საცხოვრებლის განსაკუთრებულ სახეობას ქმნის. იგი წარმოადგენს ორსართულიან, გამონაკლისის სახით სამსართულიან ნაგებობას, რომელშიც თავდაცვის ფუნქციას მის ერთ კუთხეზე მიშენებული ქვის ბუდე ასრულებს. ბუდის კედლებზე დატოვებულია საისრე — სათოფური ხვრელები (ს ა ნ ც ხ ვ ი რ, ც ხ ვ ი — ისარი). სვანურ ნაგებობათა ტიპოლოგიურ სქემაში ზემოხსენებული ნაგებობანი სანცხვირიანი სახლის სახელით არიან ცნობილი[1].

ჩვენ მიერ ჩაწერილ გადმოცემებში აღნიშნულია, რომ ძველად სვანური საცხოვრებელი სახლის სახურავზე იმ მხარეს, საიდანაც ოჯახს ყველაზე მეტი საშიშროება ემუქრებოდა, შენდებოდა ოთხკუთხა ჯიხური (ჩუბეხევში: ქ ე ჩ ი ლ დ, ეცერში: ჩ ე ქ ი ლ, ბეჩოში: ჯ ი ხ ვ ი რ), რომელშიც ერთი ან რამდენიმე ადამიანი ეტეოდა. ჯიხურის კედლები მუხის ხის სქელი ფიცრისაგან კეთდებოდა. კედლებს ხვრელები ჰქონდა, რომლებიც სათვალთვალოდ და საბრძოლველად გამოიყენებოდა.

1. ბეჩოში, სოფ. უშხვანარში აღვწერეთ ბ. შამფრიანის ორსართულიანი სანცხვირიანი სახლი (გეგმები, ფასადი, ჭრილი, დეტალები და ხედი იხ. სურ. 1, 2, 3, 4). იგი სოფლის განაპირასაა აგებული სოფელში შემავალ გზასთან.

რელიეფი, რომელზედაც ეს ნაგებობაა ამართული, ქანობიანია. ქანობი აღმოსავლეთიდან დასავლეთითაა მიმართული. რელიეფი ორი ტერასითაა წარმოდგენილი: I ტერასის დონეზე სახლის პირველი სართულია მოთავსებული; II ტერასის დონიდან დარბაზში გადასასვლელი ხის ხიდია მოწყობილი. ორი ტერასის დონეებს შორის სიმაღლე 3,50 მ. აღწევს. პირველი და ნაწილობრივ მეორე ტერასაც ხელოვნურადაა შექმნილი.

სახლის კედლები ამართულია საძირკველზე, რომელიც ზოლოვანია. საძირკველი გადმოცემით მყარ ყამირამდეა დაყვანილი. საძირკვლის წყობაში გამოყენებულია ნატეხი ქვა, ხოლო შემკრავად — კირის ხსნარი.

სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან დერეფანია (ჰ ა გ ჲ მ) მიდგმული. სახლისა და დერეფნის კედლების წყობის ასაყვანად ნატეხი და რიყის ქვაა გამოყენებული. ქვები ერთმანეთთან კირის საკმაოდ სქელი ხსნარითაა დაკავშირებული. დერეფნის სათავსის დონეზე დასავლეთისა და სამხრეთის კედლების სისქეები თითქმის ერთმანეთის ტოლია (70 სმ). დერეფნისა და სახლის აღმოსავლეთის კედელი ამავე დროს მიწაყრილის საყრდენ კედელსაც წარმოადგენს და მისი სისქე 85 სმ-ია.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსში მზიდი კედლების სისქეები იცვლებიან 0,95—1,15 მ-ს ფარგლებში. სახლის მეორე სართულის

სათავსის დონეზე კი 65—75 სმ ფარგლებში. სიმაღლის ზრდასთან ერთად მცირდება კედლის სისქე. კედლის შიგა მხრიდან შემცირების ხარჯზე იზრდება მეორე სართულის ფართი. უშუალოდ გადახურვის ქვეშ კედლების სისქე 50 სმ უდრის. მშენებლობის დროს კედლის წყობის ამოსაყვანად ხარაჩოები ყოფილა გამოყენებული. კედლები გარედან შეულესავია, მაგრამ საგულდაგულოდაა მოსწორებული. პირველ სართულზე კედლებს სათავსის მხარეს შელესვის კვალი ეტყობა.

პირველი სართულის ცენტრში კერა ყოფილა გამართული, რომლის მოწყობილობას ჩვენამდე არ მოუღწევია. მის არსებობაზე მიგვითითებენ დირეებზე შემორჩენილი ჩამოსაკიდი აყარის (ლ გ ჰ ე რ) ნაშთები.

სახლის პირველ და მეორე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ხის კოჭების კონსტრუქციითაა გადაწყვეტილი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს შორის გადებულია სასვენი დირეები (ს ა შ ვ ე მ დ გ რ — ა̈ რ). სასვენი დირეების ბოლოები მყარადაა ჩამჯდარი ქვის კედლებში. ერთ-ერთი დირე სათავსის იატაკიდან ამართულ სვეტს (ს ვ ე ტ) ეყრდნობა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს შორის მზიდი დირეებია გადებული, რომელნიც სართულშუა გადახურვის დინამიკური დატვირთვების ნაწილს ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს გადასცემენ, ხოლო დარჩენილ ნაწილს სასვენი დირეების მეშვეობით — აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს. ამრიგად, სართულშუა გადახურვის დატვირთვები თანაბრადაა განაწილებული ნაგებობის ოთხსავე კედელზე. მზიდ და სასვენი დირეების დიამეტრები 25—40 სმ, ფარგლებში იცვლებიან. მზიდ დირეებზე დაგებულია სქელი ფიცრის იატაკი.

საცხოვრებელი სახლი გადახურულია ორქანობიანი სახურავით. ქანობები მიმართულია ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ. გადახურვის კონსტრუქციაში გამოყენებულია ერთი სასვენი და რამდენიმე მზიდი დირე. სასვენი დირე გადებულია ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს შორის. თავხე პატარა ზომის სვეტის საშუალებით დატვირთვას სასვენ დირეს გადასცემს. მზიდი დირეები გადებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს შორის, მზიდ დირეებზე ერთმანეთთან მიჯრითაა დაწყობილი ხის წვრილი ძელაკები. მათი დანიშნულებაა სათავეში მყარი ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნება. მათზე ლარტყებია დამაგრებული, ხოლო ამ უკანასკნელზე კი ყავარია დაჭედებული. ყავრის ფენილი კედლებიდან გადმოცილებულია 25—40 სმ მანძილით, რათა კედლებს აცილოს წვიმის წყალი.

სახლის სიმაღლე 8 მეტრია.

საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში შესვლისას ჯერ დერეფანია გასასვლელი. დერეფანში შესასვლელი კარი ან დერეფნის კარი (ქ ა̈ მ ე ყ ო რ, ჰ ა გ ა̈ მ ი ყ ო რ) დერეფნის დასავლეთის კედელშია დატოვებული (ტაბ. II, სურ. 2). კარს გარეთა მხრისაკენ ქვის მასიური ნათოხალები (ნ ა ვ შ თ ხ ვ ი) აქვს. ნათოხალების სიგანე 40 სმ-ია. კარის ღიობის ქვეშ ზღურბლის ქვაა (ლ ა̈ გ ა̈ გ ი ბ ა̈ ჩ), ამასთან ნათოხალების ქვეშ ზღურბლის ქვის ბლოკი ოდნავაა ამაღლებული. კარის ღიობის ზევით ხის სქელი ფიცარია გადებული. ზღურბლის ქვის ბლოკსა და კარის ღიობის ზედა შემკრავ ფიცარს ნათოხალების შიგნით კუთხეებთან ხვრელები გააჩნიათ. ქვედა ხვრელებს ქვედა საქუსლე ხვრელები (ჩ უ ბ ე ლ ა ჰ გ ვ ი) ეწოდებათ, ხოლო ზედას კი ზედა საქუსლე ხვრელები (ც ი ბ ე ლ ა ჰ გ ვ ი). კარის ფრთას ცალ მხარეს ორი ნაშვერი აქვს: ზედა ქუსლი (ც ი ბ ე ჰ ა გ ვ) და ქვედა ქუსლი (ჩ უ ბ ე ჰ ა გ ვ). ამ ქუსლების საშუალებით ფრთა საქუსლე

ხვრელებშია ჩამჯდარი და ტრიალებს. კარის ღიობის გვერდებზე საურდულე ხვრელებია (ლ ა ჰ ვ ჰ ი), რომელშიც კარის ფრთების მიხურვის შემდეგ მუხის ხის მასიურ ურდულს (ჰ ე ჰ ვ) გაუყრიდნენ.

მსგავსადაა გადაწყვეტილი დერეფნიდან საცხოვრებელი სახლის სათავსში შემავალი კარის არქიტექტონიკაც. ამ კარს შუა კარი (ნ ე ნ ს გ ä ყ ო რ) ან სახლის კარი (ქ ო რ ä ყ ო რ) ეწოდება. ეს კარი საცხოვრებელი სათავსის მხრიდან იკეტებოდა ურდულით.

დერეფნის სამხრეთის კედელში სათავსის გასანათებლად ერთი სარკმელია დატოვებული. სარკმლის ღიობი ნათხალებიანია. ნათხალები ქვითაა აყვანილი. ნათხალების შიგნით სარკმლის ღიობი სათავსის მხრისაკენ განიერდება. ნათხალების შიგნით მუხის ხის ფიცრისაგან გამოთლილი დარაბაა ჩასმული, რომელიც მიხურვის შემდეგ ურდულით იკეტება. ანალოგიური სარკმლებია საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსის დასავლეთისა და სამხრეთის კედლებშიც.

მოგვიანებით, მას შემდეგ რაც თავდასხმების საშიშროება შემცირდა, დასავლეთის კედლის სამხრეთ ნაწილში ახალი კარი გამოუჭრიათ. დასავლეთის კედლის ჩრდილოეთ ნაწილში ნაგავის გადასაყრელი ხვრელია (ლ ა ნ გ ვ ლ ი). ზამთრობით ამ ხვრელს ხის მორის ნაჭრისაგან გაკეთებული სარქვლით (ც უ ყ ვ ბ ა) ხურავდნენ.

სახლის მეორე სართულში შესასვლელ კარსა და მეორე ტერასის დონეზე გამავალ გზას შორის ხის ბოგირია გადებული, რომლის საშუალებითაც სათავსში მარხილით თივა შეაქვთ. მას სამარხილე (სიტყვასიტყვით სახარე) (ლ ა ლ ჯ ა ნ კ ი ბ) ეწოდება. მისი სიგანე 2 მ. აღწევს. კარი აქაც ნათხალებიანი ყოფილა, ორფრთიანი. ფრთები ურდულით იკეტება. დაცვითი ფუნქციის მოშლის შემდეგ კარი გაუგანიერებიათ ერთი ნათხალის გამონგრევის ხარჯზე. ამავე სართულის დასავლეთის კედლის სამხრეთ ნაწილში პატარა ზომის კარია, რომელიც სხვა კართაგან არაფრით არ განსხვავდება. მას მ ä ჲ დ ა ნ ეწოდება და ამ კარით საშრობ დერეფანზე (ტ ე ლ ჵ ფ) გადიოდნენ. საშრობს ჩვენამდე არ მოუღწევია.

მეორე სართულის სამხრეთის კედელში ერთი სარკმელია. აღმოსავლეთის კედლის სამხრეთ ნაწილში ერთი სათოფური ხვრელია (ს ა ნ ც ხ ე ი რ) დატოვებული. სათოფური მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთით; იგი მეორე სართულზე შემოსასვლელ კარს იცავდა ამ მხრიდან მომავალი მომხვდურისაგან.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სათავსში შესასვლელი დერეფნის ფართი 19 მ² შეადგენს. დერეფნის ძირითად მოვალეობას საცხოვრებელი სათავსის თავდაცვისუნარიანობის გაზრდა წარმოადგენდა. მომხვდურმა ჯერ დერეფანში შეჭრა უნდა მოახერხოს, შემდეგ კი — სახლში. სახლი დაცულია ორი კარგად გამაგრებული კარით. დერეფანი დამხმარე ფუნქციებსაც ასრულებდა: აქ ინახებოდა საოჯახო და სამეურნეო ინვენტარი. ამჟამად აქ მარცვლეულის შესანახი საკმაოდ დიდი ზომის ორი კიდობანი (კ ი ბ დ ე ნ) დგას. აქვეა ხის მორისაგან გამოთლილი კასრი (რ ა ყ). კიდობანზე ხის საწყლე ჭურჭელი (გ ä ბ) დგას. დერეფანი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასაც ემსახურებოდა. ის უზრუნველყოფდა ტემპერატურის მყარ რეჟიმს საცხოვრებელ სათავსში.

საცხოვრებელი სახლის პირველ სართულს ს გ ი რ ი ეწოდება (შდრ. ბალსზემოური მ ა ჩ ვ ი ბ). მისი ფართია 85 მ². ს გ ი რ ი ადამიანისა და საქონლის სადგომად იყო განკუთვნილი.

სახლის მეორე სართულის სათავსს დ ა რ ბ ა ზ ეწოდება (შდრ. ბალსზემოური მ ა ჟ ი ბ). მისი ფართი 93 მ²-ია. როგორც ვხედავთ, სათავსის ფართი ბევრად აღემატება სგირის ფართს. ეს მიღწეულია ნაგებობის კედლების სისქეების შემცირებით. დარბაზი ზამთრობით საქონლის საკვების შესანახად გამოიყენებოდა, ხოლო ზაფხულობით კი ოჯახი ადიოდა სგირიდან საცხოვრებლად.

დარბაზი და სგირი ერთმანეთს საძრომის საშუალებით არიან დაკავშირებული, რომელიც დარბაზის იატაკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია დატოვებული. მას ლ ა ზ ი რ ეწოდება. საძრომზე პირველი სართულის სათავსის იატაკიდან ხის კიბეა (მ ე გ მ ე მ კ ი ბ) მიყუდებული.

დარბაზის იატაკში კიდევ ერთი ხვრელია დატოვებული. ის განკუთვნილი იყო დარბაზიდან სგირში თივის ჩამოსაყრელად. მას ჰ უ ლ დ უ მ ეწოდება.

სგირის თითქმის 66 მ² ფართი საქონლის სადგომადაა განკუთვნილი, მის ერთ ნაწილს ბ ა გ ჰქვია, მეორეს — გ ვ ა ლ. სგირის იმ ნაწილს, რომელიც ადამიანის სამყოფს წარმოადგენს, ეწოდება ყ ვ ე რ ბ.

სგირის აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ ხარების სადგომია (ბ ა გ// ლ ა ჯ ა ნ) მოწყობილი. ადამიანთა სამყოფისაგან ის ხის მაღალი ტიხრითაა (ლ ე ჰ უ ნ დ ი ა რ) გამოყოფილი. ტიხრის ქვედა ნაწილში საქონლის თავების გამოსაყოფი ღიობებია. ტიხრის წინ საქონლის საკვების ჩასაყრელად ბაგაა (ლ ა ლ დ ი ა რ) მოწყობილი. ხარების სადგომის იატაკად ნაჯახით გამოთლილი ფიცარია დაგებული.

სგირის ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ საძროხეა (გ ვ ა ლ/ლ ა ფ უ რ) მოწყობილი. საძროხეში საქონელი ხარების სამყოფის გავლით შედის. საქონლის სადგომი და ადამიანთა სამყოფი აქაც ტიხრითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი. ტიხრის ქვედა ნაწილში საქონლის თავის გამოსაყოფი ოთხი დიდი ზომის თვალია (თ ე) დატოვებული. თვლები ერთმანეთისაგან ხის ბოძაკებითაა (ქ ა თ ა ლ) გამოყოფილი. ტიხრის წინ აქაც საქონლის საკვების ჩასაყრელი ბაგაა გაკეთებული. საძროხის თვლების გამყოფ ბოძაკებზე თხილის წნულებისაგან გაკეთებული რგოლებია (გ ი რ კ ა ლ) მიბმული, რომელსაც თოკით საქონელს მიაბამდნენ.

სგირის დასავლეთის კედლის გასწვრივ სახბორე (ლ ა ღ უ ნ) და საცხვრეა (ლ ა ღ ვ ლ ა ქ ი რ) მოწყობილი. ისინი წარმოადგენენ ფიცრებით შეკრულ ოთხკუთხა სათავსებს, რომლებიც ფიცრებითვეა გადახურული. გადახურვას ნ ე შ კ ა ეწოდება და მას საოჯახო ნივთების დასაწყობად იყენებდნენ. საოჯახო ნივთების დასაწყობად გამოიყენებოდა აგრეთვე კედლებში დატოვებული თაროები (ს ე ნ აჲ).

აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ სახლი თითქმის არაფრით არ განსხვავდება სვანური საცხოვრებელი სახლისაგან (ლ უ შ ნ უ ქ ო რ), რომლის საკმაოდ კარგი აღწერილობაც ბ. ნიჟარაძემ დაგვიტოვა[2]. მაშინ, როდესაც სვანური საცხოვრებელი სახლის დასაცავად მის გვერდით კოშკს, გუაბნდს ან გალავანს აგებდნენ[3], ბალსქვემო სვანეთში სანცხვირიანი სახლი ცალკე მდგომ ერთეულს წარმოადგენდა. მას თავდაცვითი ბრძოლის საწარმოებლად ახალი ელემენტი გასჩენია, რომელიც ასე თუ ისე ცვლიდა თავდაცვის სხვა საშუალებებს.

ზემოაღწერილი სანცხვირიანი სახლის მეორე სართულზე, ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების გადაკვეთასთან, კედლების სისქეებში დატოვებუ-

ლი ჯიხური, რომელიც ფასადის მხრიდან სახლზე ბუდის შთაბეჭდილებას ტოვებს (იხ. სურ. 1. ჯიხურის გეგმა და ჭრილები; სურ 3-ზე გამოსახულია: ა) ჯიხურის აქსონომეტრიული ჭრილი; ბ) ჯიხურის აქსონომეტრიული ხედი ფასადის მხრიდან). ჯიხურის გარე კედლები ნაგებობის მზიდი კედლებიდან კონსოლისებურად არიან გამოშვერილი 30 სმ-ით. ჯიხურის კედლების სისქე 15 სმ-ს შეადგენს. ჯიხურის კედლების შიგა და სახლის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების გარე სიბრტყეებს შორის დაცილება 10 სმ-ია. ეს იძლევა კედლის ორ ვიწრო ზოლს, რომლებიც სახლის მზიდ კედლებთან აერთებს ჯიხურის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებს.

ჯიხურის იატაკი სახლის კედლების გადაკვეთილ ზედაპირს წარმოადგენს. ის დარბაზის იატაკის დონიდან 50 სმ-ითაა დაცილებული ვერტიკალურ სიბრტყეში. ჯიხურის იატაკში დატოვებულია ოთხკუთხა ღიობი ზომებით 12×11 სმ. ღიობი ფიქალის ქვით იხურება. გადმოცემით ღიობს საბრძოლო და სანიტარული დანიშნულებაც ჰქონია. ჯიხურის ჩრდილოეთის კედელში ორ სხვადასხვა სიმაღლეზე ორი სათოფურია დატოვებული, რომელთაგანაც ერთი ჩრდილოეთისაკენაა მიმართული, ხოლო მეორე კი — ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სათოფურების შიგა მხარის ზომებია 14×13 სმ. ფასადის მხარეს მათი ზომები 8×10 სმ-მდე მცირდება.

ჯიხურის დასავლეთის კედლის ჩრდილოეთ ნაწილში სხვადასხვა სიმაღლეზე სამი სათოფურია განლაგებული. ორი მათგანი დასავლეთითაა მიმართული, ერთი კი — ჩრდილო-დასავლეთით.

ჯიხურის ჩრდილოეთის კედლის საცხოვრებელი სახლის იმავე მხარის კედელთან დამაკავშირებელი კედლის ვიწრო ზოლში ორი სათოფური ხვრელია. მათგან ერთი აღმოსავლეთს გასცქერის, მეორე კი — ჩრდილო-აღმოსავლეთს.

ჯიხურისა და სახლის დასავლეთის კედლების ერთმანეთთან დამაკავშირებელი კედლის ვიწრო ზოლში სამი სათოფურია: ერთი სამხრეთისკენაა მიმართული, დანარჩენი ორი კი — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სათოფური ხვრელები ჯიხურის იატაკის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზეა მოწყობილი. იატაკიდან მინიმალურად დაცილებული სათოფური 15 სმ-ის სიმაღლეზეა, ხოლო მაქსიმალური დაცილება 1,20 მ. შეადგენს.

ჯიხურის გაბარიტები ორი-სამი ადამიანის ერთდროულად მოქმედების საშუალებას იძლევა. ჯიხურის ადგილმდებარეობა და სათოფურების მიმართულებანი დამცველებს სოფელში შემოსასვლელი გზის კონტროლის გაწევის საშუალებას აძლევდათ. ჯიხურში სათოფურების განლაგება ისეა გადაწყვეტილი, რომ შიგ მყოფთ შეეძლოთ კონტროლი გაეწიათ სახლისადმი 270°-იანი კუთხით მიმდებარე ტერიტორიისათვის. მათ თვალთვალისა და ცეცხლის გახსნის კარგი პირობები გააჩნდათ; ამასთან თითონ ჯიხურის კედლებით საიმედოდ იყვნენ დაცული.

2. ეცერში, სოფ. ბარშში დადეშქელიანების რეზიდენციაში დაფიქსირებით კიდევ ერთი ორსართულიანი სანცხვირიანი სახლი (გეგმები, ჭრილი, ფასადი და დეტალი იხ. სურ. 5, 6) სახლი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ეკუთვნის ს. გურჩიანს.

ნაგებობის აღმოსავლეთის კედელთან სოფელში სამხრეთიდან მომავალი გზა გადის. ამ გზიდან მომხვდურთა მოსაგერიებლად სახლის მეორე სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში საბრძოლო ჯიხურია დატოვებული.

სახლი შედარებით სწორ რელიეფზეა აგებული. კედლები ნაგებია ნატე-

ხი ქვით კირის შემკრავზე. საფასადე მხარეს შეიმჩნევა შელესვის კვალი. კედლების სისქე პირველ სართულზე 75 სმ აღწევს, მეორეზე — 60 სმ-ს.

სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზეა მოწყობილი. რადგანაც მალი აქ მცირეა სასვენი ძირეები არაა გამოყენებული. მზიდი ძირეები გადებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს შორის. მათზე მოწყობილია ფიცრების ფენილი. კოჭების საყრდენად ხის სვეტებია გამოყენებული. ცენტრალურ სვეტს ქვის ბაზისი გააჩნია. სახლი ორქანობიანი სახურავითაა გადახურული. სახლის სიმაღლე 5,75 მ-ია.

სახლის პირველ სართულში შესასვლელი დასავლეთის კედელშია. ოთხკუთხა მოყვანილობის კარს ნათხალები არ გააჩნია. წირთხლებში საურდულე ხვრელებიც არ შეინიშნება. ამავე სართულის სამხრეთის კედელში სარკმელია, ხოლო დასავლეთისაში სათოფურისმაგვარი ღიობი.

მეორე სართულში შესასვლელი სამხრეთის კედელშია დატოვებული. კარის წირთხლებთან გარეთკენ ნათხალებია გამოყოფილი. წირთხლებში საურდულე ხვრელებია. ადრე კარამდე მიწიდან ხის ბოგირი ყოფილა მიდგმული, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ამავე სართულის აღმოსავლეთის კედელში ნიშია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან თავდასაცავი ჯიხურია.

პირველი სართულის სათავსის ფართი 39 მ² აღწევს. მეორე სართულის ფართი 42 მ². პირველი სართული მეორეს უკავშირდებოდა საკმაოდ დიდი ზომის (0,90×1 მ) ოთხკუთხა საძრომით, რომელზეც ხის გადასატანი კიბე ყოფილა მიდგმული.

პირველი სართულის მთელი ფართი საქონლის სადგომად იყო გამოყენებული. დასავლეთის კედლის გასწვრივ ხარებს აბამდნენ ხის ბაგაზე. სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში ძროხების სადგომი იყო მოწყობილი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კი ხბოებისა.

მეორე სართულზე საქონლის საკვებს ინახავდნენ.

როგორც ჩანს, აღწერილი სახლი, მიუხედავად მცირე ზომებისა, კონსტრუქციული აგებულებით ჩამოგავს საცხოვრებელ სახლს, თუმცა იგი მხოლოდ სამეურნეო და თავდაცვით ფუნქციებს ასრულებდა.

დაცვითი ფუნქციის მატარებელი საბრძოლო ჯიხურის გაბარიტები გეგმაში 98×87 სმ. შეადგენს. ჯიხურის კედლები აქაც კონსოლისებურადაა გადმოშვერილი 15 სმ-ით მზიდი კედლებიდან. ჯიხურის კედლების სისქე ტოლია და თითოეული მათგანი უდრის 18 სმ.

ჯიხურის სამხრეთის კედლის სხვადასხვა დონეზე სამ რიგადაა განლაგებული სათოფური ხვრელები. პირველ რიგში სამი სათოფურია. ისინი იატაკის დონიდან 22 სმ არიან დაცილებული. მათგან შუა სამხრეთითაა მიმართული, მარჯვენა — სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ხოლო მარცხენა — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მეორე რიგში იმავე თანმიმდევრობითაა კიდევ სამი სათოფური განლაგებული. ისინი იატაკის დონიდან 40 სმ. არიან დაცილებული. მესამე რიგში ორი სათოფურია, რომელთაგან ერთი სამხრეთითაა მიმართული. მეორე კი — სამხრეთ-დასავლეთით. ეს უკანასკნელნი იატაკიდან 85 სმ არიან დაცილებული.

ჯიხურის აღმოსავლეთის კედელზე სათოფურები ორ რიგად არიან განლაგებული. პირველ რიგში ერთი სათოფური ყოფილა, რომელიც მოგვიანებით დაზიანებულა. მეორე რიგში ორი სათოფურია. ერთი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთით, მეორე — სამხრეთ-აღმოსავლეთით. აღმოსავლეთის კედ-

ლის ზედა ნაწილი მონგრეულია. შესაძლებელია მონგრეულ ნაწილში სათოფურების მესამე რიგიც იყო.

ჭიხურის კედლებში გაკეთებული სათოფური ხვრელების ზომები კედლის შიგა მხარეს 13—15×14—16 სმ შეადგენენ; კედლის გარე მხარეს მათი ზომები 8×10 სმ-ია. სათოფურის ზომები ისეა შერჩეული, რომ შიგ სვანური თოფის ლულა გაეტიოს და დამცველმა მტერი მარჯვედ ამოიღოს მიზანში. ჭიხურის მდებარეობა გარემოსთან მიმართებით ძალზე მოხერხებულადაა შერჩეული.

3. სოფელ ცალერში ავზომეთ კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლი, რომელიც დ. გვარმიანს ეკუთვნის (გეგმები, ჭრილი და ხედი იხ. სურ. 7, 8, 9).

ეს სახლი სოფლის ჩრდილოეთ განაპირასაა აგებული. რელიეფი ძალზე დაქანებულია; ქანობი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენაა მიმართული. ქანობის უმაღლეს და უდაბლეს წერტილებს შორის სიმაღლეთა სხვაობა (ნაგებობების ფარგლებში) თითქმის 6 მ შეადგენს. პირველი სართულის იატაკი შეძლებისდაგვარად მოშანდაკებულ კლდოვან ყამირს წარმოადგენს. ნაგებობის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები უშუალოდ კლდეზეა ამოყვანილი. სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები ზოლოვან საძირკველზეა ამოყვანილი, რომლის სიღრმე 60—90 სმ შეადგენს. ჩრდილოეთის კედელი ერთდროულად ყამირის ყრილის საყრდენ კედელსაც წარმოადგენს. ამავე როლს ასრულებს დასავლეთის კედლის ნაწილიც.

ნაგებობის კედლების წყობისათვის გამოყენებულია ნატეხი ქვა და ფიქალი, შემკრავად კი — კირის ხსნარი. პირველი სართულის დონეზე კედლების სისქეები 1 მ-ზე ოდნავ მეტია, მეორეზე 90 სმ-ია, ხოლო მესამე სართულის დონეზე კი 70—75 სმ. კედლების ამოსაყვანად გამოყენებული ყოფილა ხარაჩო, (ფ ა ლ ა ნ გ) რომელსაც ხის ძელებზე აწყობდნენ. კედლები შელესილია. კლიმატის გავლენით ფასადის მხარეს ბათქაში ზოგან მოცილებულია.

ნაგებობის სართულშუა გადახურვები და სახურავი ზემოაღწერილის მსგავსადაა გადაწყვეტილი სასვენი და მზიდი დირეების კონსტრუქციული სისტემით. მეორე და მესამე სართულის სათავსების იატაკი თიხის მოტკეპნილ სქელ ფენას წარმოადგენს. სახურავის ქანობები აღმოსავლეთით და დასავლეთითაა მიმართული. სახლის სამხრეთის ფასადის სიმაღლე 10,25 სმ შეადგენს.

სახლის მეორე სართულის დონეზე აღმოსავლეთით კალოა. სახლში შესასვლელი კარის წინ ხის ერთსართულიანი დერეფანია, რომელსაც ს ა ქ ვ ლ ეწოდება. ის ერთქანობიანი სახურავითაა გადახურული. სახურავის ქანობი სამხრეთისკენაა მიმართული.

სახლის კარ-ფანჯრის ღიობები და მოყვანილობანი არაფრით განსხვავდებიან ჩვენ მიერ უშხვანარში აღწერილი სახლის კარ-ფანჯრებისაგან. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მეორე სართულის აღმოსავლეთის კედლის ორი სარკმელი ამ ცოტა ხნის წინ გაუგანიერებიათ ნათხალების მონგრევის ხარჯზე.

სახლის წინ მდგარი დერეფანი აქაც იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც უშხვანარში აღწერილი სახლის დერეფანი. როგორც ჩანს, ადრე დერეფანი ორსართულიანი ყოფილა. დერეფნის მეორე სართული სახლის მესამე სართულს აკავშირებდა გარე სივრცესთან.

მესამე სართულის დონეზე სახლის სამხრეთის კედლის წინ საშრობი (ტ ე ლ ა ფ) ყოფილა გაკეთებული. მას სათავსთან ვიწრო კარი (მ ა ჟ დ ა ნ) აკავშირებდა. ტელაფს ჩვენამდე არ მოუღწევია.

მესამე სართულის ჩრდილოეთის კედელში ამ ცოტა ხნის წინ კარი გამოუჭრევიათ სათავსში თივის შეტანის გაადვილების მიზნით.

ამ სართულზე აღმოსავლეთის მხარეს ორი სარკმელია. ერთი სარკმელი, მსგავსად ამავე მხარეს მოქცეული მეორე სართულის სარკმლისა, სალოცავად (ლ ა̈ მ ზ გ რ ლ ა ჯ ე რ ა) იყო განკუთვნილი. დასავლეთის კედელში ერთი სათოფური ხვრელია. მისი სათავსის მხარის ზომებია 71×58 სმ, ხოლო გარეთა კი — 10×9 სმ. სათოფური სახლის ქვემოთ მიმავალ გზას გასცქერის.

სახლის მეორე და მესამე სართულის სათავსებში კერა იყო მოწყობილი. დღისით სათავსების განათება სარკმელებიდან შემოსული შუქით ხდებოდა, ღამე კი კვარით ანათებდნენ. ანთებული კვარის ჩამოსადებად სპეციალური რკინის ჭაღები (გ ე მ ტ ვ ა̆ რ) გამოიყენებოდა (იხ. სურ. 10). ჭაღებს ხის დირეებზე ჰკიდებდნენ. ანთებული კვარის ჩამოსადებად კედლებიდან ფიქალის ქვის ნაშვერებს და პატარა ზომის ნიშებსაც იყენებდნენ.

პირველი და მეორე სართულის სათავსების ჭერში მრავალრიცხოვანი ხის კავები (კ ა̆ ე) ყოფილა ჩამოკიდებული, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება ჰქონიათ.

სახლის შესასვლელთან აგებული დერეფნის ფართი 13 $მ^2$ შეადგენს.

სახლის პირველი სართულის სათავსი — გ ვ ე მ (-ქართ. გომი) გამოიყენებოდა სარდაფად. გომის ფართია 22 $მ^2$. აქ საკვები და ჭირნახული ინახებოდა. სარდაფის მუდმივი ტემპერატურა სარჩოს იცავდა გაფუჭებისაგან.

საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის სათავსის ს გ ი რ ი-ს ფართი 86 $მ^2$ შეადგენს. ეს სათავსი ადამიანისა და საქონლისათვის იყო განკუთვნილი.

სახლის მესამე სართულის, ზედა სგირის (ქ ი ბ ე ს გ ი რ ი) ფართია 96 $მ^2$. აქაც ეს სათავსიც ადამიანის სამყოფად და საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. ამჟამად აქ საქონლის საკვებს ინახავენ.

საცხოვრებელი სახლის სგირი და სარდაფი ერთმანეთს საძრომით (ლ ა ზ ი რ) უკავშირდებოდა. სარდაფის იატაკიდან საძრომზე კიბეა მიდგმული.

საცხოვრებელი სახლის მეორე და მესამე სართულები ერთმანეთთან არაა დაკავშირებული.

სახლის მეორე სართული ამჟამად გადაკეთებულია. გადმოცემის თანახმად, სათავსში შემავალ კართან შიდა მხარეს ხის ტიხრებით შიგა დერეფანი (ს გ ა მ ე ს ა ქ გ ლ) ყოფილა გაკეთებული. სამხრეთის ტიხარში კარი ყოფილა, რომელიც ადამიანთა სამყოფში (ყ ე რ ბ) შედიოდა. დასავლეთის მხარეს ტიხარის კარი ხარების სადგომში შედიოდა.

საქონლის სადგომი სახლის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების გასწვრივაა მოწყობილი. ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ ხარების სადგომია. დასავლეთის კედლის გასწვრივ კი ძროხების სადგომია. საქონლის სადგომის კონსტრუქციული აგებულება იდენტურია ზემოთ აღწერილის და აქ აღარ გავიმეორებთ.

მეორე სართულის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები შელესილია. დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები შეულესავადაა დატოვებული. ეს იმიტომ, რომ ამ მხარეს მაღალი, მოჩუქურთმებული ხის ტიხარი გამოჰყოფდა საქონლის სადგომს ადამიანის სამყოფისაგან და ის ფარავდა კედლებს.

სახლის მესამე სართულის სათავსი მეორე სართულის მსგავსადაა გადაწყვეტილი. შესასვლელ კართან აქაც ხის ტიხრებიანი შიგა დერეფანია. სახ-

ლის ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ ხარების სადგომია. დასავლეთის კედლის გასწვრივ კი საძროხეა. საქონლის სადგომისა და ადამიანთა სამყოფის განმაცალკევებელი ხის ტიხარი გეომეტრიული ორნამენტებითაა მოჩუქურთმებული. საქონლის სადგომის იატაკი როგორც მეორე, ისე მესამე სართულზე ნაჯახით გამოთლილი ფიცრებისაგანაა გაკეთებული.

მესამე სართულის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მოწყობილია საბრძოლო ჯიხური. ჯიხურისა და სათავსის იატაკები ერთ დონეზეა. ჯიხურის ზომები საშუალებას იძლევა ორმა-სამმა კაცმა მიიღოს მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში. (სურ. 11-ზე გამოსახულია ჯიხურის აქსონომეტრიული ჭრილი და ჯიხურის აქსონომეტრიული ხედი ფასადის მხრიდან).

ჯიხურის კედლები სახლის მზიდი კედლებიდან კონსოლისებურად არიან გადმოშვერილი 40 სმ-ით. ჯიხურის კედლების სისქეები 23—28 სმ ფარგლებში იცვლებიან. ჯიხურის სამხრეთის კედელში ორი სათოფური ხვრელია. პირველი იატაკის დონიდან 1,20 მ სიმაღლეზეა, მეორე კი —1,75 მ-ზე. ჯიხურის დასავლეთის კედელში სამი სათოფურია ორ რიგად განლაგებული. პირველი რიგი იატაკს 40 სმ-ითაა დაცილებული, მეორე კი —1,10 სმ-ით. სამხრეთის კედელში დატოვებული სათოფურები მიმართულია სამხრეთით. დასავლეთის კედლის სათოფურები დასავლეთითაა მიმართული. ჯიხურის აღმოსავლეთის კედლის ვიწრო ზოლში სამი სათოფურია სამ სხვადასხვა დონეზე. ორი მათგანი აღმოსავლეთითაა მიმართული, ერთი კი — სამხრეთ-აღმოსავლეთით. ასევე სამი სათოფურია ჯიხურის ჩრდილოეთის კედლის ვიწრო ზოლში. ერთი სათოფური ჩრდილოეთის მხარეს გასცქერის, ორი კი — ჩრდილო-დასავლეთის.

სათოფური ხვრელების შიგა ზომები იცვლება 15—34×27—18 სმ ფარგლებში, ხოლო გარე მხარის ზომებია 8×10 სმ.

საბრძოლო ჯიხურის სათავსის სამხრეთის კედელთან ფიქალის ქვის საკმაოდ დიდი ზომის ფილაა გადმოშვერილი (40×30 სმ.). ეს ფილა საომარი მასალის დასაწყობად გამოიყენებოდა.

ზემოაღწერილი სანცხვირიანი სახლის ჩრდილოეთის მხარიდან ძველი ნაგებობის საძირკველი მოჩანს. მის ზემოთ ნაგებობათა რთული კომპლექსის ნანგრევებია ტერასისებურად განლაგებული.

როგორც აღწერილობამ გვიჩვენა დაგეგმარების თვალსაზრისით ზემო სვანეთში სანცხვირიანი სახლების ორი ქვესახე გვხვდება:

1. დერეფნიანი სანცხვირიანი სახლი,

2. უდერეფნო სანცხვირიანი სახლი,

თავის მხრივ უდერეფნო სანცხვირიანი სახლი მასზე დაკისრებული ფუნქციის მიხედვით ორად შეიძლება დაჯგუფდეს:

ა) სანცხვირიანი სახლი, რომელიც აერთიანებს საცხოვრებელ, სამეურნეო და დაცვით ფუნქციებს;

ბ) სანცხვირიანი სახლი, რომელიც თავდაცვით და სამეურნეო ფუნქციებს ასრულებს.

## გავრცელების არეალი და სიხშირე

რაც შეეხება სანცხვირიანი სახლების გავრცელების არეალს, ისინი ქვემო სვანეთში არ გვხვდება. ეს ნაგებობანი მეტწილად გავრცელებულია ბალს ქვემო სვანეთში, ბალს ზემოთ კი შედარებით იშვიათად გვხვდება. ბალს ზემო სვანეთში სანცხვირიანი სახლი დავაფიქსირეთ მულახის სოფ. ლახირში

ი. მარგიანის რთულ გალავნიან კომპლექსში. სახლის საბრძოლო ჯიხური ჩრდილოეთისკენაა მიმართული.

სანცხვირიანი ჯიხური აქვს ჩარკვიანების სასახლეს ლატალის სოფ. გიგბაშში[4].

ბალს ზემო სვანეთში სანცხვირიანი სახლები გალავნიანი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და ამ კომპლექსის რომელიმე სუსტი მხარის დაცვას ემსახურებიან, კერძოდ იმ მხარისა, რომლის დასაცავად კოშკისა და გუბანდის სათოფურების ბრძოლისუნარიანობა ნაკლებად ეფექტურია.

სანცხვირიანი სახლები დაკავშირებულია დაწინაურებული გვარების საცხოვრებელ კომპლექსებთან. შემთხვევითი არაა, რომ ბალს ქვემოთ სანცხვირიანი სახლები დადეშქელიანების საცხოვრებლებთან გვხვდება, ხოლო ბალს ზემოთ კი დაწინაურებული გვარების კომპლექსებში (ჩარკვიანები, ყიფიანები).

სანცხვირიანი სახლი სვანეთში თავდაპირველად რადდეს შეუმჩნევია. შემდგომ მასზე არავითარი ცნობები აღარ მოგვეპოვება. ამ ცოტა ხნის წინ ალ. რობაქიძემ მოგვცა ამ ტიპის ნაგებობების პირველი აღწერილობანი და სვანურ ტიპოლოგიურ სქემაში მას თავისი ადგილი მიუჩინა[5].

ბალს ზემო სვანეთში სანცხვირიანი სახლების მცირე რაოდენობა გვხვდება. ამასთან ისინი მეტწილად გალავნიანი კომპლექსების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ბალს ქვემო სვანეთში სანცხვირიანი სახლები ფართოდაა გავრცელებული და ამასთან ისინი მკვეთრად გამოყოფილ ცალკე ერთეულებად ქცეულან. ეს მომენტი კარგად შეუმჩნევია გ. რადდეს, როდესაც აღნიშნავს, რომ ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთის თავდაცვით და საცხოვრებელ ნაგებობებში განსხვავება შეიმჩნევაო. ამასთან ბალს ქვემო სვანეთში „...ძველი სიმაგრეების ნაცვლად სახლების მეტი წილის სახურავებზე ძელებისაგან აგებენ ადამიანის სიმაღლის პატარა სათავსებს"[6].

ამ მოვლენას თავისი ობიექტური მიზეზები განაპირობებდა. რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

ჩვენ მიერ ჩაწერილ გადმოცემებში აღნიშნულია, რომ ოჯახისაგან გამოყოფილ ყველა ახალ მოსახლეს არ შეეძლო ერთდროულად სახლისა და კოშკის მშენებლობა. ახალი მოსახლე ჯერ საცხოვრებელ სახლს აგებდა და თუ მას ამისი ეკონომიკური შესაძლებლობა გააჩნდა, შემდეგ საბრძოლო კოშკს აშენებდა; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლე სახლის ამარა რჩებოდა. უფრო შეძლებული ოჯახი სამოსახლოს გალავანს შემოავლებდა ხოლმე. ცალკე მდგომი სახლი მოკლებული იყო თავდაცვის საშუალებებს. საჭირო იყო საცხოვრებელი სახლის გამაგრების გზების ძიება. თავდაპირველად ჩანს, ცალკე მდგომი საცხოვრებელი სახლის დასაცავად ხის სქელი ფიცრებისაგან ჯიხურს აშენებდნენ. ჯიხურს სახლის სახურავის რომელიმე მოხერხებულ კუთხესთან, ან კედლის ცენტრში აღმართავდნენ. ზოგჯერ ჯიხური კედლის მთელ სიგრძეს მოიცავდა. უფრო ხშირად ჯიხურებს სახლის სახურავის ოთხსავე მხარეს აგებდნენ. ჯიხური სახლის მზიდი კედლებიდან კონსოლისებურად ყოფილა გადმოშვერილი. თავდაპირველად ეს ნაშვერი საკმაოდ დიდი ყოფილა. ჯიხურის იატაკში ღიობს ტოვებდნენ (განსაკუთრებით პირველ სართულში შესასვლელი კარის თავზე), საიდანაც კარზე მომდგარ მტერს ქვასა და ისარს უშენდნენ. შორ მანძილზე საბრძოლველად ჯიხურის კედლებში საისრე ხვრელები იყო დატოვებული. ჯიხურის სიმაღლესა და სიგრძე-სიგანეს ისე არჩევდნენ,

რომ შიგ რამდენიმე მოისარს ჰქონოდა თავისუფალი მოქმედების საშუალება. ჯიხურში ღარბაზის იატაკიდან მიდგმული ხის კიბით ადიოდნენ.

ამას შემდეგ, რაც ეკონომიკურად მოღონიერდებოდა, ახალდასახლებული ოჯახი საბრძოლო კოშკს იშენებდა. კოშკის აშენების შემდეგ ჯიხური ზედმეტ დანამატად იქცეოდა და ჩამოქცევის შემდეგ მათ არავინ აღადგენდა.

როგორც ცნობილია, მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში ბალს ქვემო სვანეთში ძლიერდება რიჩგვიანების გვარი (სვანეთის კრების მატიანეში, რომელიც მეცამეტე საუკუნეს განეკუთვნება, ისინი რიჩგვიანების გვარით არიან ცნობილი[7]. მეცამეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს ბრძოლა რიჩგვიანებსა და დადეშქელიანებს შორის პირველობისათვის. მეთხუთმეტე საუკუნის საბუთის მიხედვით ამ პერიოდში ორივე გვარი ჯერ კიდევ ძლიერია[8]. მომდევნო პერიოდში დადეშქელიანების გვარი იმარჯვებს. მათი ძალაუფლების გაძლიერების შემდეგ, უკვე არსებულ კოშკებს საბრძოლო სართულებს უნგრევენ მთელ ბალს ქვემო სვანეთში და ახალი კოშკის მშენებლობა იკრძალება, რათა დამორჩილებულ გვარებს წინააღმდეგობა არ გაეწიათ კოშკებიდან მათთვის[9].

მსგავსი ვითარება შეიმჩნევა კავკასიის მთიანეთის სხვა კუთხეებშიაც. საკუთრივ, ინგუშეთში გარკვეულ გვარებს კოშკის შენების ან დასრულების უფლება არ ჰქონიათ[10].

ამ პერიოდში ბალს ქვემოთ იწყება სანცხვირიანი სახლების მასიური მშენებლობა. თოფის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ ხის ფიცარი უკვე ნაკლებად საიმედო ხდება დამცველთათვის და ჯიხური სახურავიდან ადგილს სახლის მეორე სართულისაკენ ინაცვლებს; ამასთან ჯიხურის კედლები ქვითკირით შენდება.

ბალს ზემო სვანეთში საბრძოლო კოშკებისა და სხვა ეფექტური თავდაცვითი ნაგებობების აგება შეზღუდული არ ყოფილა რომელიმე გვარის მიერ და ამდენად სანცხვირიანი სახლების მშენებლობამ, რომლებიც თავდასაცავად ნაკლებ ეფექტიანი იყვნენ, ისეთი მასიური ხასიათი არ მიიღეს, როგორც ბალს ქვემოთ.

სანცხვირიანი სახლების განლაგებას გარკვეული პერიოდიდან ფეოდალი თავისი სასახლის დასაცავად იყენებს. დადეშქელიანების რეზიდენციის, სოფ. ბარშის აღწერისას შენიშნულია, რომ სოფლის განაპირას განლაგებული სანცხვირიანი სახლების (იხ. სურ. 12) ერთ-ერთი ფუნქცია იყო დადეშქელიანების სასახლის დაცვა[11].

მართლაცდა, სოფელ ბარშის გენერალურ გეგმაზე ნათლად მოჩანს, რომ სანცხვირიანი სახლები სოფლის მისადგომებთანაა განლაგებული ამ სოფელში შემავალი გზების ნაპირას. სახლის სათოფურები სწორედ ამ გზებს გასცქერიან და ამ სახლებში მცხოვრებნი მოვალენი იყვნენ დაეცვათ თავიანთი მებატონის სასახლე ამ გზებიდან მომავალ მომხვდურთაგან.

ჩვენ მიერ აღწერილი სოფ. უშხვანარის სანცხვირიანი სახლის დანიშნულებაც ალბათ მაზერის დადეშქელიანების სასახლის მისადგომების დაცვა იყო.

ანალოგიური ვითარება შეინიშნება ფარში, სადაც სანცხვირიანი სახლები დადეშქელიანების მესამე შტოს საცხოვრებელი კომპლექსისაკენ მიმავალ გზას იცავდნენ.

სანცხვირიანი სახლების მასიური მშენებლობა ბალს ქვემო სვანეთში ახალ სოციალურ პირობებზე მიუთითებს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 45—46; ა. ქალდანი, სანცხეირიანი სახლი, „მაცნე", № 3, თბ., 1972, 95—112.
2. ზ. ნიჟარაძე, უშგულის აღწერა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ.; 1964, 47—71.
3. ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, 20—21; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 24, 44; М. Джандиери и Г. Лежава, Архитектура Сванети, 8—12; А. Робакидзе, Жилища и поселния горцев Грузии в прошлом и настоящем, 31; მისივე, к вопросу о формах поселения в Сванети, 52.
4. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. დასახ. ნაშრომი, 26.
5. იქვე, 24, 54.
6. Путешествие Г. И. Радде, ЗКОРГО, кн. VII, вып. I, Тиф., 1866, 147.
7. პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ., 1941, 132.
8. იქვე, 32; ევგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ. 1925, 62.
9. ზ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრომი, 100—101.
10. А. И. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушетий, КЭС. II, Тбилиси, 1968, 69.
11. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, 48.

გ. დავითაშვილი

# ქართული ხალხური საცხოვრებლის ინტერიერი

## (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი)

საცხოვრებელ ნაგებობათა ძირითად და განუყოფელ ნაწილს ინტერიერი წარმოადგენს. მისი ორგანიზაციის პრინციპების დასადგენად საჭიროა თვით ნაგებობათა კლასიფიცირება და ძირითადი ტიპების გამოყოფა. ერთსა და იმავე ტიპის საცხოვრებლებში რიგ შემთხვევებში გვხვდება სხვადასხვაგვარი გეგმარება შესაბამისი ინტერიერის ორგანიზაციით და პირიქით, სხვადასხვა ტიპის ნაგებობებს გააჩნიათ შიგა სივრცის მსგავსი ორგანიზაცია [1]. ტიპოლოგიის დადგენისას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს საცხოვრებლის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს, როგორიცაა გეგმარება, კონსტრუქციული სისტემა, მშენებლობის ტექნიკა, სახურავის ფორმა, სამშენებლო მასალა და სხვა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხშირად ეს ნიშნები ერთმანეთითაც არიან განპირობებული.

საცხოვრებლის ინტერიერის ორგანიზაცია ვარაუდობს ფუნქციონალურ კანონზომიერებათა მთელ კომპლექსს, რომელიც თავის მხრივ შეიცავს: ეკოლოგიურ თავისებურებებს, ე. ი. ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის შეგუების პირობებსა და საშუალებებს გარემოსთან; ნაგებობაში მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს (ამ შემთხვევაში საქონლის მოვლა, სურსათის შენახვა, საჭმლის მომზადება, ქსოვა და სხვა); ერგონომიკულ მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებს ადამიანი ამა თუ იმ საგანს და მთლიანად მის მიერ შექმნილ ხელოვნურ გარემოს; არქიტექტურული და საგნობრივი ენის სემანტიკას [2], რაც გულისხმობს იმ სიმბოლურ მნიშვნელობებს, რომელთაც ადამიანი წინასწარ ანიჭებდა საგნობრივ გარემოს და აგრეთვე იმ წარმოდგენებს, რომლებიც ამ საგნებთან დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ე. ი. ამოცანა მდგომარეობს არა მხოლოდ შემადგენელი ელემენტების დაფიქსირებაში, არამედ იმ ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რომელიც ხორციელდებოდა საგნების საშუალებით მოხმარების პროცესში.

ჩვენს მიერ განხილული ნაგებობათა ტიპები, რომელთაც ახასიათებს კლიმატის საერთო მონაცემები, მასალა თავისი შესატყვისი კონსტრუქციით წარმოგვიდგენენ ისეთ სურათსაც, როდესაც იქმნება მსგავსი ფორმები ურთიერთკავშირის გარეშე და ფაქტები იმისა, როდესაც ტიპები ხასიათდებიან ინდივიდუალობით გეოგრაფიული სიახლოვის შემთხვევაშიც.

გარემო რომელსაც ქმნიდა ადამიანი უნარჩუნებდა მას ფსიქო-ფიზიოლოგიურ მდგომარეობას და ვიზუალურად მუდმივ წონასწორობას. აქ იგულისხმება ის მომენტი, როდესაც ინტერიერში ხდებოდა ახალ გამომსახველობით საშუალებათა შეტანა, რაც იწვევდა არსებული საგნობრივი ენის სემანტიკის

გადარჩებას. ინტერიერში, მის გეგმარებით სტრუქტურაში სინტაგმების ცვალებადობა კი თავისთავად მოქმედებდა არსებულ წონასწორობაზე და უცვლიდა ჩვეულ წარმოდგენებს. ეს მომენტი, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი ხელს უწყობდა ახალი სტერეოტიპის წარმოქმნას.

ინტერიერების კლასიფიცირება ხდება შესაბამისი საცხოვრებლების მიხედვით. საცხოვრებელთა ძირითადი ტიპები კი მეტ-ნაკლებად დადგენილი და ფიქსირებულია.

საქართველოს მთიელთა საცხოვრებლის ინტერიერის ორგანიზაციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საცხოვრებელი ადგილისა და სამეურნეო ნაწილის (საძროხე, საქაცხვრე, გომური, ბოსელი, ბაშტე და სხვა) ურთიერთკავშირის ხასიათი, რომელიც სხვადასხვა ფორმითა და სახით არის წარმოდგენილი.

საცხოვრებელი ადგილისა და სამეურნეო ნაწილის დამოკიდებულების ორი ძირითადი სახესხვაობა არსებობს. ეს არის დიფერენცირებული და არადიფერენცირებული სივრცე, რაც შესაძლებელია უფრო დაკონკრეტებულ იქნეს: იზოლირება კაპიტალური კედლით, წნულით, ფიცრული ტიხრით და სრული იზოლაცია სხვადასხვა დონეზე.

საცხოვრებელ ნაგებობათა ინტერიერების კლასიფიცირების აღნიშნული პრინციპი ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მათი კარტოგრაფირებისათვის.

საქართველოს მთიელთა საცხოვრებლის შესახებ არსებობს მრავალი გამოკვლევა, რომლებშიც ნაწილობრივ არის განხილული შიგა სივრცის ორგანიზაციის ზოგიერთი მხარე. ცალკეული შრომები მიეძღვნა ინტერიერის შემადგენელ ელემენტებს.

ქართული ხალხური საცხოვრებლის ინტერიერი არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი. საცხოვრებლის ინტერიერის საკითხები არ განხილულა კომპლექსურად ეთნოგრაფების მიერ, არც არქიტექტორებს მიუქცევიათ ყურადღება ამ პრობლემისათვის.

საცხოვრებლის სხვადასხვა ფორმებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თავისი განვითარების პროცესში ინტერიერში ცვლილებები ხდება სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით. ყოველ შემდგომ პერიოდს შეაქვს საცხოვრებელში გარკვეული ცვლილებები, ის თავისებურებანი, რომლებიც განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით.

არქიტექტურული ანაზომების საფუძველზე და ეთნოგრაფიული მასალის გამოყენებით მოხდა მთელი რიგი კორექტივების შეტანა ინტერიერის ილუსტრირებაში უფრო სრულად წარმოდგენისათვის, ვინაიდან პირვანდელი სახით მასალა თითქმის არსად არ მოგვეპოვება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საცხოვრებელი ნაგებობანი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: პირველი არის საცხოვრებელი სახლი ბრტყელი, ბანური გადახურვით, ტერასულად განლაგებული ორ ან სამ სართულად (პირაქეთი ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი), ხოლო მეორე — კოშკური სახლი ანუ ციხე-სახლი (პირიქითი ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, თუშეთი და ნაწილობრივ ფშავი). ამ ტიპის საცხოვრებელს უფრო მკვეთრად აქვს გამოვლენილი თავდაცვითი ფუნქციები.

აღნიშნული ტიპების გარდა გარდამავალ ზოლში და აგრეთვე მთიულეთსა და ფშავში გვხვდება როგორც გვირგვინიანი, ასევე მიწურბანიანი სახლები.

მიუხედავად გადახურვის კონსტრუქციული მსგავსებისა, ერთი და იგივე სამშენებლო მასალისა და ხერხების გამოყენებისა, საცხოვრებელ ნაგებობებ-

ში შეიმჩნევა ფუნქციონალურ-სივრცობრივი ორგანიზაციის სხვადასხვა პრინციპები. არსებული ფორმების უძველეს ტიპებთან დამაკავშირებელი ხაზი და ტიპების ევოლუცია მოითხოვს დაზუსტებას.

საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ჩამოყალიბებული სტერეოტიპული გადაწყვეტა განპირობებული იყო ეკოლოგიურად [3]: „წინანდელი ხალხი შეგუებული იყო ძველ სახლს, ზაფხულში, სიგრილე იყო, ზამთარში თბილოდა. უკანა კედელი მიწაში ზის, იმიტომაც გრილა" — თავისებურად ხსნის მთხრობელი [4]. აქ მხედველობაში არის მიწურბანიანი სახლი ს. ციხისძირიდან.

საცხოვრებელში სამეურნეო და საოჯახო საქმიანობის გარკვევისათვის ინტერიერი მიზანშეწონილია დაიყოს, ან უფრო სწორად — გამოვლენილ იქნეს ფუნქციონალური ზონები: სამეურნეო, ძილის, საჭმლის დამზადებისა და მიღების, დასვენების, საოჯახო საქმიანობის, სტუმრების მიღების, ბავშვების ადგილსამყოფელი, კულტისთვის განკუთვნილი ადგილი და სხვა. ადამიანთა მოღვაწეობის მთელი კომპლექსი ზონების სახით გამოვლენილ იქნა სქემაზე, რომელსაც საფუძვლად დაედო ხევსურული კალოიანი სახლის ქვედა სართულის გეგმა.

„დასახლება ვარაუდობს ადამიანის საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობას" [5] — აღნიშნავს აკად. გ. ჩიტაია. თვით საცხოვრებელში ოჯახის ინტერიერთან კი კავშირი ოჯახური ყოფისა და სამეურნეო პროცესებისა თვალნათლივ არის წარმოდგენილი.

ინტერიერში ფუნქციონალური ზონების მკვეთრი საზღვრების დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს რამდენიმე პროცესს, ან მოქმედება ერთი ზონიდან გადადის მეორეში. ასეთი ზონების ერთიერთგადაკვეთა საცხოვრებელში ვლინდება, როგორც გეგმაში, ასევე ჭრილშიც კალოიანი სახლის მაგალითზე.

მთიელთა საცხოვრებლის განვითარება და დახვეწა დაკავშირებული იყო შრომის შემსუბუქებასთან, ამ შრომაზე დახარჯული დროის შემცირებასთან სივრცის მაქსიმალური განთავისუფლების გზით. ე. ი. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობის საგნებითა და აღჭურვილობით (კომბინირებული ავეჯი, ჩაშენებული კარადები, ნიშები, თაროები და სხვ.). მთიელთა საცხოვრებლის ინტერიერისათვის ძირითადად დამახასიათებელია სტაციონარული ავეჯი. მისი გადაადგილება თითქმის არ ხდება.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარშიც ავეჯის გადაადგილებისა და ტრანსფორმირების მხრივ ანალოგიური სურათია. აგრეთვე დიდი ყურადღება ექცევა ჭურჭელს და მის განაწილებას ინტერიერში [6] (ქართლის დარბაზი).

კედლის ნიშებში წალოები და განჯინები, რომლებიც კახეთში საჩიხიანი სახლის აუცილებელი ატრიბუტებია, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში თითქმის არ მოგვეპოვება თუ არ ჩავთვლით თუშეთის ავენიან სახლებს. ხოლო ჩრდილო კავკასიის საცხოვრებელი სახლების ინტერიერებში მსგავსი ელემენტები გვგვაჩნია [7].

ერთ გარკვეული ტიპის საცხოვრებელში, ცალკე აღებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში სრულიად ჩამოყალიბებული გეგმარებითი სტრუქტურაა და თუ ნაგებობებში ვხედავთ რაიმე განსხვავებას არა პრინციპიალურ სქემაში, არამედ მხოლოდ პარამეტრებში. პარამეტრული ცვლილებანი კი დაკავშირებულია ოჯახის დემოგრაფიულ შემადგენლობასთან.

სქემაზე ნაჩვენებია ინტერიერის ორგანიზაციული სტრუქტურა ფუნქციონალური ზონების ფიქსირებით. საცხოვრებელი ნაწილი იყოფა ორ ნაწილად, რასაც სქესობრივი დიფერენციაციის პრინციპი უდევს საფუძვლად. სა-

მამაცო და სადიაცო ადგილები, რომლებშიც შესაბამისად იყო განლაგებული ავეჯი და მათი ატრიბუტები განისაზღვრებოდა ყვერფ-კერანის მხარეებით. „სადიაცო კერა, სამამაცო კერა და უკენითა კერა", ასე უწოდებს ხევსური შესაბამის ნაწილებს [8], მთხრობელი კერას უწოდებს ქვას, რომელზედაც ჯდება ოჯახის წევრი.

სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპი კერასთან მკაცრად იყო დაცული მთიელებში. „კერის მარჯვენა (საკაცო) მხარეს მეორენაირად ერქვა საუფროსო" აღნიშნავს ვ. ითონიშვილი [9], ხევის მაგალითზე — „ხოლო კერის მარცხენა (სადედაკაცო) ნაწილს — სამუცროსო (საუმცროსო)", ან „კერის იმ მხარეს, სადაც მამაკაცისათვის განკუთვნილი სკამები იდგა — ხევში ერქვა საკაცო, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს — სადედაკაცო. საკაცო მხარეს დედაკაცების ყოფნა და მითუმეტეს მამაკაცთა სკამებზე მათი დაჯდომა სასტიკად იყო აკრძალული".

კერის მარჯვენა და მარცხენა მხარეების გარკვევა შესაძლებელია, ასკვნის ლ. ბედუკიძე [10], თუ კერასთან ზურგშექცევით დავდგებით. მარჯვენა მხარეზე, როგორც წესი საკაცო მერხი უნდა მდგარიყო, მარცხენაზე კი საქალო. კერის გამიჯნა საკაცო და საქალო მხარეებად გამოწვეული იყო შესაბამისად განაწილებული შინასაქმიანობით მამაკაცსა და ქალს შორის, რომლებსაც საცხოვრებელში თავთავიანთი ნაწილები განეკუთვნებოდათ".

კერა ოჯახის გამაერთიანებელია და საცხოვრებელი სახლის ინტერიერში ყოველთვის წამყვან ელემენტს წარმოადგენს. როგორც წესი, კერა ინტერიერში გამავალი პირობითი ღერძიდან ოდნავ გადაწეულია ისე, რომ საქალებო ნაწილს მეტი ადგილი უკავია. ეს გასაგებიც არის, ქალის საქმიანობა, დაკავშირებული მრავალრიცხოვან სამეურნეო პროცესებთან, გაცილებით მეტ ფართს მოითხოვს ინტერიერში.

ალ. ჭინჭარაულის [11] სამშენებლო ლექსიკაში აღნიშნული ფაქტი ასევეა ფიქსირებული „ყვერფ-კერა ჩვეულებრივ მარცხენა გვერდზეა სადიაცოსაკენ დიდი ადგილი რჩება თავისუფალი და იქ დგას კიდობანი". ე. ი. საქალებო და სამამაკაცო მხარეების განსაზღვრა დაკავებული ფართისა და შესაბამისი ატრიბუტების მიხედვით არ წარმოადგენს დიდ სირთულეს.

დასავლეთ საქართველოს მთაშიც მსგავსი სურათია. „სვანურ სახლში მკვეთრად იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან მამაკაცებისა და ქალების სამყოფი ადგილი" წერს მ. ჩართოლანი. სამამაკაცო მხარეს განლაგებული იყო ხელსაწყო და შრომითი იარაღები... ქალებისა და კაცების ასეთი განლაგება განსაკუთრებით მტკიცედ იყო დაცული წვეულების დროს [12]".

სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპი მაშინ იყო დაცული, როდესაც ოჯახის წევრები ერთად მოიყრიდნენ თავს — ამბობენ ხევსურეთში. ეს ხდებოდა „პურისჭამის დროს, ხინკლის კეთების დროს უფრო ზამთარში, როცა მთელი ოჯახი სახლში მოქუჩდებოდა. სტუმარი რო მოვიდოდეს, მამაკაცს სამამაკაცო სკამზე დასვამდეს, ქალს — სადიაცო კერაზე" — გადმოგვცემს მთხრობელი [13].

ხევში „სტუმრად მყოფი მამაკაცი უნდა დამჯდარიყო გრძელ საკაცო სკამზე, ხოლო ქალი მასპინძელ ქალებთან ერთად — დაბალ სამფეხა სკამზე ან ქუნთაზე (ბალიში)" [14].

საუფროსო სკამი მთიულურ კალოიან სახლში შუა ცეცხლის მარჯვენა მხარეს იდგა და მისი გადააადგილება არ შეიძლებოდა, რადგან მთიელთა წარმოდგენით „ოჯახის უფროსი თავის ადგილზე უნდა იჯდესო" [15]. ფორმითა

და კონსტრუქციით განსხვავებული სკამი, რომელიც მდიდარი გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული, მიუთითებდა მის სტაციონარულობაზე და განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ინტერიერში.

ინტერიერის ფუნქციონალური ორგანიზაცია მნიშვნელოვნად განპირობებული იყო აღნიშნული სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპით. ადამიანთა ყოველდღიური მოძრაობის გრაფიკი ინტერიერში, უფრო ზუსტად მისი აღდგენა საშუალებას იძლევა მოგვცეს შედარებით ნათელი სურათი ორგანიზაციისა სამეურნეო თუ სოციალური ასპექტების გათვალისწინებით.

ერთ-ერთ ძირითად ზონას ინტერიერის სტრუქტურაში წარმოადგენს ადგილი, სადაც ხდება საჭმლის დამზადება. სამზარეულო პირდაპირი მნიშვნელობით არ არსებობს, არის უბნები, სადაც მიმდინარეობს ყოველდღიური სამეურნეო სამუშაოები (ხარშვა, რეცხვა, გაშრობა და სხვ.) და აგრეთვე ადგილები აუცილებელი ჭურჭლისა, და ინვენტარის განლაგებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო სამუშაოთა ესა თუ ის ფორმა არ შემოიფარგლება იმ ზონის საზღვრებით, რომლებშიც მიმდინარეობს ფუნქციონალური პროცესი.

სამზარეულო ზონა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ზონას, განლაგებულია ყველა იმ მომენტის გათვალისწინებით, რომელიც ხელს უწყობს მის კავშირს სხვა ზონებთან. ამდენად, ფუნქციონალური ორგანიზაციისას ხელმძღვანელობდნენ ადგილების ისეთი თავისებურებებითაც, როგორიცაა ტემპერატურული რეჟიმი, განათებულობა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ყოველივე ეს ვერ აკმაყოფილებდა ერგონომიკულ მოთხოვნილებებს ჩვენი დღევანდელი წარმოდგენებით. მოხერხებული საგნობრივ-ნაკეთობრივი კომპლექსი ხელს უწყობდა სამეურნეო პროცესებს არა მარტო სივრცის გამოყენების თვალსაზრისით, არამედ დინამიკაში და დროშიც.

კერასთან ოჯახის წევრების განაწილებას, როგორც იყო აღნიშნული, გააჩნდა გარკვეული პრინციპი. ყველა ის წესი, თუ რიტუალი, რომელიც სრულდებოდა ამ დროს, მიზნად ისახავდა რა სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის აუცილებლობას, ამავე დროს წარმოადგენს მოძრაობათა მაქსიმალური ეკონომიისა და ორგანიზებულობის თვალსაჩინო ნიმუშს, ხალხური გამოცდილების ნაყოფს.

კერა, რომელიც ინტერიერის გეგმარებით სტრუქტურაში წამყვან როლს თამაშობს და მისი მდებარეობა განსაზღვრულია კონსტრუქციული, ტექნოლოგიური, გათბობისა და სხვა მოსაზრებებით, წარმოადგენს ერთგვარ დომინანტს, რომელსაც ექვემდებარება ყველა დანარჩენი ფუნქციონალური ზონა. ვ. ითონიშვილი [16] წერს: „კერა ერთდროულად ასრულებდა პურის ცხობის ხორცის შეწვის, საჭმლის მოხარშვის, გათბობისა და ნაწილობრივ განათების ფუნქციას“. ე. ი. ფუნქციონალური ზონების გადაკვეთის ყველაზე ხშირი ურთიერთშეხების ადგილიც კერა უნდა იყოს.

საცხოვრებელ ინტერიერში ყოველი ფუნქციონალური ზონა ხასიათდება და შემოიფარგლება თავისი გარკვეული შესაძლებლობებით. ეს ზონები ძირითადად განისაზღვრება თავისი სპეციალური მახასიათებლებით ან ინტერიერის ისეთი ელემენტებით, რომლებიც სიმბოლურად ასახავენ შინაარსს.

ე. ი. საცხოვრებლის ინტერიერი წარმოადგენს ერთ მთლიან სტრუქტურას, რომელშიც გამოკვეთილია კონკრეტული მოქმედების უბნები. ამ სტრუქტურა-მონობლოკში კი ყოველი უბანი არის კონკრეტული მოქმედების გარკვეული საფეხური.

ხევსურული „კალოიანი სახლი“ გეგმარებითი სტრუქტურით წარმოადგენს მშვენიერ ნიმუშს ფუნქციონალური ზონების ურთიერთკავშირისა. ეს გამოვლენილია როგორც გეგმაში, ასევე ჭრილში სხვადასხვა დონეზე. ამ სახლის ფუნქციონალურ ორგანიზაციაში სეზონურობას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

პირველ სართულზეა განლაგებული ძირითადი საცხოვრებელი ნაწილი შ ი ნ ა ანუ ს ა მ ყ ო ფ ი. კ ე რ ა ახდენს დიფერენცირებას სამამაკაცო და საქალებო ნაწილებად. ქალები და ბავშვები აქ იძინებენ, ხოლო მამაკაცთა დასაძინებელი ადგილი — ჭერხოა (მეორე სართული). ასეთი დაყოფა ხდება ძირითადად ზამთრის პირობებში, „ქალები წუხრს ჩამოყრიდნენ, აწმენდნენ სახლს და ასე ყოველ დილას ყოველ საღამოს“ ამბობს მთხრობელი. ზაფხულობით კი ქალები და ბავშვებიც ჭერხოში იძინებდნენ.

აკად. გ. ჩიტაია [17] შემდეგნაირად აგვიწერს ხევსურული „კალოიანი სახლის“ ნაწილებს. პირველი თვალი შედგება: 1. შინა მოიცავს „ყვერფსა“, „დომელსა“, „ნაწოლსა“, „სახბორესა“, „სახოსტაგესა“ და სხვ. 2. „საძროხე“, 3. „სენა“, 4. „ეზო“ 5. „საცხენე“ და 6. „ქარიპანი“. სახლის მეორე თვალი: 1. “წინგარდა“, 2. „ჭერხოს ქარიპანი“, 3. „სალოგინე“, 4. „ჭერხო“. მესამე თვალს აქვს „მაღალ ბანი“ და „დაფარებული კალო“.

ძირითად საცხოვრებელ ნაწილს ინტერიერში არც თუ ისეთი დიდი ფართი უჭირავს. დაახლოებით სამყოფს აქვს რვა ა დ ლ ი სიგანე და ათი ადლი სიგრძე. სამყოფის უკან გავლებული აქვს დაბალი ყორე, რომელსაც ა რ დ ა ბ ა გ ა ეწოდება. არდაბაგა გამოყოფს სამყოფს ს ა ხ ო ს ტ ა გ ე-საგან. სამყოფს წინა ნაწილში აქვს ერთი საკვამი, რომელშიაც გადის ბოლი და აგრეთვე ერთგვარი სინათლის წყაროა. ამ ნაწილში სათავსის სიმაღლე გაცილებით მეტია. ხევსურული სახლის ინტერიერის ასეთ თავისებურებას აკად. გ. ჩიტაია „თავგაკრულობას“ უწოდებს. შიგა სივრცის ასეთი გადაწყვეტა განასხვავებს ხევსურულ კალოიან სახლს მეზობელი რეგიონების საცხოვრებელთა ინტერიერებისაგან.

საკვამის გაბარიტებია 1 ადლი $\times$ 0,5 ადლი. შუაცეცხლი საკვამის პირდაპირ არის მოწყობილი. „ყვერფნი ამოთხრილნი ქაზდარში, შიგ ჩასხმულები თხელები სწორებ სიპები, ოთხკუთხად დაწყობილნი კუთხის ქვის კერაები. უკენას კერასთან ეგზებიან ცეცხლნი. საკვამის ძირში ყორესთანამდიან კერასთანათ გაწირული ორ ადლამდე ალაგი, იმის სანიგუზეი ჰქვიანა. იქ ცეცხლზე ნიგუზნი ცეცხლნ ეგზებიან. სანიგუზეს კიდევ ჰქვიან ყურე. სადიაცოს სხდებიან დიაცები. სამყოფს ყორეში ზოგ-ზოგან დაწირულები ალაგები, იმას შუკუნი ჰქვიან. შუკუნში ზოგ რა ჩაისხმისა ზოგ რა. სამყოფო იყოფის სამად: სადიაცო, სამამაცო და ყურე“ [18].

მთიულური „კალოიანი სახლი“, რომელიც სახურავის ფორმითა და გადახურვის კონსტრუქციული სისტემით წააგავს პირაქეთი ხევსურეთის საცხოვრებელს, სრულიად განსხვავებული ფუნქციონალური ზონირების სურათს იძლევა. აქ საცხოვრებლის ინტერიერში ფუნქციონალური ზონირება ერთ ჰორიზონტალურ პროექციაშია წარმოდგენილი. პირველი სართულის ამ ძირითად საცხოვრებელ ნაწილს „ძირა სახლი“ ანუ „საჯალაბო სახლი“ ეწოდება. ხევსურულისაგან განსხვავებით მთიულური კალოიანი სახლი ძირითადად ორსართულიანია, სადაც კალო მეორე სართულზეა განლაგებული. ამ ტიპის საცხოვრებელი ნაწილის ინტერიერის ფუნქციონალური ზონირება უახლოვდება გარდამავალი ზოლის მიწურბანიანი სახლის ინტერიერის ზონირებას.

საცხოვრებლის ინტერიერის ფუნქციონალური ზონირების გარდა მნიშვნელოვანი მომენტია შიგა კედლების ფუნქციონალური დაყოფა, სადაც გარკვეული პრინციპით ნაწილდებოდა საგნები და საყოფაცხოვრებო ინვენტარი. თითოეული საგანი ქმნიდა თავის გარშემო მომხმარების თავისებურ ზონას. აქაც ნათლად ვლინდება ემპირიული „ერგონომიკა", მოთხოვნილებები რომელთაც უყენებდა ადამიანი საგნობრივ გარემოს. ამდენად, საგნობრივი კომპლექსი მხოლოდ ფუნქციონალურ პროცესებთან კავშირში შეიძლება იქნეს განხილული.

კოშკურა საცხოვრებელთა ჯგუფს მიეკუთვნება პირიქითი ხევსურეთის კომპლექსები. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელია შატილის კომპლექსი. ეს ნაგებობები ძირითადად სამ-ოთხ ან მეტსართულიანია. ქვედა სართულები გამოყენებულია მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისათვის. ხოლო მესამე და მეოთხე საცხოვრებელია. ისევე, როგორც პირაქეთ ხევსურეთის ტერასულ „კალოიან სახლში", სეზონურობას აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს საცხოვრებლის ფუნქციონალურ ორგანიზაციაში.

შინა//სამყოფი ოჯახის ძირითადი საზამთრო საცხოვრებელი მესამე სართულზეა. ასეთი განლაგების მთავარი მიზეზი უნდა იყოს საქონელთან უშუალო კავშირი შიგა კიბის საშუალებით. სითბოს შენარჩუნება ე. ი. აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმის დაცვა, ეკოლოგიური მოთხოვნილებაა. ზამთარში აქ ნალექების დიდი რაოდენობაა, და ამ თვალსაზრისით ზედა სართული კიდევ ერთ ხელოვნურ ბარიერს წარმოადგენს.

სხვა კოშკურა ნაგებობებისაგან განსხვავებით აღნიშნული ტიპის სახლებში შედარებით დიდი ფართია, ამიტომაც გადახურვისათვის ინტერიერში გამოიყენება *კულა* (ქვის სვეტი), რომელსაც ეყრდნობა ძირითადი კონსტრუქცია. კულა აგრეთვე გარკვეულ როლს ასრულებს სივრცის ორგანიზაციაში. კერა მარჯვენა კუთხეშია, მის თავზე *ისკორტაა* მოწყობილი. მამაკაცთა ადგილს ნაკლები ადგილი უჭირავს, მათი სკამი კედელთანა დგას. მოპირდაპირე, საქალებო მხარეს დგას კომბინირებული ავეჯის ნიმუში, რომელშიც შეთავსებულია კიდობანი და „სადედროვნო" ე. ი. აქ შერწყმულია სამეურნეო და დასასვენებელი ფუნქციები. საქალებო ნაწილს დიდი ფართი უჭირავს, კიდობნის უკან კიბეა, რომელიც უკავშირდება ზედა სართულს — *ზუთასთვალს*. კიბესთან სპეციალურადაა დატანებული შუკუმი, რომლითაც იგი ნათდება.

საცხოვრებელი სახლის ასეთი ორგანიზაცია შატილისათვის დამახასიათებელია, ვინაიდან მსგავს სქემას აანალიზებენ ავტორები მ. ჯანდიერი და გ. ლეჟავა [19]. განსხვავება ძალზე უმნიშვნელოა მეოთხე სართულზე ასასვლელი კიბე შესასვლელ კარებთანაა მარცხენა მხარეს.

შატილის კომპლექსში გვხვდება სახლები, რომელთა გეგმა სიმეტრიულად გადაბრუნებულია. ხშირ შემთხვევაში ამას განაპირობებს შესასვლელი კარის მდებარეობა და მისი ორიენტირება კი ხდებოდა რელიეფის გამოყენებისა და თავდაცვის მიზნით. სვანეთშიც არსებობს ანალოგიური მომენტები ერთი და იგივე ტიპის გეგმარებით სტრუქტურაში. მ. ჩართოლანის მოსაზრებით *ლამგრსვენ ქორ* (სამარჯვე სახლი) და *ლამგრთენ ქორ* (სამარცხენე სახლი) ამგვარ გეგმარებით ვარიანტებს საზღვრავს ყველაფერ შიგნითა მხრის (*სგაყველფ*) მდებარეობა კერის მიმართ. ეს შიგნითა მხარე საქალებოს წარმოადგენს. „ქალების სამყოფი რომ განსაზღვრავს მაჩუბის

ტიპს, ამაში უცნაური არაფერია, თუ მოვიგონებთ, რომ ქალთან არის დაკავშირებული ოჯახის საშინაო მეურნეობა მთლიანად" [20].

კოშკურა ნაგებობათა ჯგუფს მიეკუთვნება თუშეთის „ციხე სახლი", რომელშიც შერწყმულია საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციები. ძირითადად იგი სამ-ოთხ სართულიანია, თითოეულ სართულს გარკვეული დანიშნულება აქვს. პირველი სართული ბ ა შ ტ ე ა წარმოადგენს საქონლის საზამთრო ადგილსამყოფელს. მისი განათება მხოლოდ შესასვლელი კარის ღიობიდან ხერხდება. ე რ დ ო ა-ს საშუალებით იგი უკავშირდება მეორე სართულს, რომელსაც შ უ ა ა ეწოდება. ეს ოჯახის ძირითადი, საზამთრო საცხოვრებელია, სადაც კერაა გამართული. ამ სათავსს ორი მცირე ზომის (დაახ. 30 სმ×25 სმ) შუკუმი აქვს. ზედა სართულს ეწოდება ჰ ე რ ხ ო ა, საშინაო სახლი, საქალაბო, საზაფხულო საცხოვრებელი და ამავე დროს პროდუქტის შესანახი. კავშირი მეორე და მესამე სართულს შორის მყარდება ე რ დ ო ა-ს საშუალებით.

როდესაც სახლის სართულიანობა სამზე მეტია, მაშინ მესამე სართულს ზ ე დ ა შ უ ა ა-ს უწოდებენ და მისი გეგმარებითი სტრუქტურა ხშირად იმეორებს ქვედა სართულის სტრუქტურას.

საცხოვრებლის ინტერიერის შესწავლის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია შუაა-ს ინტერიერი, ვინაიდან აქ არის კერა და ძირითადი საყოფაცხოვრებო პროცესები ამ სივრცეში მიმდინარეობს.

თუშური ციხე-სახლის ორგანიზაციაში, სხვა ტიპის ნაგებობათა მსგავსად სეზონურობას და ფუნქციონალურ მობილურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საცხოვრებელ ნაწილში დაცულია სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპი. რაც გამომდინარეობს თუნდაც კერის მხარეების აღნიშვნით ს ა მ ა ჯ ც ო კ ე რ ა და ს ა დ ი ა ჯ ც ო კ ე რ ა. საქალებო ნაწილი აქაც გაცილებით მეტი ფართისაა. მამაკაცებისათვის „გრძელი სკამის" მსგავსად კედელთან დგას მ ე ც ი. კერა განლაგებულია შესასვლელთან მარცხენა მხარეს. ამის მთავარი მიზეზია ფართის რაციონალური გამოყენება (საჭმლის დამზადება, მიღება, დასვენება და სხვ.).

როგორც თავდაპირველადვე იყო აღნიშნული, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელია ორი ძირითადი ტიპი საცხოვრებლისა. ეს არის კოშკურა ნაგებობათა დიდი ჯგუფი თავისი ქვეტიპებით და აგრეთვე რამდენიმე სახეობის ტერასული საცხოვრებელი.

ორი განსხვავებული ტიპის ნაგებობა ძირითადად გარკვეული ლოკალური რეგიონებისათვისაა დამახასიათებელი, რაც თავის მხრივ შეპირობებულია მეურნეობრივი თავისებურებებით, რაზედაც თავის დროზე გაამახვილა ყურადღება აკად. გ. ჩიტაიამ ხევსურული კალოიანი სახლის მაგალითზე. მთიულეთ-გუდამაყარსა და ხევში გვაქვს ამ ორი ტიპის თანადროული არსებობის მაგალითები.

მ. ჯანდიერი და გ. ლეჟავა [21] ნაშრომში „საქართველოს მთის რაიონების არქიტექტურა" იხილავენ ხევსურეთის საცხოვრებელ ნაგებობებს და აფიქსირებენ რამდენიმე ტიპს, რომლებსაც ანსხვავებენ გეგმარების ზოგიერთი თავისებურებების საფუძველზე. ნაწილი ამ ნაგებობებისა წარმოადგენს ტრადიციული კალოიანი სახლის გადაკეთების შედეგს, რაც თვალნათლივ აქვს წარმოდგენილი თ. ოჩიაურს [22] სპეციალურ გამოკვლევაში. ამდენად, ყველა ამ ნაგებობის ცალკე ტიპად მოხსენიება არ იქნებოდა მართებული.

არქიტექტორების მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას აზრით ტერასული ტიპის

სახლმა შეცვალა ციხე-სახლი და, ასე ვთქვათ, მისი განვითარების შედეგია. ეს მოსაზრება მეტ დასაბუთებას უნდა მოითხოვდეს. ტერასულ ნაგებობათა ტიპს კალოიან სახლს მართალია, არ გააჩნია ისეთი თავდაცვითი ატრიბუტები, როგორც ციხე-სახლს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია თვით სოფლის მდებარეობა, მისი განლაგება შედარებით დამრეც რელიეფზე. საცხოვრებელი სახლის — "დაბლაშინა" მხოლოდ — „ნაწვლით" არის გამოყოფილი საქონლისაგან, ადამიანი და საქონელი ერთ სივრცეში, ერთ დონეზე არის განლაგებული. ეს კი უკვე თავისთავად საცხოვრებლის გაცილებით ადრინდელ ფორმაზე მეტყველებს. კალოიან სახლში საყოფაცხოვრებო პროცესის ისეთი ორგანიზაციაა, რომელშიც სრულყოფილადაა შერწყმული ყოფა და მეურნეობა.

კოშკურა ნაგებობათა კომპლექსები განლაგებულია ძირითადად ნაკლებად დამრეც რელიეფზე ან ამაღლებულ, შედარებით ვაკე ადგილებზე. ასეთი დასახლებებისათვის დამახასიათებელია შეჯგუფებული ფორმა, ვიზუალურად შეკრული კომპოზიცია და ამით კიდევ უფრო ვლინდება მათი თავდაცვითი ფუნქციები (შატილი, მუცო, არდოტი, ხახაბო).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ტერასულ ნაგებობათა გავრცელება შემოიფარგლება რამდენიმე რეგიონით, როდესაც კოშკურა საცხოვრებელი რიგი რეგიონებისათვის ძირითად საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენდა. ამ ორი ტიპის საცხოვრებლის რაოდენობრივი მეტნაკლებობაც არ უნდა წარმოადგენდეს არგუმენტს იმისა, რომ კალოიანი სახლი არის ციხე-სახლის განვითარების შედეგი.

მთასა და ბარს შორის შუა ანუ გარდამავალი ზოლისათვის საცხოვრებლის გავრცელებულ ტიპებს წარმოადგენს მიწურბანიანი და მარტივგვირგვინიანი ერთსართულიანი სახლები. მთხრობელთა გადმოცემით, ეს ნაგებობანი გავრცელებული იყო როგორც მთიულეთის არაგვის ხეობის მიმართულებით, ასევე ფშავ-ხევსურეთის არაგვისა და ხორხის ხეობაში.

მიწურბანიანი საცხოვრებელი, ბრტყელი მიწური გადახურვით საცხოვრებლის უძველეს ფორმას წარმოადგენს. ამ სახლში, ამბობს მთხრობელი", „საქონელი შიგ ჰყავდათ, ლაძტით იყო გაღობილი" [22]. კედლები მშრალი ყორით იყო ამოყვანილი. იგივე საცხოვრებლის ტიპს უნდა მიეკუთვნებოდეს ფშაეური სახლგომური, რომელიც ერთსართულიანია (არსებობს ორსართულიანი სახლგომურიც — გ. დ.), და მთიულური სახლბოსელი, რომელიც აღწერილი აქვს მ. ჩართოლანს. სახლბოსელი ერთსართულიანი ნაგებობაა, რომლის ერთიანი სახურავის ქვეშ მოთავსებულია საცხოვრებელი ბინა „სახლი", ბოსელი ანუ საბროხე და კალო. საცხოვრებელი ბინა და ბოსელი სახლის ოთხ კედელს შორის ერთად არის მოთავსებული. ზოგიერთ სახლში ისინი ერთმანეთისაგან ლასტითაა გამოყოფილი, მაგრამ ეს უკანასკნელი ახლო წარსულში მომხდარი ფაქტია. ადრე ადამიანის სამყოფო და საქონლის სადგომი გაუტიხრავ ფართობზე სახლის ორ მხარეს, ფანჯარასთან, ხოლო მეორე მხარეს, გრძელი კედლის გასწვრივ, საქონელიება ბაგაზე.

მ. ჩართოლანი [23] აღნიშნავს, რომ „საცხოვრებელი (სახლბოსელი) გარდამავალი საფეხურია თანამედროვე ტიპის სახლებისაკენ. იგი მთის პირობებთანაა შეგუებული და მიღებულია ძველი და ახალი საცხოვრებლის ელემენტების ერთმანეთთან შერწყმის გზით თანამედროვე პირობებში მეორეხარისხოვანი ოჯახის მოთხოვნილებათა შესაბამისად". მართლაც ამ საცხოვრებელმა ყველაზე ნაკლები სახეცვლილება და რეკონსტრუირება განიცადა სხვა მთურ

ნაგებობებთან შედარებით. ცვლილებები ხდებოდა ინტერიერში, თვით შენობა კი მოცულობით ინარჩუნებდა თავის პირვანდელ ფორმას.

თანდათანობით მოხდა მიწურბანიანი სახლების დაკანონებული შიგა სივრცის ზონირების რღვევა, ინტერიერში გაჩნდა ტიხრები. პირველ რიგში მოხდა საქონლის სრული იზოლაცია საცხოვრებელი ნაწილისაგან, შემდეგ კი თვით საცხოვრებელ ნაწილში მოხდა ცვლილებები. შუაცეცხლმა გადაინაცვლა კედლისაკენ და შემდგომში გარდაიქმნა ბუხრად. აგრეთვე მოისპო მკვეთრად გამოხატული საქალებო და სამამაკაცო მხარეების დიფერენცირება.

აღნიშნულ რეგიონში მიწურბანიანი სახლების პარალელურად გავრცელებული იყო მარტივგვირგვინიანი სახლები. ეს ნაგებობანი, რომელთა გადახურვა ჩვეულებრივ მიწურბანიანთან შედარებით რთულ კონსტრუქციულ თავისებურებებთან იყო დაკავშირებული, სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებულ ნაწილს უნდა ჰქონოდა. „შეძლებულ ხალხს ჰქონდა გვირგვინიანი" — ამბობს მთხრობელი. თავისი ფორმით ეს გადახურვა იმეორებს ქართლის დარბაზების გვირგვინოვან პრინციპს, მაგრამ შედარებით მარტივად არის გამოხატული. „ეს იყო შუაში აბურთული სახლი" — თავისებურად ხსნის მთხრობელი (ქავთარაძე გიორგი სვიმონის ძე, 77 წ. თეალივი) [24].

მარტივგვირგვინიანი სახლის ერთ-ერთი სახეობა ფშავური „მოქცეული სახლი". მისი მოცულობა არ გამოირჩევა დიდი პარამეტრებით, ჩვენ მიერ აზომილი სახლი (ს. გოგოლაურთა) ფართით არ აღემატება 27 $მ^2$. მისი ინტერიერის ფუნქციონალური ორგანიზაცია ემყარება იგივე პრინციპებს, რაც მიწურბანიანისა.

მთიულეთში არსებული მარტივგვირგვინიანი სახლების ნიმუშებიც მეტყველებს მთასა და ბარს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირზე, რაზედაც მთელ რიგ ავტორებს აქვთ გამოთქმული მსგავსი მოსაზრება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საცხოვრებლის ინტერიერის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს საცხოვრებელი ადგილისა და სამეურნეო ნაწილის ურთიერთკავშირის ხასიათი, ეს არის არადიფერენცირებული და დიფერენცირებული სივრცე, რომელიც იყოფა სხვადასხვა საშუალებით: წნულით, კაპიტალური ან მარტივი ტიხრით და სრული იზოლაციით სხვადასხვა დონეზე.

საცხოვრებელი ადგილისა და სამეურნეო ნაწილის დამოკიდებულების მიხედვით შესაძლებელია საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიცირება და გავრცელების არეალების დადგენა სიხშირის მიხედვით. მეურნეობის ხასიათის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოგვიდგება საცხოვრებლის ინტერიერის ორგანიზაციის რამდენიმე სურათი პერიოდიზაციის მიხედვით. მიწურბანიან და ტერასულ ნაგებობებში თუ იცვლება საცხოვრებელი და სამეურნეო ნაწილების დამოკიდებულების ხასიათი, კოშკურა ნაგებობებში ეს ფორმა ინარჩუნებს პირველად სახეს. მხედველობაში არის საცხოვრებელ ნაგებობათა ძირითადი ტიპები, რომლებმაც შეინარჩუნეს პირვანდელი სახე.

არსებული, ჩამოყალიბებული საცხოვრებელი ნაგებობების სტერეოტიპების სახეცვლილება. პირველ რიგში მოხდა ინტერიერის მოცულობით-სივრცობრივ სტრუქტურაში ახალი ელემენტების შეტანით, მასალის დამუშავების ახალი საშუალებებით და სხვ., შემდგომში კი უკვე თვით ნაგებობის დაშლა-გადაკეთებით, სათავსების დამატებით, რომლებშიც შეიმჩნევა საერთო ნიშნები მთიანეთის სხვადასხვა რეგიონებში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Кобычев В. П. Робакидзе А. И. Основные типологии и картографирования жилища народов Кавказа. СЭ, М., 1967, 2, с. 33.

2. Маркузон В. О., О закономерностях развития и семантике архитектурного языка, Архитектура СССР. М., 1970, I, с. 46.

3. Леру Р., Экология человека, М., Стройиздат, 1970, с. 122.

4. გ. დავითაშვილი, საექსპედიციო დღიურები, ქინვალი — 73 (ხელნაწერი). ისტ. ინსტ. საქ. ეთნ. განყ. არქივი.

5. გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, თბ., 1953, ტ. 6, გ. 207.

6. Гараканидзе М. К., Грузинское деревянное зодчество, Тбилиси, Сабчота Сакартвело (Советская Грузия), 1959, с. 87.

7. Любимова Г. Н., Хан-Магомедов С. О. Народная архитектура Южного Дагестана, М., Госстройиздат, 1956, с. 8.

8. გ. დავითაშვილი, საექსპედიციო დღიურები, ხევსურეთი — 68 (ხელნაწერი). ისტ. ინსტ. საქ. ეთნ. განყ. არქივი.

9. ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, თბ., საბჭოთა საქართველო, 1967, გვ. 52.

10. ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., მეცნიერება, 1973, გვ. 113.

11. ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., მეცნიერება, 1965,

12. მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., მეცნიერება, 1961, გვ. 127.

13. გ. დავითაშვილი, დასახ. ნაშრომი.

14. ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

15. გ. გეგეჭკორი, მთიულური სახლის ზოგიერთი თავისებურებანი, საისტ. კრებ., 1971, გვ. 289.

16. ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

17. გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე“. ანალები, თბ., 1947, ტ. I, გვ. 149.

18. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, თბ., მეცნიერება, 1976, გვ. 186.

19. Джандиери М. И., Лежава Г. И., Архитектура горных районов Грузии, М., Гос. Арх. Изд-во Акад. Арх. СССР, 1940, с. 11—12.

20. მ. ჩართოლანი, კერა სვანურ სახლში, საქ. მუზეუმის მოამბე, თბ., 1939, ტ. XX.

21. Джандиери М. И. Лежава Г. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

22. თ. ოჩიაური, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი ხევსურეთში, მსე, VII, გვ. 31.

23. გ. დავითაშვილი, საექსპედიციო დღიურები. ქინვალი — 73 (ხელნაწერი). ისტ. ინსტ. საქ. ეთნ. განყ. არქივი.

24. მ. ჩართოლანი, საცხოვრებელი ნაგებობანი მთიულეთში, საქ. მუზეუმის მოამბე, თბ., 1968, ტ. XXXV., გვ. 273—274.

25. გ. დავითაშვილი, დასახ. ნაშრომი.

# ГОРНЫЕ ЖИЛИЩА ГРУЗИИ

## (Материалы)


### Резюме

Предлагаемый выпуск историко-этнографического атласа (ИЭА) Грузии посвящен горногрузинским жилищам. Он состоит из введения и статей, в которых рассматриваются принципы классификации грузинского жилища и его отдельные виды.

В введении определены цели и задачи ИЭА Грузии, которые предполагают выявление этноспецифики важнейших элементов бытовой культуры грузинского народа и ареал их распространения в различных хронологических срезах.

Историко-этнографический атлас Грузии носит региональный характер — он является частью Европейского ИЭА и в силу этого разрабатывается по международной программе. Структура и содержание, заранее обусловленные вышеуказанной программой, являются общими для всех национальных Атласов.

Жилище народов Европы, включая сюда и Кавказ, является одной из основных тем Атласа.

Данный выпуск ИЭА Грузии не претендует на полноту публикации — он содержит главным образом материалы к Атласу, завершение которого требует еще длительной работы и предварительного решения ряда методических и практических вопросов. В нем представлены материалы лишь относительно горногрузинского жилища. Другим видам жилых комплексов будут посвящены последующие разделы.

Соответственно основной задаче ИЭА в первом выпуске, посвященном жилищу, освещен вопрос типологической классификации жилого комплекса.

В первой статье данного выпуска критически рассмотрены существующие классификации жилища, указано на особые требования, предъявляемые к типологии жилища в связи с интересами Атласа, намечены принципы типологии в свете некоторых положений теории культурно-исторической и хозяйственно-культурной типологии, переосмысленных применительно к историко-географическим и социально-культурным особенностям Грузии и Кавказа. Предложена трехчленная классификация первого порядка, в которой выделены горногрузинский, западногрузинский равнинный и восточногрузинский равнинный жилые комплексы, каждый из которых представлен, исходя из локальных особенностей второго порядка, рядом подвидов.

В частности горногрузинское жилище предполагает наличие таких подвидов как: дом-крепость (жилая башня), жилой комплекс с оборонительной башней и оградительной стеной, жилой комплекс с сванири и жилой комплекс с санцхвири. Естественно, имеются и переходные формы.

Основные виды и подвиды горногрузинского жилого комплекса рассмотрены в отдельных статьях. Специальная статья посвящена интерьеру горногрузинского жилого комплекса.

В статье «Дом-крепость» рассмотрены особенности строительной техники, организации строительных работ и формы данного вида жилого комплекса; выявлено функциональное назначение помещений жилого комплекса, показан ареал его распространения, а также частота бытования.

В следующей статье «Жилой комплекс с оборонительной башней» дано подробное описание более сложного по структуре и содержанию сооружения, в котором жилые, хозяйственные и оборонительные функции представлены в отличном от жилой башни сочетании, указывающем на более высокий уровень хозяйственно-культурного и социального развития. Этот жилой комплекс бытовал в горной Грузии в двух различных вариантах. Показаны ареал и частота распространения каждого из них, причины, обусловившие образование двух вышеуказанных видов.

В статье «Жилые комплексы с оградительной стеной» выявлены тенденции развития ранних форм жилищ в более сложные оборонительные комплексы, отражающие значительный шаг в процессе углубления социальной дифференциации и накладывающие свой отпечаток на форму поселения.

В статье «Жилой комплекс с сванири» представлен необычный для Кавказа вид жилого сооружения, который по внешнему виду аналогизируется с оборонительной башней, но по высоте значительно ниже типичных сванских башен. Он был пристроен к основному жилищу и, видимо, в какой-то степени выражал социальный престиж обладателя этой своеобразной формы жилого комплексса.

В следующей статье, посвященной жилому комплексу с санцхвири, выявлен уникальный для Грузии, до сих пор неизвестный элемент жилого комплекса — особая форма амбразуры в виде фонаря-пристройки с наружной стороны верхнего этажа с бойницами. Этот жилой комплекс имел ограниченный ареал распространения.

Том завершается статьей, посвященной интерьеру горногрузинского жилого комплекса; в ней показаны особенности размещения семейного инвентаря и порядок освоения жилых и хозяйственных помещений.

Выпуск снабжен иллюстрациями и картограммами.

## შემოკლებათა განმარტება

ЗКОРГО — Записки Кавказского отдела Русского географического Общества.
КК — Кавказский календарь.
КСИЭ — Краткие сообщения института этнографии им. Миклухо-Маклая.
კეკ — კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული
МАК — Материалы по археологии Кавказа.
მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.
ССК — Сборник сведений о Кавказе.

## ილუსტრაციების აღწერილობა

### გ. გეგეჭკორი

#### ციხე-სახლები საქართველოში

1. თუშური ციხე
2. ფშაური სახლი
3. მოხეური ქვითკირი
4. ხევსურული ქვითკირი.
5. მთიულური ქვითკირი
6. რაჭული დუროიანი სახლი
7. სვანური ლაზგა მურყვამ
8. თუშური 7 სართულიანი ციხე
9. ხევსურული ციხე-სახლის ბანი

9ა: რაჭული დუროიანი სახლის სხვენის ინტერიერი
9ბ: წოვა-თუშური ციხე-სახლი
9გ სოფ. შატილი, ხევსურეთი
10. სათოფურები და ჩარდახი. თუშეთი, რაჭა, ფშავი.
11. დურო-ჩარდახი, რაჭა.
11ა. სათოფური — თუშეთი, ფშავი
11ბ. სათოფური — თუშეთი
12. სოფ. მუცოს ციხე-სახლები
13. სოფ. ღები. ჩარდახი
14. სოფ. ღები. ნიშა ბუხრის თავზე
14ა. სოფ. შატილი. ნიშები კედელში
15. მთიულეთი. კულა
15ა. ხევი. კულა
16. მთიულეთი. — სოფ. არახვეთი. ქვითკირის პირველი სართულის გეგმა. ფასადი.
17. თუშეთი. სოფ. ხახაბო. პირველი სართულის ინტერიერი
18. რაჭა. სოფ. ღები. დუროიანი სახლის ჭრილი, ფასადი. IV სართულის გეგმა.
19. ხევსურეთი. სოფ. ხახმატი. გადახურვის სისტემა
20. სვანეთი. სართულშუა გადახურვა
21. თუშეთი. სოფ. ომალო. სახლის გადახურვა
22. თუშეთი. სახლის გადახურვის სისტემა.
23. თუშეთი. სოფ. ფარსმა. ექვსსართულიანი ციხე-სახლი (კუთხის ქვები)
24. თუშეთი. სოფ. ომალო. სამსართულიანი ციხე, გეგმები, ჭრილი
25. რაჭა. სოფ. ღები. დუროიანი სახლის სართულების გეგმა.
26. სვანური ბოსელი გვალ.
27. თუშეთი. სოფ. ომალო. ბუხარი
28. თუშეთი სოფ. ხახაბო. კარსელი
29. ხევსურეთი. სოფ. შატილი. ჭრილი, გეგმა
30. ხევსურეთი. სოფ. შატილი. ციხე-სახლის ინტერიერი.

### ა. ქალდანი

#### კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში

სურ. 1. სოფ. მურყმელი, ბ. კაკრიაშვილის კომპლექსის გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 2. იგივე, კოშკის ზედა სართულების გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 3. იგივე, ჭრილი და ფასადი (ა. ქალდანი).

სურ. 4. იგივე, აქსონომეტრიული ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 5. იგივე, თაღოვანი შდური (ა. ქალდანი).
სურ. 6. სოფ. მურყმელი, ბ. ჩარქსელიანის კომპლექსის გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 7. იგივე, ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 8. იგივე, აქსონომეტრიული ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 9. სოფ. ჩაჟაშის ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 10. კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსები სოფ. ჩაჟაშში (ა. ქალდანი).
სურ. 11. სოფ. მურყმელი, ს. ღვაჩლიანის კომპლექსის I სართულის გეგმა (ვლ. წილოსანი).
სურ. 12. იგივე, ფასადი (ვლ. წილოსანი).
სურ. 13. იგივე, ჭრილი (ვლ. წილოსანი).
სურ. 14. იგივე, კოშკის ზედა სართულის გეგმები და განივი ჭრილი (ვლ. წილოსანი).
სურ. 15. სოფ. ლეხთაგის ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 16. სოფ. ლანჩვალი. კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი (ა. ქალდანი).
სურ. 17. სოფ. ლანჩვალის ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 18. სოფ. სეტი, კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი (ა. ქალდანი).
სურ. 19. სოფ. ჩაჟაში, კოშკები (ა. ქალდანი).
სურ. 20. სოფ. გური, „ბათაკათ“ კომპლექსის გეგმა (ა. ქალდანი).
სურ. 21. იგივე, კოშკის გეგმები და ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 22. იგივე, კოშკის ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 23. სოფ. მულახ, „ჩოლოყაანთ“ კომპლექსის გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 24. იგივე, ფასადი და ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 25. სოფ. მულახის ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 26. სოფ. არახვეთი, „ნადირაანთ“ კომპლექსი, გეგმა (ა. ქალდანი).
სურ. 27. იგივე, ჭრილი, ფასადი (ა. ქალდანი).
სურ. 28. სოფ. ყანობი, ითონიშვილების კომპლექსის გეგმა (ე. გიგაშვილი).
სურ. 29. იგივე, ფასადი რეკონსტრუქციის შემდეგ (ე. გიგაშვილი).
სურ. 30. იგივე, ფასადების თავდაპირველი სახე (ე. გიგაშვილი).
სურ. 31. სოფ. ქვემო დესი, კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსის I სართულის გეგმა (ა. ქალ-
დანი).
სურ. 32. იგივე, II სართულის გეგმა (ა. ქალდანი).
სურ. 33. იგივე, კოშკის ზედა სართულების გეგმები და ჭრილი (ა. ქალდანი).

## ა. ქალდანი

### გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში

სურ. 1. სოფ. ლალამი, ი. ფალიანის კომპლექსის გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 2. იგივე, ფასადი (ა. ქალდანი).
სურ. 3. იგივე, ზედა სართულების გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 4. იგივე, ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 5. სოფ. იენაში, ბ. ფარჯიანის კომპლექსის გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 6. იგივე, შდურის ფრაგმენტი (ა. ქალდანი).
სურ. 7. იგივე, კარის აქსონომეტრიული ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 8. იგივე, კოშკის ზედა სართულების გეგმები და კომპლექსის ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 9. სოფ. გიგბაში, ჩარკვიანების კომპლექსის გეგმა (ა. ქალდანი).
სურ. 10. იგივე, ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 11. იგივე, ფასადი (ა. ქალდანი).
სურ. 12. იგივე, კომპლექსის მდ. ენგურთან დამაკავშირებელი გვირაბის ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 13. იგივე, ფასადი (ა. ქალდანი).
სურ. 14. სოფ. ჟამუში, ქალდანების კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 15. იგივე, გენგეგმა (თ. გორგაძე).
სურ. 16. იგივე, I სართულის გეგმა (თ. გორგაძე).
სურ. 17. იგივე, II სართულის გეგმა (თ. გორგაძე).
სურ. 18. იგივე, ჭრილი (თ. გორგაძე).
სურ. 19. სოფ. ბარში, დადეშქელიანების კომპლექსის გეგმა ალაყაფის კარის დონეზე (ა. ქალდანი).

სურ. 20. იგივე, გენგეგმა (ა. ქალდანი).
სურ. 21. იგივე, მთავარი ფასადი (ა. ქალდანი).
სურ. 22. იგივე, კოშკის ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 23. იგივე, კოშკის გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 24. იგივე, საკიდები (ა. ქალდანი).
სურ. 25. იგივე, ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 26. იგივე, კომპლექსის აქსონომეტრია აღდგენილი სახით (ა. ქალდანი).
სურ. 27. იგივე, კოშკის ფასადი (ა. ქალდანი).
სურ. 28. იგივე, კოშკის კარის აქსონომეტრიული ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 29. იგივე, ალაყაფის კარი (ა. ქალდანი).
სურ. 30. სოფ. კისტანი, „აბულეთაურთ" კომპლექსის გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 31. იგივე, ფასადი (ა. ქალდანი).
სურ. 32. იგივე, კოშკის გეგმები და ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 33. იგივე, ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 34. სოფ. კისტანი, „ავთანდილაანთ" კომპლექსის გეგმა (ა. ქალდანი).
სურ. 35. იგივე, ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 36. იგივე, ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 37. იგივე, ციხე-სახლების გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 38. სოფ. ხონე, ვარდანა შეთეკურის კომპლექსის გენგეგმა (ა. ქალდანი).
სურ. 39. იგივე, ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 40. სოფ. მლეთა, „შივიანთ" კომპლექსის გენგეგმა (თ. გორგაძე, ო. ნაჭყებია).
სურ. 41. იგივე, კოშკის გეგმები (თ. გორგაძე, ო. ნაჭყებია).
სურ. 42. იგივე, ჭრილი (თ. გორგაძე, ო. ნაჭყებია).
სურ. 43. სოფ. მლეთა, „გოგიანთ" კომპლექსის ჭრილი და გეგმა I სართულის დონეზე (თ. გორგაძე, ო. ნაჭყებია).
სურ. 44. იგივე, ჭრილი და გეგმა II სართულის დონეზე (თ. გორგაძე, ო. ნაჭყებია).
სურ. 45. სოფ. ბეგოთკარი, კოშკის ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 46. სოფ. ჯალმიანი, „ჯალმიანთ" კომპლექსის ხედი (ა. ქალდანი).

## ა. ქალდანი

### სვანირიანი სახლი სვანეთში

სურ. 1. სოფ. ბარში, ნ. გურჩიანის სვანირიანი სახლის გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 2. იგივე, ფასადი (ა. ქალდანი).
სურ. 3. იგივე, ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 4. იგივე, მთავარი ფასადი (ა. ქალდანი).
სურ. 5. სოფ. ბარში, თ. გურჩიანის სვანირიანი სახლის გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 6. იგივე, ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 7. იგივე, აქსონომეტრიული ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 8. იგივე, ფასადი (ა. ქალდანი).
სურ. 9. იგივე, დირეში გაკეთებული საკიდი (ა. ქალდანი).
სურ. 10. სოფ. ფარი, სვანირის გეგმები და ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 11. საკიდები (ა. ქალდანი).

## ა. ქალდანი

### სანცხვირიანი სახლი სვანეთში

სურ. 1. სოფ. უშხვანარი, ბ. შამფრიანის სანცხვირიანი სახლი. გეგმები, ფასადი, ჭრილი, დეტალები (ა. ქალდანი).
სურ. 2. იგივე, აქსონომეტრიული ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 3. იგივე, თავდაცვითი ჯიხურის აქსონომეტრიული ჭრილი და ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 4. იგივე, კარის ჩანახატი (ა. ქალდანი).
სურ. 5. სოფ. ბარში, ს. გურჩიანის სანცხვირიანი სახლი, გეგმები, ჭრილი, ფასადი (ა. ქალდანი).

სურ. 6. იგივე, ჯიხურის გეგმები და ჭრილები (ა. ქალდანი).
სურ. 7. სოფ. ცალერი. დ. გვარმიანის სანცხეირიანი სახლის გეგმები (ა. ქალდანი).
სურ. 8. იგივე, აქსონომეტრიული ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 9. იგივე, სარდაფის გეგმა და სახლის ჭრილი (ა. ქალდანი).
სურ. 10. იგივე, რკინის ჰალი (ა. ქალდანი).
სურ. 11. იგივე, ჯიხურის აქსონომეტრიული ჭრილი და ხედი (ა. ქალდანი).
სურ. 12. სოფ. ბარში, გენგეგმა (ა. ქალდანი).

## გ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

### ქართული ხალხური საცხოვრებლის ინტერიერი

სურ. 1. ხევსურეთი, „კალოიანი სახლი“, სამყოფის ფუნქციონალური ზონირება (გ. დავითაშვილი).
სურ. 2. თუშეთი, ციხე-სახლი. ბაშტე. ინტერიერი (გ. დავითაშვილი).
სურ. 3. თუშეთი, ციხე-სახლი, ჭერხო, ინტერიერი (გ. დავითაშვილი).
სურ. 4. თუშეთი, აიენიანი სახლი, სასტუმრო, ინტერიერი (გ. დავითაშვილი).
სურ. 5. თუშეთი, აიენიანი სახლი, სამყოფი, ინტერიერი (გ. დავითაშვილი).
სურ. 6. ფშავი, სახლ-გომური, ინტერიერი (გ. დავითაშვილი).

გ. ბეგექკორი

# ციხე სახლები საქართველოში













1



. 2



. 3




4



5

9





7





9



9 د



9ბ



9 ბ



10



10º



11



11 ა



11 ბ



12





13



14



14 ა



15



15ª



$16_1$



$16_2$



17

ჭრილი I-I



გვერდითი ფასადი



IV სართულის გეგმა



18



19



20



21



22




23



24



25



26



27



28




29



30

ა. ქალდანი

# კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში



1




2



3



4



5



6



7



8



9





11



12



13



14



15



16



17



18

19





20





21



22



23



24



25



26





27




28




29




30



31



32



33

# გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში



1



2




3



4



5



6




7




8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22




23



24



25



26



27



28



29



30



31



32



33



34



35



36





37



38



39



40



.41



42



43



44





46

# სვანირიანი სახლი სვანეთში




2



3



4



5



6



7



8

9






10



11

## სანცხვირიანი სახლი სვანეთში



1



2



3




4



5



6



7

8







10



9



11



12

ზ. ჭავითაშვილი

# ქართული ხალხური საცხოვრებლის ინტერიერი



1





3



4



5



б


კარტოგრამა I
ცხენ-სახლის გავრცელების
არეალი და სიხშირე
1 დიდი სიხშირე
2 მეტნაკლები სიხშირე
3 მცირე სიხშირე
თბილისი


კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსის გავრცე-
ლების არეალი და სიხშირე XIX ს 60-იან წ-მდე
1. გავრცელების დიდი სიხშირე
2. გავრცელების მეტნაკლები სიხშირე
3. გავრცელება ერთეულების სახით


XIX ს 60
1
2
3
თბილისი


კარტოგრამა IV
გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსის გავრცელების არეალი და სიხშირე
1 დიდი სიხშირე
2 მეტნაკლები სიხშირე
3 მცირე სიხშირე
სვანირიანი სახლის გავრცელების არეალი და სიხშირე
1 დიდი სიხშირე
2 მეტნაკლები სიხშირე
3 მცირე სიხშირე
სანცხვრიანი სახლის გავრცელების არეალი და სიხშირე
1 დიდი სიხშირე
2 მეტნაკლები სიხშირე
3 მცირე სიხშირე

## სარჩევი


შესავალი . . . . . . . . . . . 3

ალ. რობაქიძე, ქართულ ხალხურ ტრადიციულ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპები . . . . . . . . . . . . 5

გ. გეგეშკორი, ციხე-სახლები საქართველოში . . . . . . 16

ა. ქალდანი, კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში . . 26

ა. ქალდანი, გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში . 46

ა. ქალდანი, სვანირიანი სახლი სვანეთში . . . . . . . 63

ა. ქალდანი, სანცხეირიანი სახლი სვანეთში . . . . . . 71

გ. დავითაშვილი, ქართული ხალხური საცხოვრებლის ინტერიერი /აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი/ . . . . . . 83

Горные жилища Грузии (материалы) — резюме . . . . . 94

შემოკლებათა განმარტება . . . . . 96

ილუსტრაციების აღწერილობა . . . . . 97

ილუსტრაციები . . . . . 101